

F 244  
F 1959


ეროვნული  
ბიბლიოთეკა

საქართველო  
სამართლებრივი



1959





# საბჭოთა სამართალი

## № 5

სექტემბერი—ოქტომბერი

1959 წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს  
სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო  
**ო რ თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი**

### შ ი ნ ა ა რ ს ი

	83.
მ. ვეფხვაძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო ახალი ამოცანების წინაშე . . . . .	3
მ. ლომიძე — საკონდიფიკაციო მუშაობა ახალ ეტაპზე . . . . .	9
ვ. ქუჩუკაშვილი — გავზარდოთ სასოფლო საბჭოების ორგანიზატორული როლი . . . . .	14
ს. ბელიავსკაია — ზოგიერთი საკითხი დანაშაულობათა თავიდან აცილების შესახებ	18
ს. ჯორბენაძე — სახელმწიფო სოციალისტური საკუთრების დამკვიდრების თავისებუ- რებანი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში . . . . .	25
ა. კარანაძე — უახლესი გარდაქმნები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელ- მწიფო აპარატში . . . . .	34
ივ. სურგულაძე — სულხან-საბა ორბელიანის შეხედულება ბრალზე . . . . .	41
იურიდიული ტერმინოლოგიის რუსულ-ქართული ლექსიკონი . . . . .	48

F9220

### შ ი ნ ა ლ ა დ ე ბ ა ნ ი ა ხ ა ლ ი კ ა ნ ო ნ მ დ ე ბ ლ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს

ჭ. შარვიძე — ზოგიერთი სადაო საკითხის დადგენის შესახებ . . . . .	58
ახალი კანონმდებლობაში . . . . .	61
ამხანაგური სასამართლო მოქმედებს . . . . .	67
სასამართლო დარბაზიდან . . . . .	70
ინფორმაცია . . . . .	73
სასამართლო პრაქტიკა . . . . .	77







## СО Д Е Р Ж А Н И Е

	ст.
М. Вепхвадзе — Верховный суд Грузинской ССР перед новыми задачами . . .	3
М. Ломидзе — Кодификационная работа на новом этапе . . . . .	9
В. Кучукашвили — Усилим организаторскую работу сельских советов . . .	14
С. Белявская — О некоторых вопросах предупреждения преступлений . . .	18
С. Джорбенадзе — Особенности утверждения государственной социалисти- ческой собственности в Китайской народной республике . . . . .	25
А. Каранадзе — Новейшие преобразования в государственном аппарате Гер- манской демократической республики . . . . .	34
И. Сургуладзе — Взгляды Сулхана-Саба Орбелиани на вину . . . . .	41
Русско—грузинский словарь юридической терминологии . . . . .	48

---

## ПРЕДЛОЖЕНИЯ К НОВОМУ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВУ

Ч. Шарендзе — О некоторых спорных вопросах . . . . .	58
Новое в законодательстве . . . . .	61
Товарищеский суд действует . . . . .	67
Из зала суда . . . . .	70
Информация . . . . .	73
Судебная практика . . . . .	77



# საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო ახალი ამოცანების წინაშე

მ. ვეფხვაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე

საბჭოთა დემოკრატიის — ხალხისათვის ნამდვილი სრულყოფილი დემოკრატიის ყოველმხრივი გაშლა და განვითარება მუდამ წარმოადგენდა და წარმოადგენს კომუნისტური პარტიის ზრუნვის საგანს.

განუხრელად ანხორციელებენ რა ცხოვრებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარეს მოკავშირე რესპუბლიკების, სუვერენულ უფლებათა გასაფართოებლად მრეწველობის, მეცნიერების, კულტურის და სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ამან კი თავისი გამოხატულება ჰპოვა მოკავშირე რესპუბლიკათა უფლებების გაფართოებაში საკანონმდებლო დარგშიც. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1957 წლის 12 თებერვალს მიღებული კანონით მოკავშირე რესპუბლიკებს უფლება მიეცათ სრულად გაითვალისწინონ კანონმდებლობაში თავიანთი ეროვნული, საყოფაცხოვრებო და სხვა თავისებურებანი. ამან კიდევ უფრო განამტკიცა კანონმდებლობის დარგში დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპი.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი საწყისები და სამართალწარმოების საფუძვლები გამომდინარეობენ ჩვენს ქვეყანაში მართლმსაჯულების შემდგომი გაუმჯობესების, საბჭოთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების განუხრელად განმტკიცების, სოციალისტური საკუთრების მტკიცედ დაცვის, პიროვნების პოლიტიკური, ქონებრივი და სხვა უფლებების, მთლიანად სოციალისტური მართლწესების მტკიცედ დაცვის ამოცანებიდან.

სასჯელი საბჭოთა სამართალში არამარტო დასჯითი ღონისძიებაა, არამედ იგი მიზნად ისახავს დამნაშავეს გამოსწორებას, მის გარდაქმნასა და აღზრდას შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების, კანონების ზუსტად შესრულების, სოციალისტური თანაცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით. ადამიანის დასჯა მიზნად არ ისახავს მიაყენოს მას ფიზიკური ტანჯვა, ან დაამციროს მისი პიროვნება, მისი ღირსება. სწორედ ეს ჰუმანური დებულებები დაედო საფუძვლად ახალი კანონმდებლობის ძირითად საწყისებს.

პარტიის XXI ყრილობამ, სხვა დიდმნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ამოცანად დასახა აყვანილი იქნეს სასამართლო პროკურატურისა და მილიციის ორგანოების მუშაობა მთელი ჩვენი საზოგადოების მიღწევების ღონემდე, რათა ისტორიულად უმოკლეს ვადაში ბოლო მოეღოს ისეთ მახინჯ გადმონაშ-





თებს, როგორცაა სახელმწიფო და საზოგადო ქონების მტაცებლობა, ხულიგნობა, მექრთამეობა და სხვა დანაშაული, რომელთა არსებობისათვის ჩვენს საზოგადოებაში აღარ არსებობს ობიექტური პირობები. აქედან გამომდინარე ჩვენს რესპუბლიკაში სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცების, სასამართლო ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებისა და მათი საქმიანობისადმი ხელმძღვანელობისა და კონტროლის ერთ ორგანოში თავმოყრის მიზნით 1959 წლის 21 თებერვალს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებული იქნა ბრძანებულება საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს გაუქმების შესახებ. აღნიშნული ბრძანებულების მე-2 მუხლის თანახმად, რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების რევიზია, მთელი მათი საქმიანობისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი, სასამართლო სტატისტიკის წარმოება, აგრეთვე სანოტარო კანტორებისადმი ხელმძღვანელობა დაეკისრა საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს.

სასამართლო ორგანოებისადმი ხელმძღვანელობაში პარალელიზმის გაუქმება და უმაღლესი სასამართლოსათვის მთელი რიგი ახალი ფუნქციების მინიჭება მნიშვნელოვნად ზრდის უმაღლესი სასამართლოს როლს სახალხო სასამართლოებისადმი ხელმძღვანელობისა და მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში და ამასთან დაკავშირებით მისი მუშაობა მკვეთრად უნდა იქნას გაუმჯობესებული.

სასამართლოებისადმი ხელმძღვანელობისა და კონტროლის ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა რევიზია, რომლის გარეშე შეუძლებელია სრულყოფილად იქნას შემოწმებული თუ რამდენად სწორად არის სასამართლოების მიერ გამოყენებული კანონები ისეთ საქმეებზე, რომლებზედაც გამოტანილი განაჩენები, გადაწყვეტილებები და დადგენილებები არ ყოფილა საკასაციო წესით დასაჩივრებული ან გაპროტესტებული. რევიზიის გარეშე ასევე შეუძლებელია შემოწმებული იქნას სასამართლოს მუშაობის ისეთი მნიშვნელოვანი უბნები, როგორცაა სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება, საქმეთა განხილვის წინასწარი მომზადება, სასამართლო პროცესების ჩატარება, საჩივრების გადაწყვეტა და სხვა. ყოველივე ეს მოითხოვს, რომ უმაღლესი სასამართლოს მიერ მაღალხარისხოვნად იქნას ჩატარებული რევიზიები.

რევიზიის წარმატებით ჩატარება დიდად არის დამოკიდებული აღნიშნული ღონისძიების სწორად დაგეგმვაზე. რევიზიების დაგეგმვის დროს უმაღლესი სასამართლო უპირველეს ყოვლისა უნდა ხელმძღვანელობდეს საკასაციო და სახედამხედველო პრაქტიკის მონაცემებით, რომლებიც გარკვევით მიუთითებენ თუ რომელი სასამართლოს მუშაობაში აქვს ადგილი სერიოზულ ნაკლოვანებებს. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე სასამართლოების არასწორი მოქმედების შესახებ შემოსულ საჩივრებსა და მთელ რიგ სხვა სიგნალებს, რომელთა საფუძველზედაც უმაღლეს სასამართლოს შესაძლებლობა აქვს განსაზღვროს რომელი სასამართლოს მუშაობა საჭიროებს პირველ რიგში სარევიზიო წესით შემოწმებას ან დახმარებას.

თუ ყოფილ იუსტიციის სამინისტროს სახალხო სასამართლოს რევიზიის ჩასატარებლად სპეციალური სარევიზიო აპარატი ჰყავდა რევიზორების სახით, ამყამად უმაღლეს სასამართლოს სახალხო სასამართლოებში რევიზიების ჩასატარებლად სპეციალური სარევიზიო აპარატი არ გააჩნია, ეს ფუნქციები



მთლიანად გადავიდა უმაღლესი სასამართლოს წევრებზე. სახალხო სასამართლოებისადმი საერთო ხელმძღვანელობისათვის კი შეიქმნა სასამართლოების მართვადობის განყოფილება, რომელიც ადმინისტრაციულ და სამეურნეო ხელმძღვანელობას უწევს სახალხო სასამართლოებს, გეგმავს და უმაღლეს სასამართლოს წევრებს ავალდებს სახალხო სასამართლოების რევიზიებს.

სახალხო სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეების და სამოქალაქო საქმეების განხილვაზე ზედამხედველობა და კონტროლი დავალებული აქვთ უმაღლეს სასამართლოს წევრებს, რომლებიც გაპიროვნებული არიან ცალკეულ რაიონებზე და ისინი პასუხისმგებელნი არიან მათზე გაპიროვნებული სახალხო სასამართლოების მუშაობაზე, ამიტომ უმაღლესი სასამართლოს ყოველი წევრი ვალდებულია თავის დროზე აცნობოს ხელმძღვანელობას კანონის ყველა იმ დარღვევებზე და ხარვეზებზე, რომელთაც ადგილი აქვთ სასამართლოების მუშაობაში.

როგორც აღვნიშნეთ, სახალხო სასამართლოებში ამჟამად რევიზიას ატარებენ უმაღლესი სასამართლოს წევრები; რევიზიის დროს უპირველესად ყოვლისა შემოწმებული უნდა იქნას სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენების, გადაწყვეტილებებისა და დადგენილებების სისწორე. ამავე დროს საფუძვლიანად უნდა შემოწმდეს სასამართლოებში შემოსული საჩივრების, განცხადებების და სიგნალების განხილვის მდგომარეობა.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს აგრეთვე სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების, სასამართლო პროცესების ხარისხიანად ჩატარების, საქმეთა განხილვის ვადების დაცვის, სახალხო მსაჯულებთან მოსამართლეების მუშაობისა და სხვა საკითხების შემოწმება.

რევიზიის ხარისხი დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ არის წინასწარ შესწავლილი სასამართლოს პრაქტიკა. ამა თუ იმ სასამართლოს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები ყველაზე მეტად ცნობილია უმაღლესი სასამართლოს იმ წევრთათვის, რომლებიც მომხსენებლად გამოდიან ამ სასამართლოდან მეორე ინსტანციაში შემოსულ საქმეთა განხილვის დროს, რადგან დავალებული აქვთ კონტროლი ამ სასამართლოების მუშაობაზე, რითაც უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ რევიზიების დროს და უმოკლეს ვადაში ჩატარებისათვის. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილია, რომ რევიზორთა შემადგენლობაში პირველ რიგში შევიდნენ უმაღლესი სასამართლოს სწორედ ის წევრები, რომლებიც უშუალოდ არიან მიმაგრებულნი შესამოწმებელ სასამართლოზე.

რევიზიის ამოცანა სასამართლოებს გაეწიოს სათანადო დახმარება მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში. ამიტომ რევიზიის შედეგები დაწვრილებით უნდა იქნას განხილული. რევიზიის შედეგის განხილვისას მიღებული გადაწყვეტილება საჭიროა ცნობილი გახდეს არა მარტო სასამართლოსათვის, რომლის მუშაობაც იქნა შემოწმებული, არამედ განზოგადებული იქნეს ყველა სასამართლოებისათვის, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში მათ შესაძლებლობა ეძლევათ გამოასწორონ მუშაობაში დაშვებული ისეთივე სახის შეცდომები.

თუ იუსტიციის სამინისტროს გაუქმებამდე უმაღლესი სასამართლოს წევრები საქმეებს განხილავდნენ საკასაციო წესით პირველი ინსტანციით, ანდა ზედამხედველობის წესით და არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდათ სახალხო სასამართლოების მუშაობაზე, ამჟამად ყველა აღნიშნულთან ერთად





მათ უშუალოდ ეკისრებათ პასუხისმგებლობა სახალხო სასამართლოების ყოველგვარ საქმიანობაზე, ეს კი დიდ მუშაობას მოითხოვს უმალღესი სასამართლოს ყველა წევრისაგან.

სახალხო სასამართლოების რევიზიის შედეგებს ყოფილი იუსტიციის სამინისტრო იხილავდა თავის კოლეგიაზე, ამჟამად კი რევიზიის შედეგებს ჯერჯერობით იხილავს ოპერატიული თათბირი უმალღეს სასამართლოს თავმჯდომარესთან. მომავალში ჩვენი რესპუბლიკის სასამართლო წყობილების კანონით განზრახულია, რომ სახალხო სასამართლოების რევიზიის შედეგები განიხილოს საქართველოს სსრ უმალღესი სასამართლოს პრეზიდიუმმა.

უმალღესი სასამართლოს მიერ ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის, მარნეულის, ცხაკაიას რაიონის სახალხო სასამართლოების და აფხაზეთის ასსრ უმალღესი სასამართლოს მუშაობის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სასამართლოების, განსაკუთრებით თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს მუშაობაში ადგილი აქვს კანონის უხეშად დარღვევებს. რევიზიის შედეგები განხილული იქნა უმალღეს სასამართლოს მუშაკთა ოპერატიულ თათბირზე და სათანადო ღონისძიებანი იქნა მიღებული აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

სასამართლო ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს სასამართლო პრაქტიკის შესწავლა და განზოგადება. უკეთეს რევიზიის მასალები, როგორც წესი, იძლევიან ცალკეული სასამართლოების მუშაობის სურათს, სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების საფუძველზე სრული წარმოდგენა გვექმნება რესპუბლიკის ყველა სასამართლოების მუშაობის შესახებ. სასამართლო პრაქტიკის განზოგადება შესაძლებელს ხდის დადგენილი იქნან ის ტიპური შეცდომები, რომლებსაც ადგილი აქვთ სასამართლოების მუშაობაში ამა თუ იმ კატეგორიის საქმეთა განხილვის დროს და დასახული იქნას ღონისძიებანი აღნიშნული შეცდომების გამოსასწორებლად.

იუსტიციის სამინისტროს გაუქმების შემდეგ უმალღეს სასამართლოში შეიქმნა კოდიფიკაციისა და სასამართლო პრაქტიკის განზოგადების განყოფილება, რომელსაც დავალებული აქვს სასამართლო პრაქტიკის სისტემატური შესწავლა. ამ განყოფილების მიერ უკვე შესწავლილი იქნა სასამართლო პრაქტიკა ავტოავარიის, ხულიგნობისა და სხვა კატეგორიის საქმეებზე. კოდიფიკაციისა და სასამართლო პრაქტიკის განზოგადების განყოფილების წინაშე დიდი ამოცანები დგას, ვინაიდან მის მიერ სასამართლო პრაქტიკის შესწავლის შედეგად მიღებული მასალები საფუძვლად უნდა დაედოს პლენუმის სახელმძღვანელო მითითებებს, რომელიც ახლახან დამტკიცებული „სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონმდებლობის საფუძვლების“ 25-ე მუხლის თანახმად უახლოეს დროში უნდა შეიქმნას ავითეული მოკავშირე რესპუბლიკის უმალღეს სასამართლოში. პლენუმის შექმნა, რომლის შემადგენლობაში შევლენ საქართველოს უმალღესი სასამართლოს წევრები და ავტონომიური რესპუბლიკის უმალღესი სასამართლოებისა და ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეები, საშუალებას მისცემს უმალღეს სასამართლოს ფართოდ და მაღალხარისხოვნად უხელმძღვანელოს რესპუბლიკის სასამართლო ორგანოებს.



სახალხო სასამართლოების მუშაობაში დახმარებისათვის ადგილებზე სისტემატურად იგზავნებიან უმაღლესი სასამართლოს წევრები. ამ შემთხვევაში ისინი სახალხო სასამართლოებში რევიზიებს კი არ ატარებენ, არამედ სათანადო დახმარებას უწევენ სახალხო მოსამართლეებს კანონისა და პროცესუალური ნორმების დარღვევების განმარტება- გამოსწორებაში, რაც გამოვლინებული იქნა საკასაციო წესით საქმეების განხილვისას, ამასთანავე ადგილზე კონსულტაციებს უწევენ კანონების სწორად გამოყენების და იმ საქმეების ირგვლივ, რაც სახალხო მოსამართლეებს აქვთ წარმოებაში.

სასამართლოებისადმი დახმარების აქტიური საშუალებაა სემინარებისა და თათბირების მოწყობა სახალხო მოსამართლეების მონაწილეობით, აგრეთვე მოსამართლეთა გამოძახება უმაღლეს სასამართლოში საწარმოო პრაქტიკის გავლის მიზნით. მოსამართლეთა მიერ პრაქტიკის გავლის გეგმას უმაღლესი სასამართლო ადგენს საკასაციო და საზედამხედველო პრაქტიკის მასალების შესწავლის, რევიზიის შედეგებისა და ცალკეულ მოსამართლეთა მიმართ გამოტანილი კერძო დადგენილებების განზოგადების საფუძველზე. ყველა ამ მასალების შესწავლა საშუალებას იძლევა რაციონალურად გადაწყდეს საკითხი, რომელი მოსამართლე უნდა იქნას პირველ რიგში გამოწვეული უმაღლეს სასამართლოში საწარმოო პრაქტიკის გასავლელად. აღნიშნულ ღონისძიებათა სათანადო დონეზე ჩატარება საგრძნობლად გაზრდის და აამაღლებს მოსამართლეთა იურიდიული მომზადების დონეს და დიდ დახმარებას გაუწევს სახალხო სასამართლოებს მათ ყოველდღიურ მუშაობაში.

როგორც საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს, ასევე სახალხო მოსამართლეებს საგრძნობი მუშაობის ჩატარება დასჭირდებათ სასამართლოს აღმასრულებლებთან გამფლანგველების მიერ სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად თანხების ამოღების საქმეში. როგორც ჩატარებული ძემოწმებები, ასევე სტატისტიკური მონაცემები მოწმობენ, რომ ამ მხრივ ზედგომარეობა არადაამაკმაყოფილებელია და დაგვირდება მთელი ძალების მობილიზაცია მდგომარეობის გამოსასწორებლად.

უმაღლესი სასამართლოს ფუნქციებში შედის აგრეთვე სანოტარო კანტორებისადმი ხელმძღვანელობა და მათი საქმიანობის კონტროლი. სანოტარო კანტორების მუშაობა მოითხოვს სერიოზულ ყურადღებას, ვინაიდან მათ კანონით დაკისრებული აქვთ მნიშვნელოვანი ამოცანები — მოქალაქეთა, სახელმწიფო დაწესებულებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მომსახურება გარიგებებისა და დოკუმენტების გაფორმებითა და დამოწმებით, იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადასტურებით, აღსრულების წარწერების გაცემითა და მთელი რიგი სხვა მოქმედებებით. უმაღლესი სასამართლოსათვის სანოტარო კანტორებისადმი ხელმძღვანელობის დაკისრებასთან დაკავშირებით უმაღლეს სასამართლოში შექმნილია სპეციალური სამტატო ერთეული უფროსი რევიზორისა ნოტარიატის დარგში.

სანოტარო კანტორების საქმიანობის კონტროლის ძირითად საშუალებას წარმოადგენს რევიზიები, რომლებიც სისტემატურად უნდა ტარდებოდეს. უმაღლესი სასამართლოს მიერ ამ მხრივ უკვე ჩატარებულია განსაზღვრული მუშაობა. განვლილ პერიოდში ჩატარებულია რევიზიები მთელ რიგ სანოტარო კანტორებში და მიღებულ იქნა ზომები მათ მუშაობაში არსებული ნაკლოვანე-



ბების აღმოსაფხვრელად. რევიზიის შედეგები გვარწმუნებს, რომ ცალკეული ნოტარიუსების მიერ კანონების დარღვევა მათდამი დაკისრებული მოვალეობის აღსრულების დროს ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ ისინი არასაკმაოდ იცნობენ სანოტარო პრაქტიკას და სუსტად იციან მოქმედი კანონმდებლობა, განსაკუთრებით კი სამოქალაქო სამართალი. ხარვეზების აღმოფხვრისა და სანოტარო კანტორების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საჭიროა კვალიფიციური კადრების შერჩევა, სანოტარო პრაქტიკის განზოგადება, სემინარების მოწყობა, საწარმოო პრაქტიკის გავლის დაწესება ამა თუ იმ რაიონის სანოტარო კანტორაში, სადაც მუშაობას ეწევიან იურიდიულად საკმაოდ მომზადებული ნოტარიუსები.

იუსტიციის სამინისტროს გაუქმებასთან დაკავშირებით უმალღესი სასამართლოს წინაშე დგას ახალი მნიშვნელოვანი ამოცანები, რომელთა პირნათლად შესრულება მოითხოვს მთელი ძალების მობილიზაციას. ამ ამოცანების წარმატებით შესრულება კი ხელს შეუწყობს სოციალისტური კანონიერების შემდგომ განმტკიცებას ჩვენს რესპუბლიკაში.



# საკოდიფიკაციო მუშაობა ახალ ევაკუზა

ა. ლომიძე,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის  
თავმჯდომარე

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს გაუქმებასთან დაკავშირებით მიმდინარე წლის თებერვალში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა იურიდიული კომისია.

ამ რეორგანიზაციის ძირითადი მიზანი ის იყო, რომ სასამართლო ორგანოების ხელმძღვანელობა და კონტროლი თავმოყრილი ყოფილიყო ერთ ორგანოში — ზედდგომ სასამართლო ორგანოში, რომელიც კანონით უფლებამოსილია გააუქმოს ან შესცვალოს ქვემდგომი სასამართლოების გადაწყვეტილებები, განაჩენები და დადგენილებები და საერთოდ განახორციელოს სასამართლო ზედამხედველობა; აღკვეთილი ყოფილიყო ის პარალელიზმი, რომელიც არსებობდა საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის მინისტროებსა და უმაღლეს სასამართლოებს შორის სასამართლო ორგანოების მუშაობისადმი ხელმძღვანელობისა და კონტროლის საქმეში და გადაჭრით გაუმჯობესებელიყო ხელმძღვანელობა სახალხო სასამართლოებისადმი.

რეორგანიზაცია მიზნად ისახავდა აგრეთვე საკოდიფიკაციო მუშაობის დონის ამაღლებას და ამ მუშაობის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებას.

ამ ძირითადი ამოცანებიდან გამომდინარე გაუქმებული იქნა საქართველოს სსრ, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროები და იუსტიციის სამინისტროს სამმართველო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში და მათი უფლება-მოვალეობანი სასამართლო ორგანოების და სახელმწიფო სანოტარო კანტორების მუშაობისადმი ხელმძღვანელობისა და კონტროლის საქმეში გადაეცა საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს — შესაბამისად.

საკოდიფიკაციო მუშაობისათვის, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა იურიდიული კომისია.

საჭიროა აღინიშნოს, რომ იუსტიციის სამინისტროების გაუქმებასთან დაკავშირებით იურიდიული კომისიები შეიქმნა აგრეთვე ტაჯიკეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთის, თურქმენეთის და სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოებთან.

ვფიქრობთ, რომ ყურნალ „საბჭოთა სამართლის“ მკითხველთათვის ინტერესმოკლებული არ იქნება მოკლე საყურნალო წერილში გაშუქებული და განმარტებული იქნეს ის მოვალეობანი და ამოცანები, რაც დაკისრებული აქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას, მით უმეტეს, რომ მოქალაქეთა საგრძნობი ნაწილისათვის ჯერ კიდევ ცნობილი



არ არის ამ დაწესებულების დანიშნულება, რის შედეგადაც ბევრი სხვადასხვა ხასიათის განცხადება და საჩივარი შეცდომით იგზავნება იურიდიული კომისიის სახელზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მიმდინარე წლის 25 აპრილს დამტკიცებული დებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ძირითად ამოცანას წარმოადგენს საქართველოს სსრ კანონმდებლობის კოდიფიკაცია, მისი სისტემატიზაცია და ძთავრობის დავალებით საკანონმდებლო აქტების და ნორმატიული ხასიათის გადაწყვეტილებათა პროექტების დამუშავება, იურიდიული კომისიის სხდომებზე მათი წინასწარი განხილვა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წარდგენა.

ამ მთავარი ამოცანის თანახმად იურიდიულ კომისიას ევალება:

ა) წინადადებების მომზადება და მთავრობისათვის წარდგენა რესპუბლიკის კანონმდებლობის კოდიფიკაციისა და მასში სათანადო ცვლილებების შეტანისათვის, იმ საკანონმდებლო აქტებისა და ნორმატიული ხასიათის დადგენილებების ნუსხის მომზადება, რომლებიც გაუქმებას ექვემდებარებიან ან მიჩნეულ უნდა იქნან ძალადაკარგულად ახალ საკანონმდებლო აქტებისა და ნორმატიული დადგენილებების მიღებასთან დაკავშირებით.

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დავალებით და საკუთარი ინიციატივით საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება და მათი წარდგენა რესპუბლიკის მთავრობისათვის განსახილველად.

გ) საქართველოს სსრ მთავრობის ნორმატიული ხასიათის დადგენილებების ქრონოლოგიური და სისტემატიზირებული კრებულის მომზადება.

დ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად შეტანილ საკანონმდებლო აქტებზე და მთავრობის დადგენილებებზე დასკვნების მიცემა.

ე) საქართველოს სსრ კანონების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა და დადგენილებების და აგრეთვე საქართველოს სსრ მთავრობის ნორმატიული ხასიათის მქონე დადგენილებების სისტემატიზაცია.

ვ) დადგენილი წესის მიხედვით საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების აღრიცხვა.

კომისია მოწოდებულია მისცეს იურიდიული დასკვნები მთავრობის ცალკეულ დავალებებზე და აგრეთვე განმარტებები სამინისტროების, უწყებების, წარმოებების და ორგანიზაციების შეკითხვებზე.

იურიდიულ კომისიას ევალება საქართველოს სსრ მოქმედი კოდექსების მომზადება გამოსაცემად.

იურიდიულ კომისიას მიცემული აქვს უფლება საჭირო შემთხვევებში მიიღოს დასკვნები საქართველოს სამინისტროებიდან, უწყებებიდან, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებიდან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომიდან და აგრეთვე სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებიდან და უმაღლეს სასწავლებლებიდან მის მიერ მომზადებულ საკანონმდებლო აქტებისა და მთავრობის დადგენილებათა პროექტებზე; მოიწვიოს საკანონმდებლო აქტებისა და მთავრობის დადგენილებათა პროექტების დამუშავება-მომზადებაში მონაწილეობის მისაღებად რესპუბლიკის სამინისტროებისა და



უწყებების, სამეცნიერო-საკვლევო და სასწავლო დაწესებულებების სპეციალისტები.

იურიდიული კომისია თავის სხდომებზე იხილავს მის მიერ მომზადებულ საკანონმდებლო აქტებს და მთავრობის დადგენილებათა პროექტებს, სამინისტროებისა და სხვა უწყებების მიერ შეტანილ პროექტებზე მიცემულ დასკვნებს და აგრეთვე იურიდიული კომისიის მუშაობის სხვა საკითხებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისია შედგება თავმჯდომარის, მისი მოადგილისა და წევრებისაგან, რომელთაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. ასეთია მოკლედ ის ძირითადი მოვალეობანი და უფლებანი, რაც დაკისრებული და მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას.


იურიდიული კომისიის მიერ თავისი არსებობის მოკლე ხნის განმავლობაში გარკვეული მუშაობა იქნა ჩატარებული: მთელ რიგ საკითხებზე წარდგენილია კანონპროექტები, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო არტელების წევრებისათვის, საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთათვის და სხვა პირთათვის დაწესებული პირადი საკუთრების პირუტყვის ნორმების დარღვევების საწინააღმდეგო ზომების შესახებ, საქართველოს სსრ ქალაქებსა და მუშათა დასახლებულ პუნქტებში მცხოვრებ მოქალაქეთა პირადი საკუთრების პირუტყვის შენახვის აკრძალვის შესახებ, ლოთობისა და შინაური არყის გამოხდის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, ბუნების დაცვის წესების დარღვევებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ და სხვ. საქართველოს სსრ მთავრობის დავალებით მიცემულია მთელი რიგი მნიშვნელოვანი დასკვნები. აგრეთვე სხვადასხვა უწყებებს მიეცათ განმარტებანი იურიდიული ხასიათის მთელ რიგ საკითხებზე.

დიდ მუშაობას ეწევა იურიდიული კომისია საქართველოს სსრ კოდექსების პროექტების მოსამზადებლად. დამთავრებულია საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების კანონის პროექტის შედგენა, დასასრულს უახლოვდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტების საბოლოო ვარიანტის მომზადება.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის და სასამართლო წყობილების კანონის პროექტები მომზადებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეერთე ყრილობის გადაწყვეტილებების შესაბამისად, დანაშაულთან ბრძოლის საქმეში და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მშრომელთა მონაწილეობის გათვალისწინებით.

აღნიშნული კოდექსების პროექტები, შესაბამისად სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის და სისხლის სამართალწარმოების საფუძვლებისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის აშხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მითითებებისა, გამსჭვალულია მოქალაქეთა პირადი ღირსებისა და მათთვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების ურყევად დაცვის სულისკვეთებით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტი უზრუნველყოფს რა მთლიანად და სავსებით მოქალაქეთა უფლებების დაცვას, მთავარ ამოცანად ისახავს დანაშაულის სწრაფად





და სრულად გახსნას, დამნაშავეთა გამომჟღავნებას და კანონის სწორად შეფარდებას ისე, რომ არცერთი დამნაშავე არ დარჩეს დაუსჯელი და არცერთი უდანაშაულო არ იყოს მიცემული პასუხისგებაში და მსჯავრდადებული.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებიდან და სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივად განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთან შეუთრებელ ბრძოლასთან ერთად სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი ითვალისწინებს მთელ რიგ ნაკლებად საშიშ დანაშაულთა საქმეების და მცირე მნიშვნელობის დარღვევების საამხანაგო სასამართლოებისათვის გადაცემას. რიგი ქმედობა სისხლის სამართლის წესით დასასჯელად გათვალისწინებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მანამდე ასეთივე ქმედობისათვის დამნაშავე პიროვნებაზე საზოგადოებრივმა ზემოქმედებამ ვერ მოახდინა საჭირო გავლენა.

იმასთან ერთად, რომ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტში მთელი რიგი მუხლები, რომლებიც ამჟამად მოქმედ კოდექსშია მოცემული გათვალისწინებული არ არის სხვადასხვა მიზეზის გამო, მასში შეტანილია დანაშაულის ზოგიერთი ახალი სახეები, რაც ცნობილი არ არის მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის; მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის 94-ე მუხლი ითვალისწინებს არათანამდებობის პირის პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, თუ მან თავისი დაუდევრობით სოციალისტური საკუთრების დაცვის დროს დაუშვა დიდი რაოდენობით დატაცება, დაკარგვა ან გაფუჭება.

დანაშაულის ამ შემადგენლობის პროექტში შეტანა ნაკარნახევია იმ აუცილებლობით, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც არათანამდებობის პირი, რომელსაც დავალებული აქვს სოციალისტური საკუთრების დაცვა, გადაზიდვა და სხვა, დაუდევრად ეკიდება თავის საქმეს, რის შედეგად ხდება ამ ქონების დაკარგვა, დატაცება და გაფუჭება, რაც ხშირად დიდ ზიანს აყენებს ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიურ საფუძველს — სოციალისტურ საკუთრებას.

პროექტის 153-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას არაშრომითი კომერციული შუამავლობისათვის, როდესაც ამას ხელობის ხასიათი აქვს, ან როდესაც ასეთ შუამავლობას მნიშვნელოვანი გამდიდრება მოსდევს. ამ შემადგენლობის კოდექსში გათვალისწინება გამოწვეულია იმით, რომ იშვიათი არაა შემთხვევები, როდესაც ცალკეულ პირებს, რომლებიც არ ეწევიან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, საბჭოთა კავშირის შორეულ ოლქებში სარეალიზაციოდ მიაქვთ კოლმეურნეთა და სხვა მოქალაქეთა ღვინო, ხილი და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები და ამ გზით ათეულ ათას მანეთს იგებენ, რადგან აღნიშნულ პროდუქციას გაცილებით უფრო მეტ ფასებში ყიდიან, ვიდრე უნაღდებენ პატრონებს. სასამართლო პრაქტიკაში ასეთი დანაშაულის კვალიფიცირება დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, რადგან მოქმედი კოდექსი ასეთი ქმედობისათვის პასუხისმგებლობას პირდაპირ არ ითვალისწინებს.

მიუხედავად იმისა, რომ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის, სამოქალაქო საქმეებზე სამართალწარმოების და შრომის კანონმდებლობის ახალი საფუძვლები ჯერჯერობით არ არის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისია ინტენ-



სიურ მუშაობას ეწევა საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსისა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის და შრომის კოდექსის პროექტების წინასწარი ვარიანტის მოსამზადებლად.

ასეთივე მდგომარეობაა შრომა-გასწორების კოდექსის პროექტის მიმართაც.

კოდექსების პროექტების მომზადებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი რესპუბლიკის პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების პრაქტიკული მუშაკები, მეცნიერ-მუშაკები, ადვოკატები, პროფესიული კავშირების საბჭოს, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და სხვა უწყებების წარმომადგენლები, რომელთაც თავიანთი ცოდნითა და დიდი გამოცდილებით წვლილი შეაქვთ რესპუბლიკის კოდექსების მომზადების საქმეში.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ კოდექსების პროექტების მომზადების დროს ხდება ყველა იმ წინადადებების დეტალური განხილვა, რომელიც ქვეყნდება ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“ და სხვა იურიდიულ ჟურნალებში, გაზეთების ფურცლებზე და აგრეთვე მოცემულია ცალკეულ წერილებში და განცხადებებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისია შექმნილია იმ პერიოდში, როდესაც ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის ოცდამეერთე ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მთელ საბჭოთა კავშირში გაშლილია ფართო საკოდიფიკაციო მუშაობა კანონმდებლობის ყველა დარგში; ამასთან დაკავშირებით მას მეტად მნიშვნელოვანი და რთული სამუშაო აქვს დაკისრებული. ეს სამუშაო მოითხოვს დიდ სიზუსტეს და პასუხისმგებლობას იურიდიული კომისიის მუშაკების მხრივ, რომელთაც შეუძლიათ კეთილსინდისიერად შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გამსჭვალულნი იქნებიან სახელმწიფოებრივი დისციპლინის და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით, თუ სისტემატურად იზრუნებენ თავიანთი პოლიტიკური დონისა და იურიდიული კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის მუშაკები მათზე დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად შეასრულებენ.



## გავეზარდოთ სასოფლო საბჭოების ორგანიზაციული როლი

### 3. ქუჩუპაშვილი,

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის განყოფილების გამგის  
მოადგილე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობიდან განვლილი წლების მანძილზე საგრძნობლად გაუმჯობესდა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობა. ამაღლდა მათი როლი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის, მოსახლეობის ყოველდღიურ მოთხოვნათა დაკმაყოფილებისა და მშრომელთა კომუნისტურად აღზრდის საქმეში. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები მეტყურადღებს აქცევენ ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობას, მტკიცედ იცავენ საბჭოთა დემოკრატიზმის პრინციპებს. გასულ წელს რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების 84 პროცენტმა ზუსტად დაიცვა სესიების მოწვევის კონსტიტუციით დაწესებული ვადები, დეპუტატების 85,5 პროცენტმა ჩააბარა ანგარიში ამომრჩევლებს, ხოლო ამავე პერიოდში საბჭოების სესიებს ანგარიში ჩააბარეს აღმასკომების 92 პროცენტმა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1957 წლის 22 იანვრის დადგენილებაში „მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების და მასებთან მათი კავშირის განმტკიცების შესახებ“ აღნიშნული იყო, რომ საბჭოებისა და მათი აღმასკომების მუშაობაში მიღწე-

ვებთან ერთად ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. ბევრი ადგილობრივი საბჭო სუსტად ასრულებს მასების ორგანიზატორის ფუნქციებს, არ იჩენს სიმტკიცეს მშრომელთა საყოფაცხოვრებო მოთხოვნათა დაკმაყოფილებისათვის.

პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარების საქმეში დიდი როლი ეკუთვნის ადგილობრივ საბჭოებსა და მათ აღმასრულებელ კომიტეტებს. ისინი მოწოდებულნი არიან იყვნენ სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზატორები მემინდვრობის, მეცხოველეობისა და სხვა დარგებში აღებულ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის, უზრუნველყონ კონტროლი კოლმეურნეობებში ტექნიკის სწორად გამოყენებისათვის, იზრუნონ კოლმეურნეობებში მშრომის ორგანიზაციის ამაღლებისათვის, სოფლის მეურნეობის კარგი აგრონომიული, ზოოტექნიკური და ვეტერინალური მომსახურებისათვის და მისი ფართოდ დანერგვისათვის.

სახელმწიფო ხელისუფლების სისტემაში ყველაზე მრავალრიცხოვან რგოლია მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები. მათ შემადგენლობაში მილიონ რვაას ათასამდე



დებუტატი ითვლება. მარტო ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარე წლის 15 მარტს არჩეული იყო 1086 საბჭო.

სასოფლო საბჭოებთან შექმნილია 4 ათასზე მეტი მუდმივი კომისია, რომელშიც გაერთიანებულია 26 ათასზე მეტი დებუტატი. სასოფლო საბჭოები რაზმავენ მშრომელთა ფართო მასებს კომუნისტური მშენებლობის პროგრამის განსახორციელებლად. ისინი ღრმა ანალიზს უკეთებენ და ფართოდ იხილავენ საბჭოების სესიაზე და აღმასკომების სხდომებზე სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხებს, ითვალისწინებენ ადგილობრივ პირობებს და მშრომელთა მოთხოვნებს, იღებენ კონკრეტულ გადაწყვეტილებებს წარმოების ორგანიზაციისა და მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნათა შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა დებუტატების სასოფლო საბჭოების ახალ დებულებას. ამ დებულებამ ბოლო მოუღო დავას მათი კომპეტენციის შესახებ და საგრძობლად გაადიდა სასოფლო საბჭოების უფლებანი და მოვალეობანი. სასოფლო საბჭოებს მიეცათ დიდი უფლებები მრეწველობის საკითხებში; ისინი კონტროლს უწევენ მათ ტერიტორიაზე არსებულ ადგილობრივ საწარმოთა მუშაობას, გაიზარდა სასოფლო საბჭოების ფუნქციები საბიუჯეტო-საფინანსო მუშაობის დარგშიც.

წინად სასოფლო საბჭოები იხილავდნენ სასოფლო საბჭოს ბიუჯეტს და უდგენდნენ მას რაისაბჭოს აღმასკომს დასამტკიცებლად. ახალი დებულება სასოფლო საბჭოს აძლევს უფლებას საბოლოოდ დაამტკიცოს თავისი ბიუჯეტი და მისი შესრულების ანგარიში.


სასოფლო საბჭოს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გადაჭარბებით შესრულების შემთხვევაში შეუძლია გადამეტებითი სახსრები გამოიყენოს თავისი შეხედულებისამებრ სამეურნეო, სოციალურ-კულტურულ მშენებლობაზე.

ახალი დებულება დიდ როლს ანიჭებს სასოფლო საბჭოს მის ტერიტორიაზე მდებარე სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელობის საქმეში. წარსულში საბჭოს უფლება არ ჰქონდა დაემტკიცებინა სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებათა ხელმძღვანელები; ახალი დებულებით მას ეს უფლება მინიჭებული აქვს.

ფართო უფლებები აქვს სასოფლო საბჭოს მრეწველობის საკითხებში. ის კონტროლს უწევს მის ტერიტორიაზე არსებულ ადგილობრივი მრეწველობის, სარეწაო არტელების საწარმოთა მუშაობას, ისმენს მოხსენებებს მათი საწარმოო საქმიანობის შესახებ, ხელს უწყობს მათ ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას, ადგილობრივი რესურსების ფართოდ გამოყენების საქმეს.

სასოფლო საბჭოს უფლება აქვს მოისმინოს კოლმეურნეობათა გამგეობების მოხსენებები სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმების შესრულების, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის განვითარებისა და სხვა საკითხებზე, აგრეთვე მოისმინოს საბჭოთა მეურნეობის დირექტორების მოხსენებები საწარმოო გეგმების შესრულების და მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებზე. მას შეუძლია შეაჩეროს კოლმეურნეობის საერთო





კრებისა და გამგეობის მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება და ამის შესახებ აცნობოს საბჭოს აღმასკომს.

სასოფლო საბჭოების მიერ დებულებით დაკისრებულ მოვალეობათა ცხოვრებაში სწორად გატარებისათვის საჭიროა, რომ მათ სწორი ურთიერთობა დაამყარონ კოლმეურნეობებთან, რომლებიც წარმოადგენენ სოციალისტურ კოპერატიულ მეურნეობებს, თვით განაგებენ არტელის ქონებას და წყვეტენ კოლმეურნეობის სამეურნეო საკითხებს. სასოფლო საბჭოები თავიანთი მოღვაწეობით არ უნდა სცვლიდნენ კოლმეურნეობების გამგეობებს, არ უნდა მოწყდნენ კოლმეურნეობების ცხოვრებას; პირიქით, ისინი ვალდებული არიან ყოველმხრივ დაეხმარონ კოლმეურნეობებს მიღებული გეგმების შესრულების საქმეში.

სასოფლო საბჭოების დახმარება კოლმეურნეობებისადმი პირველ რიგში იმაში გამოიხატება, რომ ისინი ატარებენ ო რ გ ა ნ ი ზ ა ტ ო რ უ ლ-აღმზრდელობით მუშაობას კოლმეურნეობის წევრთა შორის, ეხმარებიან მათ ამა თუ იმ კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტაში, აწყობენ სოციალისტურ შეჯიბრებას კოლმეურნეობათა ბრიგადებს, ფერმებსა და ცალკეულ კოლმეურნეობათა შორის, ხელს უწყობენ მოწინავეთა გამოცდილების განხორციელებას.


სასოფლო საბჭოებმა გაბედულად უნდა გამოიყენონ მინიჭებული უფლებები სახალხო განათლების, ჯანმრთელობის, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმის ხელმძღვანელობაში. ერთერთი მთავარი ამოცანაა ზრუნვა დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისათვის. მათ თვალყური უნდა ადევნონ დასახლებული პუნქტების

დაგეგმვასა და მშენებლობას, აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება კულტურულ საყოფაცხოვრებო მშენებლობის საქმეში, უზრუნველყონ გზების, ხიდების, ბოგირების სათანადო მდგომარეობაში ყოფნა.

სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოების გაზრდილ უფლებებზე თვალსაჩინოდ მეტყველებს ჩვენი რესპუბლიკის მრავალი საბჭოს გამოცდილება. არასრული ცნობებით გასულ 1958 წელს ჩვენი რესპუბლიკის სოფლებსა და დაბებში მახარადელთა ინიციატივის საბაზუხოდ კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ააშენეს 15 ათასზე მეტი საცხოვრებელი სახლი, 20 დასასვენებელი სახლი, 165 სკოლა, 100-ზე მეტი კლუბი, რამდენიმე ათეული საავადმყოფო, სამშობიარო სახლი, კულტურის სახლი, თეატრი და სხვა. კეთილმოწყობილი ხდება დასახლებული პუნქტები, ქუჩები, კოლმეურნეთა კარმიდამო, შენდება ახალი წყალსადენები, გზები, ხიდები. საგრძნობლად იზრდება რადიოფიცირებულ და ელექტროფიცირებული სოფლების რიცხვი. გურჯაანის რაიონის მშრომელთა მიწოდებამ „კეთილმოწყობილი სოფლებისათვის, სუფთა, ლამაზი კარმიდამოებისათვის“ ფართო გამოხმაურება ჰპოვა მთელ რესპუბლიკაში და უფრო ძლიერი ტემპებით წარმართა მიმდინარე წელს კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა მთელ რესპუბლიკაში.

ჯერ კიდევ არიან ცალკეული სასოფლო საბჭოები, რომლებიც ჩამორჩებიან ამ დიდ სახელმწიფოებრივ საქმეში გაშლილ ფრონტზე მუშაობას. ზესტაფონის რაიონის ზედა საქარის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობებს არ დაუწყიათ გეგმით გათვალისწინებული კლუბისა და საბავშვო ბაღის შენობათა აგება, ასევე მეორე სვირის სასოფლო საბჭოში გასულ 1958 წელს უნდა აეშე-





ნებიანთ აბანო, ხოლო 1959 წელს კულტურის სახლი, დასასვენებელი სახლი და მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლი, მაგრამ ამ ობიექტების მშენებლობა ჯერ არ დაწყებულა. ცალკეული მშენებლობები განიციდან საშენი მასალების ნაკლებობას, ხოლო მშრომელთა დეპუტატების საბჭოები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ადგილობრივი რესურსებისა და სამშენებლო მასალების გამოვლინებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების დებულების დამტკიცების შემდეგ კარგი დრო გავიდა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ რაიონში სასოფლო საბჭოები ჯერ კიდევ ვერ იყენებენ თავიანთ გაზრდილ უფლებებს. ამაში ერთგვარი ბრალი მიუძღვით რაიონულ საბჭოებსა და მათ აღმასკომებს.

სასოფლო საბჭოებმა ხელი უნდა შეუწყონ სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესებას და არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას. მათ უნდა მიაღწიონ იმას, რომ სესიები და აღმასკომების სხდომები რეგულარულად იწვეოდეს და მათზე ხდებოდეს აქტუალური საკითხების გადაჭრა. საბჭოებმა უნდა იზრუნონ, რომ მუდმივი კომისიები და დეპუტატები იყენენ მებრძოლნი პარტიისა და მთავრობის მიერ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გასატარებლად.

რაიონულმა საბჭოებმა ყოველდღიურად უნდა გააუმჯობესონ სასოფლო საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის ფორმები და საშუალებანი; გაატარონ ცხოვრებაში სოციალისტური კანონიერება, ყოველდღიურად აამაღლონ მასების ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობის დონე. ზოგიერთ

რაიონულ საბჭოსა და მის აღმასკომს ავწყდება ეს მოვალეობანი და თავიანთი მოქმედებით ზოგიერთ შემთხვევაში თვითონვე ამცირებენ სასოფლო საბჭოების როლს. მაგალითად, ლაგოდეხის რაიონული საბჭო ამ წელს სესიაზე იხილავდა საკითხს რაიონში მოსავლის აღებისათვის სამზადისის მიმდინარეობის შესახებ. სესიას ესწრებოდნენ ყველა სასოფლო და სადაბო საბჭოს აღმასკომების თავმჯდომარეები. მომხსენებელი ერთ საათიან მოხსენებაში სრულიად არ შეხებია არც ერთ სასოფლო საბჭოს არც კარგ მუშაობასა და არც მათ ნაკლოვანებებს. ასევე მოიქცა კამათში გამოსული ბევრი ამხანაგი და, რაც მთავარია, გადაწყვეტილებაში არაფერი არ დაევალოთ სასოფლო საბჭოებს და მათ აღმასკომებს. ცხადია, საქმის ასეთი წარმართვა ვერ ასწევს საბჭოების როლს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საქმეში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობამ, რომელსაც მართებულად ეწოდება კომუნისზმის მშენებელთა ყრილობა, აღნიშნა ჩვენი სამშობლოს შესვლა განვითარების ახალ, კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების გრანდიოზული გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებად. შვიდწლიანი გეგმის განხორციელება საშუალებას მისცემს ჩვენს ქვეყანას გადამწყვეტი ნაბიჯი გადასდგას კომუნისზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, უზრუნველყოს სოციალისტური ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის მძლავრი აღმავლობა.





# ზოგიათი საკითხი დანაშაულობათა თავიდან ა ბ ი ღ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ.

ს. ბელიავსკაია.

სკკპ XXI ყრილობამ დასახა რა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტების აშენების გრანდიოზული პროგრამა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების სრული აღმოფხვრისა და მათი კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საკითხებს.

კომუნისტური მშენებლობის ამოცანები, უწინარეს ყოვლისა, მითითებენ კაპიტალიზმის ისეთი გადმონაშთების ლიკვიდაციას, რომლებიც თავიანთ გამოვლენას პოულობენ სხვადასხვა დანაშაულში.

ცნობილია, რომ ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების არსებობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამორჩენა საზოგადოებრივი ყოფიერებისაგან.

ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთები დამკვიდრებულია არა მარტო ტრადიციით, ჩვეულებით, არამედ მათ ყოველნაირად აღვივებს და აძლიერებს მტრული ბურჟუაზიული პროპაგანდა, რომელიც გარკვეულ გავლენას ახდენს ჩვენი საზოგადოების მერყევ წევრებზე.

საბჭოთა ადამიანების ნაწილს შეგნებაში და ყოფაქცევაში კაპიტალიზმის გადმონაშთების სიცოცხლისუნარიანობას ხელს უწყობს აგრეთვე სუბიექტური ფაქტორიც — ბავშვებისა და მოზარდთა ცუდი აღზრდა ოჯახსა და სკოლაში, შრომელთა შორის იდეოლოგი-

ური და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის სუსტად დაყენება, ცალკეული პირების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები.

სოციალისტური საკუთრების დატაცებისათვის ხელისშემწყობ პირობებს წარმოადგენენ: აღრიცხვის, ანგარიშების და კონტროლის პრინციპების დარღვევა, მატერიალურად საპასუხისმგებლო თანამდებობებზე კადრების არასწორი შერჩევა; სახალხო დოვლათის ცუდი დაცვა. სპეკულაციის ხელს უწყობს ზოგიერთი სავაჭრო ორგანიზაციის ცუდი მუშაობა, სახალხო მოხმარების ცალკეულ საგნებით მომარაგების საქმეში არსებული ნაკლოვანებები, გულგრილობა ზოგიერთი მოქალაქის მხრივ სპეკულაციის ფაქტებთან, თანამდებობრივ დანაშაულს — კადრების შერჩევისა და განლაგების საქმეში არსებული ნაკლოვანებები, არასაკმარისი კონტროლი და შესრულების შემოწმება. ხულიგნობისათვის ხელისშემწყობ ასეთ პირობებს კი შეიძლება წარმოადგენდნენ კულტურულ-მასობრივ ღონისძიებათა არაადამაკმაყოფილებელი ორგანიზება და ჩატარება, აღმზრდელობითი მუშაობის სისუსტე, არასაკმარისი საზოგადოებრივი კონტროლი წესრიგის დაცვაზე და დამრღვევთა მიმართ ზემოქმედების სისუსტე.

დანაშაულის ჩადენისათვის ხელისშემწყობი სუბიექტური პირობების გა-



მოვლინებასა და შესწავლას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ასეთი პირობების აღმოფხვრა წარმოადგენს ქმედით საშუალებას დანაშაულის თავიდან აცილებისათვის.

„საჭიროა განვახორციელოთ ისეთი ღონისძიებანი, — მიუთითებდა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი სკკპ XXI ყრილობაზე, — რომლებიც თავიდან აგვაცილებენ, ხოლო შემდეგ სრულიადაც გამორიცხვენ ცალკეული პირების მიერ რაიმე საქციელის ჩადენას, რომელიც ზიანს აყენებს საზოგადოებას. მთავარია პროფილაქტიკა, აღმზრდელობითი მუშაობა“.

დანაშაულობათა თავიდან აცილებისათვის მუშაობის სწორი ორგანიზაციის მიზნით საჭიროა სისტემატურად იქნეს შესწავლილი დანაშაულის მდგომარეობა და დინამიკა, ცალკეულ დანაშაულობათა გამოვლინების ფორმები და სხვა, რათა სახელმწიფოებრივ ორგანოებმა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა, რომლებიც მოწოდებულნი არიან აქტიურად ებრძოლონ დანაშაულს, შესძლონ სწორად აირჩიონ დანაშაულობასთან ბრძოლის ზომები.

ამისათვის საჭიროა შესწავლილი იქნეს არა მარტო ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობა და დანაშაულის ხასიათი, არამედ სისხლის სამართლის საქმეების ცალკეული კატეგორიებიც, დეტალურად განიხილოს ყველა ის მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ დანაშაულობასთან მებრძოლ ორგანოების მუშაობას (მილიცია, პროკურატურა, სასამართლო, შრომა-გამასწორებელი დაწესებულება). კერძოდ, საჭიროა გამოკვეთულ იქნეს დანაშაულთა გახსნის მდგომარეობა, გამოძიებისა და სასამართლო მუშაობის ხარისხი, მსჯავრდებულთა მიერ სასჯელის მოხდის პრაქტიკა. საჭიროა გამოირკვეს აგრეთვე საზოგადოებრიობის როლი დანაშა-

ულობასთან და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევებთან ბრძოლაში.

დიდი მეცნიერულ-პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ჩადენილი დანაშაულის შესახებ საჭირო ცნობების დადგენას. ასე, საჭიროა დადგინდეს მონაცემები დამნაშავის პიროვნების შესახებ, დანაშაულის ჩადენის ადგილის, დროის, მეთოდებისა და ხერხების შესახებ.


ქ. ფოთში დანაშაულობათა მდგომარეობის ანალიზის შედეგად დადგენილ იქნა, რომ ქალაქის ტერიტორიაზე ჩადენილ დანაშაულთაგან ყველაზე უფრო გავრცელებულს წარმოადგენს ხულიგნობა. 1958 წლის განმავლობაში ქ. ფოთში ხულიგნობისათვის მსჯავრდებულ ყველა პირთაგან მნიშვნელოვან რიცხვს წარმოადგენენ პირები 30 წლის ასაკამდე, ამასთანავე ნახევარზე მეტი მუშაობენ ქ. ფოთის სამრეწველო საწარმოებში.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ხულიგნურ მოქმედებათა უმრავლესობა ჩადენილია არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეების მიერ.

საინტერესოა მონაცემები დანაშაულის ჩადენის ადგილის შესახებ. ხულიგნური მოქმედება ხშირად ჩადენილია ქუჩაში, აღინიშნებოდა ხულიგნობის ჩადენის ფაქტები საერთო საცხოვრებლებში, რესტორნებსა და სასადილოებში. ხულიგნობა უფრო ხშირად ჩადენილია სადამოს 8—12 საათებში.

ამ მონაცემებიდან ვაკეთებულ იქნა დასკვნა, რომ ქ. ფოთში ხულიგნობასთან ბრძოლის საქმის სწორად დაყენების მიზნით საჭიროა ჩატარდეს ეფექტური ბრძოლა ლოთობასთან, როგორც ამ სახის დანაშაულის ჩადენის ერთერთ მთავარ მიზეზთან. გარდა ამისა, საჭიროა გაუმჯობესდეს აღმზრდელობითი მუშაობა მშრომელთა შორის, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში, სამრეწველო საწარმოებში და





საერთო საცხოვრებლებში და გაძლიერდეს საზოგადოებრივი ზემოქმედება წესრიგის დამრღვევებზე; შემოღებული უნდა იქნას პატრულირება და სახალხო ნებაყოფლობითი რაზმეულის წევრთა მორიგეობა იმ ქუჩებში, სადაც უფრო ხშირად აქვს ადგილი დანაშაულის ჩადენას.

ქ. ფოთში ხულიგნობასთან და სხვა დანაშაულთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით დასახულია აგრეთვე შემდეგი ღონისძიების გატარება: მიღებული უნდა იქნას ზომები პროკურატურის, მილიციისა და სასამართლოს მუშაობის გაუმჯობესებისათვის, განსაკუთრებით დანაშაულთა თავიდან აცილების მხრივ; უფრო ხშირად მოეწყოს საჩვენებელი სასამართლო პროცესები საწარმოებსა და დაწესებულებებში, პროცესებზე საზოგადოებრივი ბრალმდებლების მონაწილეობით; ყოველმხრივ გაუმჯობესდეს სამართლის პროპაგანდა.

დანაშაულთა თავიდან აცილების ამოცანა ორგანიზულადაა დაკავშირებული ბრძოლასთან ალკოჰოლიზმის ლიკვიდაციისათვის.

ლოთობა ხშირად წარმოადგენს პიროვნების მიერ დანაშაულის ჩადენის ერთერთ ძირითად მიზეზს. ლოთობის გამო ხშირად ხდება მკვლელობა, სხეულის დაზიანება, გაუპატიურება, პიროვნების შეურაცყოფა, ქურდობა, ყაჩაღური თავდასხმა. ლოთობა იწვევს ოჯახში ჩხუბს, ოჯახის დანგრევას და სხვა. ხულიგნური საქციელის ჩადენას სხვადასხვა პირთა მიერ უმრავლეს შემთხვევაში ადგილი აქვს აგრეთვე არაფხიზელ მდგომარეობაში.

ყოველად დაუშვებელია ტრანსპორტის მუშაკთა ლოთობა. მათ მიერ სიმთვრალის გამო შრომის დისციპლინის უგულვებელყოფა იწვევს ქუჩაში მოძრაობის წესების უხეშ დარღვევებს.

რასაც ხშირად ავარიებსა და კატასტროფებამდე მიყვებარო.

ზუგდიდის რაიონის სოფელ დიდი-ნეძის კოლმეურნეობა „კომუნისმის“ სატვირთო ავტომანქანის მძღოლმა გ. თ. ფარულავამ ავტომანქანის საჭე გადასცა თავის მეგობარს ტ. ა. კვიციანიშვილს, რომელთანაც ერთად მანამდე ლოთობდა სასადილოში. ამას სამწუხარო შედეგი მოყვა. კვიციანიშვილმა ქუჩის მოსახვევში გადააყირავა მანქანა. ერთი მგზავრი მიღებული დაზიანების შედეგად გარდაიცვალა, ხოლო ორმა მიიღო სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანება.

საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მკვეთრი რეაგირება უნდა მოახდინონ ლოთობის ყველა შემთხვევაზე. საერთო კრებებზე, ამხანაგური სასამართლოების სხდომებზე უნდა განიხილონ იმ პირთა საკითხები, რომლებიც სისტემატურად ლოთობენ.

საჭიროა მიღებული იქნას ზომები საპასპორტო რეჟიმის დაცვისათვის და თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან დაბრუნებულ პირთა შრომითი მოწყობის შესახებ, რადგან ხშირად დანაშაულის ჩადენა ხდება იმ პირთა მიერ, რომლებიც არ მისდევენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას. მიუხედავად ამისა, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები აფხაზეთის და აჭარის ასსრ-ში, ქ. თბილისში, ბოლნისის, ცხაკაის, დუშეთის, აბაშის, გეგუჭკორის რაიონებში ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ ამ საკითხს.

თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოციალისტური საკუთრების — საბჭოთა წყობილების ურყევი და ხელშეუხებელი საფუძვლის განმტკიცებისათვის ბრძოლას.

საერთო ზედამხედველობის წესით შემოწმებათა ჩატარებისას, მტაცებ-



ლობის შესახებ საქმეთა გამოძიებისა და განხილვისას აუცილებელია გამოვლინდეს მიზეზები, რომლებიც ხელს უწყობენ მტაცებლობას და მიღებულ იქნას ზომები მათ აღმოსაფხვრელად წარდგინებების შეტანით, ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებში და სასამართლოების მიერ კერძო დადგენილებების გამოტანის საშუალებით.

ქ. ბათუმის პროკურატურამ მიღებულ სიგნალზე სწრაფი რეაგირების შედეგად ბათუმის სამკერვალო ფაბრიკაში გამოავლინა სახელმწიფო ქონების დატაცების ფაქტი. შემოწმებით დადგენილი იქნა, რომ 1957-1958 წლებში ბუხჰალტერიის ზოგიერთი მუშაკის, საამქროების აღმრიცხველებისა და ინსტრუქტორების მიერ ყალბი უწყისების შედგენის საშუალებით მითვისებულ იქნა 70.000 მანეთი. შემოწმებისა და გამოძიების პროცესში დადგინდა, რომ სახელმწიფო თანხის დატაცებას ხელს უწყობდა ფაბრიკაში არსებული ხელფასის გაცემის არასწორი წესი, რომლის თანახმად ხელფასს არიგებდნენ იგივე პირები, რომლებიც ადგენდნენ ხელფასის უწყისებს. ფაბრიკის ბუხჰალტერიის და შრომისა და ხელფასის განყოფილების მიერ არ მოწმდებოდა ხელფასის დარიცხვის სისწორე, უწყისებს ეტყობოდა სიყალბის კვალი.

პროკურორის მიერ შეტანილი წარდგინების განხილვის შედეგად ბათუმის სამკერვალო ფაბრიკაში შეცვლილი იქნა ხელფასის გაცემის წესი და გატარდა ღონისძიებანი ბოროტმოქმედების გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად.

მაგრამ ჯერ კიდევ ხშირ შემთხვევაში გამოძიებლები დატაცების შესახებ საქმეების გამოძიების დროს არ არკვევენ, იმ მიზეზებსა და პირო-


ბებს, რომლებიც ხელს უწყობენ მტაცებლობას, ხოლო ზოგიერთი პროკურორის მიერ შეტანილ წარდგინებებს აკლია შესაბამისი მიზანდასახულობა და პრინციპულობა იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებაში, რომლებიც ხელმიშვებას იჩენდნენ მტაცებლობის ფაქტების მიმართ. მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს არასრულწლოვანთა შორის დანაშაულთა თავიდან აცილებისათვის წარმოებული მუშაობა.

არასრულწლოვანთა დანაშაულის შესახებ კონკრეტულ საგამომძიებლო მასალებსა და ყველა შესაბამის დაწესებულებაში ბავშვთა უზედამხედველობასთან ბრძოლის თაობაზე კანონების შესრულების შემოწმების შედეგების მიხედვით საჭიროა დაყენებულ იქნას საკითხი ბავშვების აღზრდის საქმეში მშობლების პასუხისმგებლობის ამაღლების, მშრომელთა დეტატების საბჭოების აღმასკომთან არსებულ ბავშვთა და მოზარდთა მომწყობი კომისიების და მილიციის ბავშვთა ოთახების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ ახლახან განიხილა გ. ა. საგარეიშვილის, ვ. ზ. კიკილაშვილის, ი. ვ. ფირალიშვილის და სხვათა ბრალდების საქმე. ეს ახალგაზრდები და მოზარდები, გაერთიანებულნი დანაშაულებრივ ჯგუფში ახდენდნენ მოქალაქეთა ძარცვასა და ბინების გაქურდას. ეს არასრულწლოვანები სხვადასხვა დროს გარიცხული იყვნენ სკოლიდან ან თვითონ მიანებეს სწავლას თავი და არსად არ მუშაობდნენ.

წინასწარი გამოძიების სტადიაში და სასამართლო სამსჯავრო სხდომაზე დადგინდა, რომ ოჯახმა, სკოლამ, კომკავშირულმა ორგანიზაციამ და საზოგადოებრიობამ დროულად არ მიიღეს





შესაბამისი ზომები დაეყენებიათ ისინი სწორ გზაზე. ამ ჯგუფის მონაწილეებს ხშირად ნახავდით სასადილოში, სადაც ისინი ლოთობდნენ; მაგრამ სასადილოს მუშაკები არავითარ რეაგირებას არ ახდენდნენ მათ ყოფაქცევაზე. უფრო მეტიც, სასადილოს მუშაკები ამ მოზარდებისაგან იაფ ფასებში იძენდნენ ნაჭურღალ ნივთებს.

როგორც ამ საქმის, ისე სხვა საგამომძიებლო საქმეების მასალების საფუძველზე ქ. თბილისის ლენინის რაიონის პროკურორმა შეიტანა წარდგინება პარტიის რაიკომში სათანადო ღონისძიებათა გასატარებლად, რაც ხელს შეუწყობს რაიონში ახალგაზრდობასა და არასრულწლოვანებს შორის დანაშაულის ჩადენის აღკვეთას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ გასული წლის დეკემბერში მიღებული ახალი საკავშირო კანონები სისხლის სამართლის, სასამართლო წყობილების და სამართალწარმოების დარგში და ამ კანონთა საფუძველზე შექმნილი რესპუბლიკური კოდექსების პროექტები მიმართული არიან დანაშაულის თავიდან აცილებისა და აღმოფხვრისაკენ, საბჭოთა მოქალაქეების კანონებისა და სოციალისტური თანაცხოვრების ნორმების განუხრებლად შესრულების სულისკვეთებით აღზრდისაკენ, რომ თვითუელმა დანაშაულის ჩამდენმა სამართლიანი სასჯელი მიიღოს, ხოლო არცერთი უდანაშაულო არ იქნეს მიცემული პასუხისგებაში.

დანაშაულთა სწრაფად გახსნისა და დანაშაულის თავიდან აცილების ამოცანები მოითხოვენ გამომძიებლის როლის ამაღლებას დანაშაულობასთან ბრძოლაში.

ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგამომძიებლო მუშაობის ორგანიზაციის საუბნო სისტემის მიხედვით იმ რაიონულ და საქალა-

ქო პროკურატურებში, რომელთა შტატშიაც რამოდენიმე გამომძიებელია. თვითუელი გამომძიებელი კარგად უნდა იცნობდეს თავისი უბნის ტერიტორიაზე დანაშაულობის მდგომარეობას და იმ ობიექტებს, სადაც უფრო მეტადაა გავრცელებული დანაშაულის ჩადენა; მან უნდა გამოიჩინოს ინიციატივა დანაშაულის გამოვლინებასა და გახსნაში, საქმიანი კავშირი დაამყაროს ამავე უბნის მილიციის ორგანოსთან, საკონტროლო-სარევიზიო ორგანოებსა და ინსპექციებთან და აგრეთვე საზოგადოებრიობასთან.

ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში სკკპ XXI ყრილობაზე, ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ ჩვენს ქვეყანაში შექმნილია პირობები სახელმწიფოებრივი საკითხების გადაჭრაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფუნქციების გაფართოებისათვის. ბევრი ფუნქცია, რომელსაც ამაჟამად სახელმწიფო ორგანო ასრულებს, კერძოდ, საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის ფუნქცია თანდათანობით უნდა გადავიდეს სახალხო მილიციის, ამხანაგური სასამართლოებისა და მათი მსგავსი ორგანოების გამგებლობაში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების „მოსახლეობის მონაწილეობის შესახებ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში“ საფუძველზე შექმნილი ნებაყოფლობითი სახალხო რაზმები ღებულობენ ზომებს საზოგადოებრივი წესრიგის, მოქალაქეთა უფლებების დასაცავად. შეიძლება იმის მრავალი მაგალითის მოყვანა, თუ როგორ აღკვეთდნენ რაზმელები დანაშაულს და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევებს.

სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის



ორგანოებმა თავიანთი მუშაობა უნდა წარმართონ მშრომელთა ფართო მასებთან მჭიდრო კავშირში. წარმოებებსა, კოლმეურნეობებსა და დაწესებულებებში დანაშაულის ჩადენის თვითეული ფაქტის შესახებ დროულად უნდა ეცნობოს შესაბამის საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რათა თვითეული ასეთი ფაქტი გახდეს ფართე საზოგადოებრიობის მსჯელობის საგნად, გამოვლინდეს დანაშაულის გამომწვევი მიზეზები.

ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლოს საჩვენებელ პროცესებს, რომლებიც ეწყობა უშუალოდ საწარმოებში, მშენებლობაზე, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. ასეთი პროცესები აღვივებენ მშრომელთა ინიციატივას კანონის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში და კონკრეტულად, ცოცხალი ფაქტებით პროპაგანდას უწყვეტ საბჭოთა კანონებს, რაზმავენ მშრომელებს კანონების შესასრულებლად.

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების ახალი საფუძვლებით ვათვალისწინებელი საზოგადოებრივ ბრალმდებელთა და დამცველთა ინსტიტუტი აძლიერებს სასამართლო პროცესების აღმზრდელობითსა და გამაფრთხილებელ მნიშვნელობას, ემსახურება დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობის ჩაბმას.

ამ ბოლო ხანებში ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ჩატარებული იქნა სასამართლო პროცესები საზოგადოებრივ ბრალმდებელთა მონაწილეობით, რომლებიც გამოყოფილი იყვნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ (ქ. ბათუმში, რუსთავში, ქ. თბილისის ლენინის, ორჯონიკიძის, 26 კომისრის სახელობის რაიონებში, ქობულეთსა და სხვა რაიონებში). მაგ-

რამ საჭიროა ეს მუშაობა უფრო მეტად გაუმჯობესდეს.


გაუმჯობესებას საჭიროებს აგრეთვე მუშაობა სამართლის პროპაგანდის დარგში, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა მართლმეტყველების ამაღლებისა და დანაშაულთა თავიდან აცილებისათვის.

ახალი კანონების გამოცემის შემდეგ რესპუბლიკის პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის მუშაკებმა გააუმჯობესეს მუშაობა სამართლებრივი პროპაგანდის დარგში. 1959 წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკაში ჩატარებულია 889 ლექცია, მოხსენება, საუბარი, კითხვა-პასუხების საღამოები, სამართლის თემებზე პრესაში მოთავსებულია 110 სტატია.

უფრო ფართოდაა გამოყენებული პროკურორების მოხსენებით გამოცემის პრაქტიკა მშრომელთა დებუტატების საბჭოების სესიებზე დანაშაულობასთან და სოციალისტური კანონიერების დარღვევებთან ბრძოლის საკითხებზე. გასულ და მიმდინარე წელს მშრომელთა დებუტატების საბჭოების სესიებზე სხვადასხვა დროს მოხსენებით გამოვიდნენ თელავის რაიონის პროკურორი მ. მამუჩაშვილი, ქ. თბილისის სტალინის სახელობის რაიონის პროკურორი ვ. ფონია, ცხაკაიას რაიონის პროკურორი ვ. ცეკვავა, წყალტუბოს რაიონის პროკურორი ნ. ინოზემცევი, ქობულეთის რაიონის პროკურორი ს. ნანიტაშვილი, წალენჯიხის რაიონის პროკურორი ბ. კირტავა, ჩხოროწყუს რაიონის პროკურორი გ. ტორჩინავა და სხვები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1958 წლის 25 დეკემბერს მიღებული „სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები“ გამსჭვალულია სოციალისტური ჰუმანიზ-





მით. ეს საფუძვლები ავიწროვებენ და არბილებენ პასუხისმგებლობას ისეთი დარღვევებისათვის, რომლებთანაც შეიძლება ბრძოლა დამრღვევთა მიმართ ადმინისტრაციული, დისციპლინარული ან საზოგადოებრივი ზომების მიღებით. ამასთანავე „საფუძვლები“ ითვალისწინებენ ბრძოლის გაძლიერების საჭიროებას იმ პირთა მიმართ, რომლებიც ჩაიდენენ განსაკუთრებით საშიშ დანაშაულს, როგორცაა მკვლელობა, ძარცვა, სოციალისტური საკუთრების დატაცება, ბოროტი ხულიგნობა.

„საფუძვლები“ სასამართლოს ავალდებულებენ სამართალში მიცემულის მიმართ სასჯელის ინდივიდუალიზირებას შემდეგ გარემოებათა გათვალისწინებით: ბრალეულობის ხარისხი, ჩადენილი დანაშაულის ხასიათი და მისი საზოგადოებრივი საშიშროება, დამნაშავეს პიროვნება და საქმის გარემოებანი, რომლებიც ამსუბუქებენ ან ამძიმებენ პასუხისმგებლობას.

„საფუძვლებში“ აღნიშნულია, რომ „გაითვალისწინებს რა საქმის გარემოებებს, დამნაშავეს პიროვნებას, აგრეთვე დამნაშავეს სამუშაო ადგილიდან საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან მუშათა, მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა კოლექტივის შუამდგომლობას მისთვის პირობითი მსჯავრის დადების შესახებ, სასამართლოს შეუძლია დააკისროს ამ ორგანიზაციებს ან კოლექტივებს პირობით მსჯავრდადებულის ხელახლა აღზრდისა და გამოსწორების მოვალეობა“.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1959 წლის ივლისის პლენუმმა სასამართლოების ყურადღება მიაქცია სსრკის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების ამ დებულებათა უფრო ფართოდ გამოყენების საჭიროებაზე. იმ პირთა მიმართ, რომლებმაც ჩაიდი-

ნეს მცირე მნიშვნელოვანი დანაშაული, სასამართლოებმა უნდა შეწყვიტონ საქმის წარმოება სისხლის სამართლის წესით და გადასცენ იგი საზოგადოებრიობის განსახილველად. არასრულწლოვანთა დანაშაულის შესახებ საქმეების განხილვისას სასამართლომ სპეციალურად უნდა განიხილოს საკითხი დამნაშავეს გამოსწორების შესაძლებლობის შესახებ მისთვის სისხლის სამართლის სასჯელის დანიშვნის გარეშე და შეუფარდოს აღმზრდელობითი ხასიათის ზომები.

დიდი მნიშვნელობა აქვს პროკურატურის ორგანოების მუშაობაში შემოღებულ პრაქტიკას საწარმოების და დაწესებულებების საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის და კოლექტივებისათვის (მათი შუამდგომლობის მიღებისას) თავდებში იმ პირთა გადაცემას, რომლებმაც ჩაიდინეს ისეთი ქმედობა, რაც არ წარმოადგენს საზოგადოებრივად საშიშ დანაშაულს. ამას წინ უძღვის დარღვევის ფაქტის გარემო მსჯელობა და პროკურორის ინფორმაცია იმ საწარმოს, დაწესებულების, სასწავლებლის მუშა-მოსამსახურეთა, მოსწავლეთა საერთო კრებებზე, სადაც მუშაობდა ან სწავლობდა დამნაშავე.

ამ ბოლო დროს ასეთი შეტყობინებით დანაშაულობათა შესახებ მუშა-მოსამსახურეთა, მოსწავლეთა საერთო კრებებზე გამოვიდნენ ქ. თბილისის რაიონების პროკურორები ა. მთიული-შვილი, გ. ბარამიძე, შ. კიკაბიძე, შ. რეხვიაშვილი, ი. ჩადუნელი და სხვები.

ეს პრაქტიკა წარმოადგენს საგამომძიებლო ორგანოების საზოგადოებრიობასთან კავშირის განმტკიცების ერთერთ ფორმას დანაშაულის თავიდან აცილებისა და მისი აღმოფხვრის საქმეში.



# სახელმწიფო სოციალისტური საკუთრების დამკვიდრების თავისებურებანი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში

(ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 10 წლისთავის გამო)

დოკ. ს. ჯორჯენაძე

ჩინეთის სახალხო რევოლუცია, რომლის გამარჯვების მათე წლისთავს მსოფლიოს პროგრესული ძალები ასე დიდი ზეიმით აღნიშნავენ, არის ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გაგრძელება და მისი კანონზომიერების შესანიშნავი დადასტურება.

ჩინეთის სახალხო რევოლუციამ არნახულად გაამდიდრა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება სოციალისტურ საზოგადოებაზე გადასვლის ფორმების შესახებ. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების თეორიულმა დებულებებმა პრაქტიკული დადასტურება ჰპოვეს ჩინეთის რევოლუციის ზოგადი და სპეციფიკური ნიშნების მავალითზე.

სახელმწიფო სოციალისტური საკუთრება ჩინეთში, როგორც ეს აღნიშნულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-6 მუხლში, წარმოადგენს სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ ძალას და სახელმწიფოს მიერ სოციალისტური გარდაქმნების განხორციელების მატერიალურ ბაზას. ამ საკუთრების დამკვიდრების გზებში გამოვლინდა ჩინეთის რევოლუციის ზოგიერთი სპეციფიურობა.

რევოლუციამდელი ჩინეთი ნახევრად ფეოდალური, ნახევრად კოლონიური

ქვეყანა იყო. ექსპლოატაციის ფეოდალურ მეთოდებთან ერთად, უპირატესად ზღვისპირა ქალაქებსა და ნავსადგურებში განვითარდა კაპიტალისტური მრეწველობა. იმპერიალიზმის პერიოდში ჩინეთში შეიქმნა თავისებური მონოპოლისტური კაპიტალიზმი, რომლის მსგავსს ვერ ვხვდებით განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ევროპელი და შემდეგ ამერიკელი იმპერიალისტები ჩინეთის მშრომელ მასებს უმეტესწილად უშუალოდ კი არ უწევდნენ ექსპლოატაციას, არამედ ადგილობრივი შუამავლების წყალობით. უცხოეთის კაპიტალისტებს ყოველთვის ყავდათ ჩინეთში კომპრადორები. ეს იყო მთელი კლასი ექსპლოატატორებისა, რომლებიც ქვეყნის ფეოდალებისა და მსხვილი იმპერიალისტების მხარდაჭერით არსებობდნენ. მაგრამ სრულიად სხვა ხასიათი მიიღო რეაქციული ძალების ბლოკმა, როცა ხელისუფლების სათავესთან ჩანკაიშელთა მოღალატური ხროვა მივიდა. რეაქციონერ გომინდანელთა ორ ათეულ წელზე მეტი ხნის ბატონობის შედეგად, მსხვილი ფეოდალებისა და მსხვილი კომპრადორების ეკონომიური კავშირის ნიადაგზე, გაჩნდა ბიუროკრატიული კაპიტალი. იგი სასიცოცხლოდ შეზრდილი იყო უცხოურ ფინანს-



სიურ კაპიტალთან და ამ უკანასკნელის სატელიტს წარმოადგენდა.

ეკავათ რა გადაწყვეტი სახელმწიფო პოსტები, ბიუროკრატიული კაპიტალის წარმომადგენლები სახელმწიფო ფონდების უკონტროლო სარგებლობით ქმნიდნენ და აფართოვებდნენ თავიანთ საწარმოებს — სამრეწველო, სატრანსპორტო, საბანკო და სავაჭრო ფირმებს. ეროვნული დოვლათის პირდაპირი დატაცებით საგადასახადო და სხვა მრავალნაირი ბეგარით, განსაკუთრებით გულუხვი ამერიკული „დანმარებით“ მათ კოლოსალური სიმდიდრე დააგროვეს. ზღაპრულად გაიზარდა ბიუროკრატიული კაპიტალი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნადავლი ქონებით. ცნობილია, რომ იაპონიის მდიდარი აქტივი, რომელიც ჩინეთში დაბანდებული უცხოეთის კაპიტალის 66 პროცენტს შეადგენდა (6.6 მილიარდი ამერიკული დოლარი 1945 წლისათვის), ბიუროკრატიული კაპიტალის კონტროლს დაექვემდებარა. მასვე გადაეცა გერმანიის ინვენსტიციები, შეფასებული 1945 წლისათვის 365 მილიონ ამერიკულ დოლარად; აგრეთვე იტალიის ინვენსტიციები—1937 წლისათვის 146,4 მილიონ ამერიკულ დოლარად შეფასებული.

ბიუროკრატიული კაპიტალის ხელში თავი მოიყარა ქვეყნის მთელმა სასიცოცხლო არტერიებმა, მოახრჩო თავისუფალი ეროვნული მრეწველობა, გაძარცვა წვრილი მწარმოებელი.

კოლონიურ-კომპრადორული ნიშნების მატარებელმა რეაქციულმა ბიუროკრატიულმა კაპიტალმა ეკონომიური ცხოვრების მონოპოლიზაციით მოამზადა ყველა მატერიალური პირობა სახალხო-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებისათვის. ბიუროკრატიული კაპიტალის მიმართ ანტიფეოდალური და ანტიიმპერიალისტური რე-

ვოლუციის დამოკიდებულება შეუჩინებელი იყო. ჩინეთის კომუნისტური პარტია იმთავითვე ითვალისწინებდა ბიუროკრატიული კაპიტალის ექსპროპრიაციას მხოლოდ კონფისკაციის, გზით, ე. ი. ყოველგვარი გამოსყიდვის გარეშე.

ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ ბიუროკრატიული კაპიტალის კონფისკაცია სახალხო რესპუბლიკის გამოცხადებამდე დაიწყო. სახალხო განმათავისუფლებელი არმიის მთავარი სარდლობის 1949 წლის 25 აპრილის დეკრეტის მე-3 მუხლით კონფისკაციას ექვემდებარებოდა ბიუროკრატიული კაპიტალი მისი საწარმოების, ბანკების, ტრანსპორტის, საბინაო ფონდისა და სხვ. ღირებულებით. ამ დეკრეტში გამოხატული იყო რევოლუციური მასის ნება ანგარიში გაესწორებინა რეაქციის ეკონომიური ბაზისისათვის.

სახალხო რევოლუციის გამარჯვებისთანავე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ერთერთ პირველ დოკუმენტში სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს საერთო პროგრამაში 1949 წლის 29 სექტემბერს გამოცხადებულია ბიუროკრატიული კაპიტალის კონფისკაციის შესახებ, რომელიც გადადის სოციალისტური სახელმწიფოს საკუთრებაში<sup>1</sup>. ეს ღონისძიება იმპერიალისტური ქვეყნების ყველა განსაკუთრებული უფლებისა და პრივილეგიების ლიკვიდაციასთან ერთად, ისტორიული მნიშვნელობის რევოლუციური გარდაქმნა იყო, რომელმაც გამოიწვია სოციალისტური სახელმწიფოს ხელში არსებითად ქვეყნის მბრძანებელი ეკონომიური მწვერვალების გადასვლა. წარმოების მაღალი კონცენტრაცია ბიუროკრატიული კაპიტალის კონფისკაციის

<sup>1</sup> Законодательные акты китайской народной республики, 1952; г. стр. 5



შემდეგ გახდა საფუძველი მრეწველობის მთელ რიგ დარგებში სახელმწიფო სოციალისტური სექტორის დიდი ხვედრითი წონისა. ამიტომაც სახელმწიფო სოციალისტური საკუთრება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის დღიდანვე წარმოადგენდა მძლავრ ძალას და იმთავითვე უზრუნველყოფდა ამ საკუთრების წამყვან როლს მრეწველობასა და ტრანსპორტზე.

ცნობილია, რომ სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალსა და სოციალიზმს შორის არ არის რაიმე გარდამავალი საფეხური, რომ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ფაქტი უკვე თავისთავად, სპეციალური იურიდიული აქტის გარეშე ნიშნავს ბურჟუაზიული სახელმწიფო საკუთრების გადასვლას სოციალისტური სახელმწიფოს ხელში.

ბიუროკრატიული კაპიტალი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავისებური სახესხვაობა იყო სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალისა.

მიუხედავად ამისა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მაინც საჭირო გახდა სპეციალური აქტის გამოცემა ბიუროკრატიული კაპიტალის ნაციონალიზაციის შესახებ. ვინაიდან ჩინეთში არ არსებობდა „წმინდა“ სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი და შეუძლებელი იყო გამოიყვანა გომინდანელ რეაქციონერთა კერძო და სახელმწიფო საკუთრებას შორის. სწორედ ამიტომ ბიუროკრატიული კაპიტალის კონფისკაცია იმთავითვე გახდა საფუძველი სახელმწიფო-კერძო საწარმოების შექმნისა, რამდენადაც ბიუროკრატიულ კაპიტალს მნიშვნელოვანი ინვენსტიციები გააჩნდა კერძო სამრეწველო და სავაჭრო საწარმოებში.

ბიუროკრატიული კაპიტალის კონფისკაცია თავისთავად სისხლის სამართლებრივი ღონისძიება არ ყოფილა. იგი


იყო ჩინეთის მთელი მსხვილი ბურჟუაზიის საკუთრების ნაციონალიზაცია ყოველგვარი გამოსყიდვის გარეშე. ბიუროკრატიული კაპიტალის კონფისკაცია არ მომხდარა სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი კონკრეტული განაჩენების საფუძველზე. დეკრეტები ბიუროკრატიული კაპიტალის კონფისკაციის შესახებ სამეურნეო ცხოვრების დარგში სუვერენული სახელმწიფოს ხელისუფლების ნებას გამოხატავდა და ამიტომაც ექსტერიტორიალური ძალის მატარებელი იყო. ამას განსაკუთრებით უნდა გაუსვათ ხაზი, ვინაიდან ბურჟუაზიული სასამართლოები ხშირად უარყოფენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში განხორციელებულ ნაციონალიზაციის ექსტერიტორიალურ ძალას, თითქოსდა იმის გამო, რომ ისინი დამსჯელი ხასიათისანი არიან და როგორც სისხლის სამართლებრივი ნორმა, არ შეიძლება იყვნენ ექსტერიტორიალური ძალის მატარებლები.

პრინციპულად განსხვავებული უნდა იქნეს საერთო ხასიათის აქტები, რომლებიც პირთა განსაზღვრული კატეგორიის მიმართ კონფისკაციას ითვალისწინებენ, იმ ინდივიდუალურ აქტებისაგან, რომლებიც იურიდიულ-ტექნიკური თვალსაზრისით წარმოადგენენ კონფისკაციას<sup>1</sup>. მაგალითად ჩინეთში გათვალისწინებული იყო კოლაბორაციონისტების, სამხედრო დამნაშავეების, კონტრრევოლუციონერთა ქონების კონფისკაცია სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის საფუძველზე.

საერთო ნორმის საფუძველზე განხორციელებული კონფისკაცია არა

1. В. Лаптев, Вопросы собственности в современном международном частном праве. Краткий „Вопросы международного частного права“. 1956 г., стр. 52—53





მხოლოდ სასჯელია, არამედ ამასთან ერთად იგი არის სოციალისტური სექტორის პირველი დაწყებითი ფუნდამენტის შექმნის წყაროც.

იმას, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნისთანავე განხორციელებული კონფისკაცია არ იყო სისხლის სამართლებრივი ხასიათის ღონისძიება ნათლად ადასტურებს შემდეგი გარემოება. ბიუროკრატიული კაპიტალის კონფისკაციასთან ერთად, სახალხო დემოკრატიულმა სახელმწიფომ მოახდინა იმ საწარმოების ნაციონალიზაცია რომლებსაც ჰქონდათ „დიდი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში და იკავებენ მონოპოლიურ მდგომარეობას ეროვნულ ეკონომიკაში“. სახალხო პოლიტიკური საკომსულტაციო საბჭოს საერთო პროგრამის 28-ე მუხლის ამ მოთხოვნის საფუძველზე კონფისკაციის ფორმით მოხდა ჩინეთის მთელი რკინიგზის, კავშირგაბმულობისა და საჰაერო მიმოსვლის ნაციონალიზაცია, აგრეთვე ნაციონალიზებული იქნა საავტომობილო და სამდინარო ტრანსპორტის ძირითადი მასა.

მიწის განსაზღვრული ნაწილის ნაციონალიზაციას ითვალისწინებდა 1950 წლის 28 ივლისის კანონი (მუხ. 15) ავარაული რეფორმის შესახებ. ნაციონალიზებულ მიწებზე იქმნებოდა სანიმუშო სახელმწიფო მეურნეობანი, საცდელი სასოფლო-სამეურნეო სადგურები და ა. შ. ამ კანონის მე-18 მუხლით სახელმწიფოს ხელში გადადიოდა ტყის დიდი მასივები, საირიგაციო ნაგებობანი, ნავსადგურები. აგრეთვე მიწის წიაღისეული, წყალი. განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო ყამირი მიწების ნაციონალიზაცია. საქმე იმაშია, რომ ჩინეთში ათასწლობით რჩებოდა გამოუყენებელი მიწის დიდი მასივები, მაშინ როცა შედარებით საერთო მიწის ფართობის

მცირე ნაწილი (11 პროცენტი) იყო გამოყენებული.

კონფისკაციის, როგორც სოციალისტური ნაციონალიზაციის ერთერთი ფორმის მასობრივი გამოყენება ჩინეთის რესპუბლიკის არსებობის პირველ პერიოდში, განპირობებული იყო კლასობრივი ბრძოლის თბიქტური ლოგიკით, როცა დამარცხებული მსხვილი ბურჟუაზია და ფეოდალები გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ სახალხო სახელმწიფოს ღონისძიებებს. ასეთ ვითარებაში გამორიცხული იყო თანდათანობით გარდაქმნების შესაძლებლობა, რაც სოციალისტური სახელმწიფოს მხრივ ვადამჭრელი მოქმედების ჩატარებას გულისხმობდა. ამასთან ერთად ჩინელ კომუნისტებს, რომლებიც ამ დიდი გარდაქმნების ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას წარმოადგენდნენ, კარგად ესმოდათ, რომ კონფისკაცია არ შეიძლებოდა ექსპლუატატორთა წინააღმდეგ ბრძოლის ერთადერთი საშუალება ყოფილიყო და მასთან ყველა ვითარებისათვის საუკეთესო საშუალება.

გარდა კონფისკაციისა, ნაციონალიზაციის ჩატარების პროცესში გამოყენებული იქნა რეკვიზიციის ფორმაც. ჩინეთის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს 1953 წლის 5 ნოემბერს მიღებული დებულებით მოწესრიგებულია მიწის რეკვიზიციის საკითხი, როცა იგი ნაკარნახევია თავდაცვითი, სამრეწველო, სატრანსპორტო და სხვა ეკონომიური და კულტურული მშენებლობის განხორციელების აუცილებლობით<sup>1</sup>. ამის გარდა, ჩატარდა რეკვიზიცია მთელი რიგი უცხოური საწარმოებისა. ამ საწარმოების რეკვიზიცია მათი ნაციონ-

1. Конституция и основные законодательные акты китайской народной республики, 1955 г.,



ნალიზაციის მომასწავებელი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი კაპიტალისტური სახელმწიფოების მიზეზით, ჯერაც არ არის გადაწყვეტილი საკითხი რეკვიზირებული საწარმოებისათვის ანაზღაურების წესის შესახებ.

რა თქმა უნდა, მხოლოდ რეკვიზიცია და კონფისკაცია არ ჰქონდათ მხედველობაში ჩინელ კომუნისტებს, როცა ისინი კაპიტალისტური საკუთრების სოციალისტურად გარდაქმნის ფორმების მრავალგვარობას გულისხმობდნენ. ჩინელ კომუნისტებს სავსებით სწორად ჰქონდათ წარმოდგენილი მარქსისა და ლენინის იმ მითითებების მნიშვნელობა, რომ კლასობრივ ძალთა ხელსაყრელი თანაფარდობის ვითარებაში რევოლუციურ ხელისუფლებას შეუძლია დაუშვას წარმოების საშუალებებზე კაპიტალისტთა კლასის საკუთრების გამოსყიდვაც. სწრაფი და ვადამწყვეტი მოქმედება აუცილებელია კლასობრივ მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ ეჭვი არ უნდა გვქონდეს იმაში, რომ ყველა შემთხვევაში ბრძოლის ეს მეთოდი ვერ გაამართლებდა თავის თავს. „წითელგვარდიული იერიში კაპიტალზე“, რომელიც ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ ჩაატარა, კლასიკური ნიმუში იყო კაპიტალისტური საკუთრების სისტემაში ერთდროული შეჭრის განხორციელებისა. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნაციონალიზაციის მაღალ ტემპებს თავისი ჩრდილოვანი მხარეებიც ჰქონდა. პროლეტარიატი დაუყოვნებლივ იღებდა თავის ხელში მრეწველობის ძირითად დარგებს ისეთ ვითარებაში, როცა აგი ჯერ კიდევ სრულიად არ იყო მზად მისი მართვისათვის, არ ჰყავდა რევოლუციის ერთგული სამეურნეო კადრები. ამიტომაც, 1918 წლის გაზაფხულზე ვ. ი. ლენინი აფრთხილებდა მუშათა კლასს ზედმეტად არ გატაცებულიყო


ექსპროპრიაციით, რომ „განსაზოგადოება უბრალო კონფისკაციისაგან სწორედ იმით განსხვავდება, რომ კონფისკაცია შეიძლება მარტოოდენ „სიმტკიცით“, სწორად აღრიცხვისა და სწორად განაწილების უნარის გარეშე, ხოლო განსაზოგადოება ასეთი უნარის გარეშე შეუძლებელია“<sup>1</sup>.

ვ. ი. ლენინს ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამდე მიაჩნდა, რომ „მარტო კონფისკაციით ვერაფერს გახდები, რადგან მასში არ არის ელემენტური ორგანიზაციისა, სწორი განაწილების აღრიცხვისა. კონფისკაციას ადვილად შეეცვლით სამართლიანი გადასახადის გადახდევინებით“<sup>2</sup>.

მამასადამე, კაპიტალისტური საკუთრების მოსპობის მრავალი გზა შეიძლება არსებობდეს; სწორედ ეს შესაძლებლობა ჰქონდათ მხედველობაში ჩინელ კომუნისტებს, როცა ისინი ითვალისწინებდნენ ეროვნული (საშუალო) ბურჟუაზიის საკუთრების მშვიდობიან გარდაქმნას. უკვე 1949 წლის 29 სექტემბერს მიღებული ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს საერთო პროგრამის 31-ე მუხლი ითვალისწინებდა კერძო კაპიტალის განვითარებას სახელმწიფო კაპიტალიზმის მიმართულებით. ჩინეთის ეროვნული (საშუალო) ბურჟუაზია განიცდიდა დევნასა და შევიწროვებას მსხვილი ბიუროკრატიული კაპიტალის მხრივ. ამიტომაც ეროვნული ბურჟუაზია რევოლუციის მერყევი, მაგრამ მაინც სასარგებლო მოკავშირე იყო. ყოველმხრივ გაუმართლებელი იქნებოდა ეროვნული ბურჟუაზიის დაუყოვნებლივი ექსპროპრიაცია. საქმე მარტო იმაში კი არ იყო, რომ ეროვნული ბურჟუაზია ღებულობდა სახალხო ხელის-

1. ვ. ი. ლენინი, თხ. ტ. 27, გვ. 398  
2. ვ. ი. ლენინი, თხ. ტ. 26, გვ. 111—112





უფლებების თანამშრომლობის პოლიტიკას, არამედ მისი გამოყენება ეკონომიურ აუცილებლობას წარმოადგენდა. ეროვნულ ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის პოლიტიკა საშუალებას იძლეოდა თავიდან აცილებული ყოფილიყო ქვეყნის კერძო საწარმოებში მუშათა მასების უმუშევრობა, ეროვნულ ბურჟუაზიას დამხმარე როლი შეესრულებინა სახელმწიფო სექტორის მიმართ. რა თქმა უნდა, ეს პოლიტიკა გულისხმობდა კაპიტალიზმის განვითარებას, მაგრამ იგი არ ყოფილა ჩინეთში კაპიტალისტური ფორმაციის შექმნის გზა. ჩინეთში სახალხო რესპუბლიკას არ დაუშვია კაპიტალიზმის თავისუფალი განვითარება. სოციალისტური სახელმწიფო ითვალისწინებდა კაპიტალისტთა გამოყენებას, მაგრამ ამასთან ერთად ზღუდავდა და დევნიდა კაპიტალისტური მრეწველობისა და ვაჭრობის იმ უარყოფით თვისებებს, რომელსაც ზიანი მოჰქონდა ხალხის კეთილდღეობისათვის. კონტროლისა და თანამშრომლობის საშუალებად გამოყენებული იქნა სახელმწიფო კაპიტალიზმი. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ფართო გავრცელება და მდიდარი პრაქტიკა ჰპოვა ლენინურმა მოძღვრებამ სახელმწიფო კაპიტალიზმის შესახებ<sup>1</sup>.

სახელმწიფო კაპიტალიზმის პოლიტიკის წარმატებით განხორციელების საფუძველი იყო კაპიტალისტური საკუთრების გამოსყიდვის დაშვება. გამოსყიდვის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა კაპიტალისტური საწარმოების თანდათანობით, მშვიდობიანი გარდაქმნა სოციალისტურ საწარმოებად. მხოლოდ გამონაკლისის წესით ხდებოდა კერძო კაპიტალისტური საკუთრების გადაქცევა სოციალისტურად ერთ-

ბაშად, პირდაპირი გამოსყიდვის გზით, სახელმწიფო კაპიტალიზმის სტადიის გარეშე, ამ ფორმის გამოტოვებით. ასეთი გზა კერძო კაპიტალისტური საკუთრების გარდაქმნისა მხოლოდ აუცილებლობის დროს იყო დასაშვები, როცა მისი განხორციელებისათვის სათანადო პირობები არსებობდა<sup>2</sup>.

სახელმწიფო კაპიტალიზმი არ არის საკუთრების დამოუკიდებელი ფორმა. იგი არის მეთოდი, საშუალება, რომლის დროსაც გარდამავალი საფეხურების გავლით თანდათანობით იღვენება და იცვლება კერძო კაპიტალისტური საკუთრება და მის ადგილს სახელმწიფო საერთო სახალხო საკუთრება იკავებს. სახელმწიფო კაპიტალიზმის გზით, მაშასადამე, თანდათანობით ხორციელდება სოციალისტური ნაციონალიზაცია. სწორედ სახელმწიფო კაპიტალიზმის განვითარება მის დაბალ ფორმიდან მაღალ ფორმამდე წარმოადგენდა აუცილებელ კანონზომიერ პროცესს სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა და გაძლიერებისათვის.

შერეული სახელმწიფო-კერძო საწარმოები სახელმწიფო კაპიტალიზმის უმაღლეს ფორმას წარმოადგენდნენ ჩინეთში. ამ საწარმოებში სოციალისტურ ელემენტებს უკავიათ წამყვანი პოზიციები, ხოლო კაპიტალისტურს — დაქვემდებარებული. სოციალისტური ელემენტების წამყვანი როლი შეტანილი ჰაის ოდენობით კი არ არის განსაზღვრული, არამედ სახელმწიფო ხელისუფლების სისტემაში მუშათა კლასის წამყვანი და ხელმძღვანელი როლით. შერეული საწარმოების პროდუქციის წარმოება და გასაღებაც სახელმწიფო გეგმის შესაბამისად ხდება.

<sup>1</sup>. Материалы VIII всекитайского съезда коммунистической партии Китая 1956 г. ст. 20

<sup>2</sup>. Ху-Си-Куи, Основные моменты опыта мирного преобразования капитализма в Китае, краткое „Проблемы развития экономики китайской народной республики“, 1958 г.



როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების-თანავე დაიწყო შერეული სახელმწიფო-კერძო საწარმოების შექმნა. 1954 წლიდან კი დაიწყო გეგმაზომიერი პროცესი შერეულ საწარმოების მასობრივად შექმნისათვის. ამ საწარმოებში, როგორც წესი, შემოსავლის განაწილება „ოთხი თანაბარი წილის“ პრინციპის მიხედვით ხდებოდა. აქედან ერთი მეოთხედი მიდიოდა სახელმწიფოს სასარგებლოდ, როგორც საშემოსავლო გადასახადი, მეორე — სოციალურ-კულტურული უზრუნველყოფის ფონდში, მესამე — წარმოების გაფართოების ფონდში, მეოთხე ნაწილი კი (დაახლოებით 25 პროცენტი) — კაპიტალისტებთან დივიდენდების სახით მათ პაიზე. აქ აღვილი ჰქონდა კაპიტალისტურ ექსპლოატაციას. ამასთან წარმოების ზრდას მივყავდით კაპიტალისტური ექსპლოატაციის ზრდასთან.

1955 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო კერძო საწარმოების დარგობრივი გარდაქმნა შერეული სახელმწიფო-კერძო საწარმოებად. 1956 წლისათვის დამთავრდა კაპიტალისტური სამრეწველო და სავაჭრო საწარმოების გადაქცევა სახელმწიფო-კერძო საწარმოებად. ამავე წლიდან შეიცვალა მოგების განაწილების წესი. თუ აქამდე მოგების განაწილება „ოთხი თანაბარი წილის“ მიხედვით ხდებოდა, ახლა მის ნაცვლად შემოღებული იქნა „დადგენილი, ფიქსირებული პროცენტის“ პრინციპი. ეს იმას ნიშნავს, რომ შერეულ საწარმოს რენტაბელობის მიუხედავად, კაპიტალისტს ეძლევა ხუთი პროცენტი წლიური შემოსავლისა, რომელიც მისი პაის ზუსტი შეფასების შედეგად გამოიანგარიშება. კაპიტალისტური საწარმოების დარგობრივი გარდაქმნა და მტკიცე, დადგენილი პროცენტის პრინციპის შემოღება უკვე

ნიშნავდა სოციალისტურ ნაციონალიზაციის ჩატარებას, მიუხედავად იმისა, რომ გამოსყიდვის ამ პრინციპისათვის შეიდი წლის ვადა იქნა დადგენილი.

გამოსყიდვა ეს არის ანაზღაურება იმის სანაცვლოდ, რომ კაპიტალისტმა უარი თქვა წარმოების იარაღების კერძო საკუთრებაზე. ამასთან შეტად დამახსიათებელია ის გარემოება, რომ კაპიტალისტი განსაზღვრულ პროცენტს ლებულობს დარგობრივი კომპანიების გზით, ისე რომ სახელმწიფო არ იძლევა რაიმე სპეციალურ სახსრებს ამ გამოსყიდვის ჩატარებისათვის. ამგვარი გამოსყიდვა აშკარად ხელსაყრელი იყო სოციალისტური წყობისათვის. კაპიტალისტთა სამრეწველო და სავაჭრო საწარმოების კაპიტალის საერთო ჯამი შეადგენდა დაახლოებით 2,2 მილიარდი იუანს, წლიური ხუთი პროცენტის გადახდა კი იძლევა 770-780 მილიონ იუანს. ამ გამოსყიდვის გზით ეროვნული ბურჟუაზია უარს ამბობს კაპიტალისტური ექსპლოატაციის სისტემაზე და აქტიურად ებმება სოციალიზმის მშენებლობაში. გამოსყიდვის ამ პოლიტიკის განხორციელება ნიშნავდა პრინციპული ცვლილებების ჩატარებას კაპიტალისტური საკუთრების უფლებაში. ამიერიდან კაპიტალისტი კარგავდა საკუთრებას, როგორც სანივთო უფლებას. მას რჩება განსაზღვრული პროცენტის მოთხოვნის უფლება, მაგრამ იგი ამიერიდან ველარასდროს ვერ განდება კაპიტალისტი, რამდენადაც არ შეუძლია თავისი სახსრების დაბანდება კაპიტალისტური საწარმოების შესაქმნელად.

გამოსყიდვის მეთოდით კერძო საწარმოების ნაციონალიზაცია ჩინეთში იყო პროლეტარული რევოლუციის პრაქტიკისათვის მანამდე უცნობი გზით სოციალისტური სახელმწიფო საკუთრების დამკვიდრების საშუალება. თან-



დათანობით მშვიდობიანად ექსპლოატაციის კაპიტალისტური სისტემა იცვლება მეურნეობის სოციალისტური სისტემით. კერძო კაპიტალისტური სექტორი კარგავს თავის დამოუკიდებელ როლს, არსებითად იგი ლიკვიდირებულია. სოციალისტური სექტორი აბსოლუტურად გაბატონებული ხდება. ასეთია ის ძირითადი თავისებურება, რაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სახელმწიფო სოციალისტური საკუთრების დამკვიდრებას ახლდა.

მშვიდობიანი გზით ექსპლოატაციის სისტემის ლიკვიდაცია არ ყოფილა კაპიტალიზმის შეზრდა სოციალიზმში. განვითარება კაპიტალისტურ საკუთრებიდან სოციალისტურ საკუთრებამდე არ ყოფილა მარტივი და ადვილი. იგი კლასობრივი ბრძოლის იმ განსაკუთრებულ ფორმას გულისხმობდა, რომელსაც სახელმწიფო კაპიტალიზმი წარმოადგენს.

სახელმწიფო კაპიტალიზმის პოლიტიკის მიღება ეროვნულმა ბურჟუაზიამ იმიტომ დაუშვა, რომ პროლეტარიატის დიქტატურის მძლავრი სახელმწიფო ხელისუფლების არსებობის პირობებში, რომელსაც ხელთ უპყრია მბრძანებელი ეკონომიური მწვერვალები, ეროვნულ ბურჟუაზიას არ რჩება უკეთესი გამოსავალი, ვიდრე მიიღოს თავისი საკუთრების მშვიდობიანი გამოსყიდვა მუშათა კლასის მხრივ.

შრომისა და კაპიტალს შორის ანტაგონისტური წინააღმდეგობის შემსუბუქებამ, რასაც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფომ მიმართა, ის დიდი სასარგებლო შედეგი გამოიწვია, რომ ჩინეთში კერძო მრეწველობისა და ვაჭრობის გარდაქმნის პროცესს არ მოჰყოლია შედეგად წარმოების შეფერხება, ან მით უფრო მისი მოშლა.

კაპიტალისტური საკუთრების მშვიდობიანი გზით სოციალისტურად გარ-

დაქმნის ჩინეთის გამოცდილებას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით კი ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის.

სახელმწიფო, საერთო-სახალხო საკუთრების გაჩენის თავისებურება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში იმაშიც მდგომარეობდა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ღებულობდა და ღებულობს უანგარო, ძმურ დახმარებას სსრ კავშირისაგან და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებისაგან. ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა მარტო ურთიერთსარგებლობის პრინციპზე აგებული ვაჭრობა სოციალიზმის ბანაკის ქვეყნებთან, არამედ უსასყიდლოდ, საჩუქრის სახით სამრეწველო, სატრანსპორტო და სხვა საწარმოების და ნაგებობების, მოწყობილობების გადაცემა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის.

ყველაფერმა ამან შექმნა არნახულად ხელსაყრელი პირობები ჩინეთში სოციალიზმის წარმატებით მშენებლობისათვის.

საკუთრების სოციალისტური ფორმების გამარჯვება, კომუნისტური პარტიის მიერ ჩატარებულ გიგანტურ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მუშაობასთან ერთად, სახეს უცვლის ძველ ჩამორჩენილ და ღარიბ ჩინეთს. ადრინდელ ჩამორჩენილობას და სიღარიბეს ჩინელი კომუნისტები აქცევენ იმ მძლავრ სტიმულად, რომელიც ქვეყნის ძირეულ გარდაქმნას იწვევს. შესანიშნავად ამბობს ამასთან დაკავშირებით მათ-ძე-დუნის: „600 მილიონიანი ხალხის თვალდანახულ თავისებურებას, სხვა თავისებურებათა გარდა, წარმოადგენს მისი სიღარიბე და ის, რომ იგი წარმოადგენს სუფთა ქაღალდის ფურცელს. ერთი შეხედვით ეს ცუდია, სი-



ნამდვილეში კი—კარგია. სიღარიბე იძულებულს გვხდის ვიფიქროთ ცვლილებებზე, გვაიძულებს ვიმოქმედოთ მოვანდინოთ რევოლუცია. სუფთა ქაღალდის ფურცელზე არაფერი არ არის, მაგრამ მასზე შეიძლება დაწერო ყველაზე უახლესი, ყველაზე მშვენიერი სიტყვები, შეიძლება დახატო ყველაზე

უახლესი, ყველაზე მშვენიერი სურათები.“

ქეშმარიტად ახალ, დიდ და მშვენიერ საქმეს წერს და ხატავს ბუმბერაზი ჩინეთი თავისი ქვეყნის სოციალიზმის რუქაზე. საერთო-სახალხო სახელმწიფო საკუთრება კი ეკონომიური ბაზაა ჩინეთის რესპუბლიკის ამ უეჭველი წარმატებებისა.



# უახლესი გარდაქმნები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო აპარატში

(გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 10 წლისთავის გამო)

## ა. პარანაძე

თოთხმეტი წლის წინათ, მოაწერეს რა ხელი პოტსდამის შეთანხმებებს ომისშემდგომი გერმანიის განვითარების შესახებ, საბჭოთა კავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა და საფრანგეთმა მსოფლიოს წინაშე ივალდებულეს უზრუნველყოთ ერთიანი მშვიდობის მოყვარული გერმანიის შექმნა, სამუდამოდ ეხსნათ კაცობრიობა გერმანიის იმპერიალიზმის მხრივ სისხლიანი ავანტიურების განმეორებისაგან.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკა განვლილი წლების მანძილზე ყოველთვის ემსახურებოდა ამ ამოცანის სრულყოფილად განხორციელების საქმეს. ამ პოლიტიკის შედეგად აღმოსავლეთ გერმანიაში ჩატარდა საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაცია, დენაციფიკაცია, დემილიტარიზაცია; ხალხს, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჰიტლერულ მონობაში იმყოფებოდა, საშუალება მიეცა თვითონვე მოეწყო თავისი ცხოვრება.

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა კი მალე უგულებელყვეს ნაკისრი ვალდებულებანი და დაადგინნ შეთანხმებათა ჩაშლის გზას. ამ დანაშაულებრივ პოლიტიკას მოჰყვა გერმანიის დასავლეთ ნაწილში უმსხვილესი მონოპოლიების პოზიციების განმტკიცება, კაპიტალის შემდგომი კონცენ-

ტრაცია, სამხედრო მრეწველობის შენარჩუნება და განვითარება, უარს თქმა საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციაზე, ბიზონისა და ტრიზონის შექმნა.

გერმანული მილიტარიზმის სწრაფმა აღორძინებამ და ქვეყნის გათიშვის საფრთხემ მთელი გერმანიის მშრომელები დარაზმა ეროვნული ინტერესების დასაცავად, საშობლოს, როგორც ერთიანი მშვიდობის მოყვარული სახელმწიფოს განვითარებისათვის საბრძოლველად.

მაგრამ ხალხის სამართლიანი მოთხოვნების წინააღმდეგ იმპერიალისტებმა მოახდინეს ქვეყნის ორ ნაწილად გათიშვა და მის დასავლეთ ნაწილში შექმნეს სამხედრო-პოლიციური სახელმწიფო — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

ასეთ ვითარებაში საერთაშორისო რეაქციის იმპერიალისტური ზრახვების წინააღმდეგ მიმართულმა გერმანელი ხალხის ბრძოლამ წარმოშვა მშრომელთა პირველი გერმანული სახელმწიფო. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმოშობა შემობრუნების პუნქტი გახდა ევროპის ისტორიაში. მისი სახით ევროპის შუაგულში შეიქმნა ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის ურყევი ბასტიონი, რომელიც დღითიდღე მტკიცდება და ძლიერდება.

მუშურ-გლეხური სახელმწიფოს არ-



სებობის პერიოდში გერმანიის აღმოსავლეთი ნაწილის პოლიტიკური და ეკონომიური სახე ძლიერად შეიცვალა.

საფუძველს დიადი მიღწევებისა, რაც პიტლერული ტირანიისაგან განთავისუფლებულმა ხალხმა ათი წლის მანძილზე მოიპოვა, წარმოადგენენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში განხორციელებული ძირეული გარდაქმნები. მათ შორის აღსანიშნავია, უპირველეს ყოვლისა, სახალხო საწარმოების შექმნა მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე, ვაჭრობასა და სხვა დარგებში, რის შედეგად ჩამოყალიბდა მძლავრი სოციალისტური სექტორი — სახალხო დემოკრატიული სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერების წყარო.

სოციალისტური ბაზისის სწრაფმა განვითარებამ ცვლილებები გამოიწვია ზედნაშენში. წარმოების სოციალისტური წესის განმტკიცებამ გარკვეული წინააღმდეგობანი წარმოშვა ახალ ეკონომიურ ბაზისსა და ზედნაშენში შემორჩენილ ძველ ფორმებს შორის. მაგრამ ახალი საზოგადოებრივი წყობილების პირობებში, მარქსისტულ-ლენინური პარტიის სწორი ხელმძღვანელობის წყალობით ეს წინააღმდეგობანი არ გადაზრდილა კონფლიქტში.

დღიდან მუშურ-გლეხური სახელმწიფოს შექმნისა, მისი განვითარების და სრულყოფის საკითხები ყოველთვის იყო გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ყურადღების ცენტრში. ყოველ მოცემულ ეტაპზე პარტია ახდენდა არსებულ მდგომარეობის საღანალიზს, სახავდა ღონისძიებებს წარმოშობილ წინააღმდეგობათა გადასალახავად.

ამ წინააღმდეგობების გადალახვის მიზნით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკაში სოციალის-

ტური ერთიანი პარტიის ხელმძღვანელობით ჩატარებულ გარდაქმნათა შორის უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება იყო 1958 წლის 11 თებერვალს სახალხო პალატის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე განხორციელებული სახელმწიფო აპარატის შემდგომი გამარტივება და სრულყოფა.

კანონში გათვალისწინებული ცვლილებანი არ იფარგლებოდნენ მხოლოდ ცალკეული სახელმწიფო ორგანოების მოღვაწეობის ფორმებისა და მეთოდების, ან მათი სტრუქტურის სრულყოფით. დაისვა საკითხი მთელი სახელმწიფო საქმიანობის ძირფესვიანი გაუმჯობესების, მისი ხარისხის მკვეთრად ამაღლების შესახებ, რის შედეგად სახელმწიფო აპარატი შესძლებდა წარმატებით ეხელმძღვანელა სოციალისტურ მშენებლობის დიადი საქმისათვის.

აღნიშნული კანონის ცხოვრებაში გატარება წარმოადგენს გერმანიაში სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიის განვითარების ახალ ეტაპს.

სოციალისტურ ქვეყნებში დამკვიდრებული ჭეშმარიტად დემოკრატიულ ტრადიციის შესაბამისად, რომლის მიხედვით ყოველი დიდმნიშვნელოვანი კანონის ან დადგენილების დამტკიცებას წინ უსწრებს მისი საყოველთაო განხილვა, აღნიშნული კანონის შემუშავებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთელმა მშრომელმა მოსახლეობამ.

ქალაქისა და სოფლის მშრომელებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის თეზისებს. დისკუსიამ ცხადყო მათში გათვალისწინებული ღონისძიებების დროულობა და აუცილებლობა, დადასტურა, რომ შემდგომი განვითარება შეუძლებელი იყო ამ გარდაქმნათა გარეშე.



ამ კანონის მიღება პირდაპირ დაკავშირებულია იმ ძირეულ ძვრებთან, რომლებიც მოხდა აღმოსავლეთ გერმანიაში დღიდან დემოკრატიული რესპუბლიკის განმტკიცებისა. კანონის მიღება აუცილებელი გახდა, ვინაიდან ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნების მაღალი ტემპების პირობებში წარმოიშვა წინააღმდეგობა, ერთის მხრივ, საზოგადოებრივი განვითარების, მშრომელთა მასების აქტიურობის, მათი შეგნებულობის და, მეორე მხრივ, სახელმწიფო აპარატის სტრუქტურის, მუშაობის სტილსა და მეთოდებს შორის.

სახალხო ხელისუფლების წლებში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა დიდი გამარჯვებები მოიპოვეს საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების ყველა დარგში. სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობაზე გადასვლის ისტორიული პერიოდი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაიწყო 1949-1950 წლებში. ამჟამად კი სოციალისტურ სექტორს მტკიცედ უკავია წამყვანი მდგომარეობა ქვეყნის ეკონომიკაში. უკვე 1957 წელს სოციალისტურ საწარმოთა ხვედრითი წონა თითქმის 89 პროცენტს შეადგენდა. სოფლად კოოპერაციული და სახალხო საწარმოები ამუშავებდნენ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების 35,2 პროცენტს. რკინიგზის ტრანსპორტი, ფინანსური სისტემა მთლიანად ხალხის ხელშია, საქონელბრუნვის უდიდესი ნაწილი სოციალისტურ საწარმოთა წილად მოდის.

ახალ საწარმოო ურთიერთობათა პირობებში ამოქმედდნენ სოციალიზმის ეკონომიური კანონები. სახალხო და კოოპერაციულ საწარმოთა მშრომელები ფინანსური ოლიგარქიის მცირე ჯგუფის გამდიდრებისათვის კი არ მუ-

შაობენ, არამედ საკუთარი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, თავიანთი სამშობლოს საკეთილდღეოდ. მუშურ-გლეხური ხელისუფლების პირობებში მშრომელი ადამიანი უზრუნველყოფილია შრომის, დასვენებისა და განათლების უფლებით, უზრუნველყოფილია იგი მოხუცებულობისა და შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაშიც.

ახალმა ეკონომიურმა წყობამ ფართო შესაძლებლობანი გადაშალა საწარმოო ძალების მძლავრი აღმავლობისათვის. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა (1951-1955 წლები) ითვალისწინებდა 1954 წელს, 1950 წელთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის 69,7 პროცენტით გადიდებას, ფაქტიურად კი იგი 76,2 პროცენტით გადიდა; ხუთწლედის დავალება მრეწველობის თითქმის ყველა დარგში გადაჭარბებით შესრულდა: მათ შორის მეტალურგიაში, ელექტროტექნიკურ, საფეიქრო და კვების მრეწველობაში.

კულტურული მშენებლობის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში ხუთწლედის თითქმის ყველა დავალება ჯერ კიდევ 1953-1954 წლებში განაღდა. სამრეწველო პროდუქციის მთელმა მოცულობამ 1950 წლის დონეს დაახლოებით 190 პროცენტით გადააჭარბა.

1956 წელს საზოგადოებრივი დოვლათის წარმოება 1955 წელთან შედარებით გაიზარდა 6,1 პროცენტით. 1957 წელს კი წინა წელთან შედარებით იგი გადიდა 7,9 პროცენტით და 104 083 მილიონ მარკას შეადგენდა.

ეს დიდი გამარჯვებები საზოგადოების სოციალისტურ საწყისებზე გარდაქმნის საქმეში მიღწეული იყო იმ დროს, როდესაც სახელმწიფო აპარატის სტრუქტურა და საქმიანობის მე-





თოდები ძირითადად უცვლელი რჩებოდნენ. აქედან წარმოიშვა და განვითარდა ის წინააღმდეგობანი, რომელთა გადალახვას ითვალისწინებს 11 თებერვლის კანონი.

კანონი ისახავს მიზნად, უპირველეს ყოვლისა, ორი, სოციალიზმის წარმატებით მშენებლობისათვის გადაწყვეტი პრობლემის გადაჭრას: მშრომელთა სახელმწიფოებრივ საქმიანობაში მაქსიმალურად ჩაბმას, მათ ყოველდღიურ, აქტიურ, შეგნებულ და გადამწყვეტ მონაწილეობას სახელმწიფო მმართველობაში და ყველა საჭირო პირობის შექმნას შრომის ნაყოფიერებისა და საწარმოო ძალთა განუხრელი ზრდისათვის.

კანონის ცხოვრებაში გატარების არსი იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოს და სამართლის მარქსისტულ თეორიაზე, წარმოებითი ურთიერთობების შეცნობილ კანონებზე დაყრდნობით მიღწეულ უნდა იქნას უშუალოდ საზოგადოებრივი დოვლათის მწარმოებელთა მაქსიმალური მონაწილეობა საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი სახელმწიფო ხელმძღვანელობაში და ამის საფუძველზე სრული გასაქანი მიეცეს მათ შემოქმედებით აქტივობასა და ენერჯიას.

რა სიახლე შეიტანა კანონმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცხოვრებაში?

დღეს საყოველთაოდ ცნობილია ის უაღრესად ერთსულოვანი მხარდაჭერა, რომელიც 1958 წელს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მიერ ჩატარებულმა ღონისძიებებმა ჰპოვეს მშრომელ მასებში. ამის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს, რა თქმა უნდა, წარმოადგენს სახელმწიფო აპარატის შემდგომი გამარტივებისა და სრულყოფის განხორციელება.

ეს სიახლე იმდგომარეობს ოპერატი-

ული სახელმწიფო ხელმძღვანელობის წარმოებასთან დაახლოებაში, ცენტრალურ ორგანოებს შორის საჭირო ურთიერთმოქმედების დამყარებაში, სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების და წარმოებათა ხელმძღვანელების უფლებამოსილების და პასუხისმგებლობის ზრდაში, სახალხო მრეწველობის განვითარების დაგეგმვისა და ხელმძღვანელობის ერთ ორგანოში თავმოყრაში და სხვა.

მრავალი სამრეწველო სამინისტროს გეგმეობით სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის ადრინდელი ფორმადღეს უარყოფილია. სამრეწველო სამინისტროები და მათი მთავარი სამმართველოები გაუქმებულია<sup>1</sup>. მათი ფუნქციები კი განაწილებულია სახელმწიფო საგეგმო კომისიის, თებერვლის კანონის საფუძველზე ჩამოყალიბებული ახალი სახის ორგანოების, ე. წ. სახალხო საწარმოთა გაერთიანებებსა და ადგილობრივ ორგანოებს შორის.

ორგანიზაციის შედეგად ძლიერ გაიზარდა მგეგმავ სახელმწიფო ორგანოთა როლი. მათ ევალებათ არა მარტო ეფექტიური დაგეგმვის ამოცანა; არამედ აგრეთვე უკვე დამტკიცებული სახალხო სამეურნეო გეგმების განხორციელების ხელმძღვანელობა. განსაკუთრებით ამაღლდა სახელმწიფო საგეგმო კომისიის როლი. იგი დღეს მინისტრთა საბჭოს წამყვანი ორგანოა.

დაგეგმვის ადრინდელი პრაქტიკა, რომელსაც ჭარბი ცენტრალიზაცია ახასიათებდა, ახლა უარყოფილია.

დღეს სახელმწიფო დაგეგმვა ხორციელდება შემდეგნაირად: ერთიანი სოციალისტური პარტიისა და მთავრო-

1. გაუქმდა მხოლოდ სამრეწველო სამინისტროები. არ გაუქმებულა მაგალითად, სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, ვაჭრობის, მშენებლობის, სახალხო განათლების და კულტურის, ფინანსთა და სხვა სამინისტროები.





ბის გენერალური ხაზის, მათი კონკრეტული მითითებების შესაბამისად, სახელმწიფო-საგეგმო კომისია მყარ მეცნიერულ საფუძველზე შეიმუშავებს ერთიან საგეგმო დირექტივას, რომელშიც დასახულია სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი განსაზღვრულ ეტაპზე. ამ დირექტივაზე დაყრდნობით შესაბამისი ორგანოები, სახალხო საწარმოთა გაერთიანებები და უშუალოდ წარმოებები წამოაყენებენ კონკრეტულ წინადადებებს, რომელთა საფუძველზე სახელმწიფო-საგეგმო კომისია საბოლოოდ ადგენს სახელმწიფო სამეურნეო გეგმის პროექტს და წარუდგენს მას მინისტრთა საბჭოს. მინისტრთა საბჭოში განხილვის შემდეგ იგი დასამტკიცებლად გადადის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში—სახალხო პალატაში.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს შეიმუშავებს ფინანსთა სამინისტრო. სახელმწიფო-საგეგმო კომისიაში ხდება სახელმწიფო-სამეურნეო გეგმის პროექტისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის კოორდინირება, ამის შემდეგ უკანასკნელი გადაეცემა მინისტრთა საბჭოს, რომელსაც იგი დასამტკიცებლად სახალხო პალატაში შეაქვს.

სახალხო მეურნეობის განვითარების დაგეგმვისა და ხელმძღვანელობის ერთ ორგანოში თავმოყრით თავიდან აცილებულია პრაქტიკაში წინათ არსებული უწყებრივი ზღუდეები და დაქუცმაცებულობა დაგეგმვის, აღრიცხვის, სახსრების განაწილებისა და საგეგმო დავალებათა პრაქტიკულ განხორციელებაში. ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი შედეგი, რომელიც მიღწეულია რეორგანიზაციის მეშვეობით—ეს არის სახელმწიფო ხელმძღვანელობის უშუალოდ წარმოებასთან, ბაზისთან დაახლოება. ამ მიზნით გერმანიის დემოკრა-

ტიულ რესპუბლიკაში შექმნილია სახალი სახის სახელმწიფო ორგანოები, ე. წ. ცენტრალური დაქვემდებარების სახალხო საწარმოთა გაერთიანებები, რომლებიც პრაქტიკულად ხელმძღვანელობენ წარმოებათა საქმიანობას.

სახალხო საწარმოთა გაერთიანებები დარგობრივი სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც იქმნება გარკვეული პროფილის საწარმოთა გაერთიანებით. თვითეულ საწარმოთა გაერთიანებას სათავეში უდგას დირექტორი. ხელმძღვანელობა ხორციელდება მხოლოდ კოლექტიური პრინციპის საფუძველზე. გაერთიანების დირექტორის ყოველი მნიშვნელოვანი მითითება მიიღება მხოლოდ კოლექტიური განხილვის შედეგად, გაერთიანებებთან არსებული ტექნიკურ-ეკონომიური საბჭოების, სამეცნიერო-ტექნიკურ საბჭოების, საწარმოთა ხელმძღვანელობის, შესაბამისი ადგილობრივი ორგანოების აზრის გათვალისწინებით. გაერთიანებათა ხელმძღვანელების აბსოლუტურად კატეგორიული ვალდებულებაა გაითვალისწინონ საკითხის გადაჭრისას წარმოების მუშათა კოლექტივების, მათი პროფკავშირული ორგანიზაციების აზრი.

დაგეგმვისა და ხელმძღვანელობის მაღალეფექტურობის მიზნით სახალხო საწარმოთა გაერთიანებებთან ჩამოყალიბებულია ე. წ. ტექნიკურ-ეკონომიური საბჭოები, რომლებიც მრეწველობის შესაბამისი დარგის წამყვანი სპეციალისტებისაგან, საწარმოთა ხელმძღვანელებისაგან, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებისაგან შედგებიან.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ სახელმწიფო აპარატის საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში შრომის ნაყოფიერების განუზრგელი ზრდისათვის საჭირო პირო-



ბების შექმნა. კანონი აწესებს იურიდიულ გარანტიებს მეცნიერებისა და საწარმოო პრაქტიკის ყოველდღიურ მჭიდრო კავშირსა და ამ საფუძველზე ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფისათვის. სამეცნიერო ტექნიკურ საბჭოებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია სახალხო საწარმოთა გაერთიანებებთან, დაკისრებული აქვთ საგანგებო დავალება — იბრძოლონ საწარმოთა მეცნიერულ-ტექნიკური განვითარებისათვის, საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, შრომის მოწინავე მეთოდების განზოგადებისა და დანერგვისათვის. ისინი მოწოდებულნი არიან დაუახლოვონ მეცნიერება პრაქტიკას, უზრუნველყონ პრაქტიკის მეცნიერული ხასიათი და მეცნიერების პრაქტიკულობა.

მათი პირდაპირი მოვალეობაა მიაღწიონ შრომის ნაყოფიერების ისეთ ზრდას, რომ სახალხო მრეწველობის პროდუქციის ხარისხი ყოველთვის იდგეს საერთაშორისო დონეზე.

სახალხო საწარმოთა გაერთიანებებს, უპირველეს ყოვლისა კი მათ სამეცნიერო-ტექნიკურ საბჭოებს ევალებათ იმყოფებოდნენ ყოველდღიურ მჭიდრო კავშირში უმაღლეს სასწავლებლებთან, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან, სპეციალურ სკოლებთან და ა. შ.

სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს, უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეურნეო საწარმო-დაწესებულებათა შორის კავშირის დამყარების მიზნით ამიერიდან მთელი მეცნიერული მუშაობა, ისე როგორც სპეციალისტთა ახალი კადრების მომზადება, იწარმოებს მხოლოდ სახალხო მეურნეობის პრაქტიკული მოთხოვნილებების შესაბამისად.

ახალი კანონის ცხოვრებაში გატარების შედეგად მიღწეულია მრეწველო-

ბის ხელმძღვანელობის შედარებით მაღალ საფუძველზე აყვანა.

მნიშვნელოვნად ამაღლდა უშუალოდ მწარმოებელთა, მუშათა კოლექტივების როლი საწარმოს ხელმძღვანელობის საქმეში, დაგეგმვის საკითხში. სახელმწიფო დაგეგმვა უნდა გახდეს ყველა მშრომელის ღვიძლი საქმე — ასეთია თებერვლის კანონის კატეგორიული მოთხოვნა.

სახალხო პალატისა და მთავრობის დადგენილებებმა საჭირო სამართლებრივი საფუძველები შექმნეს, რათა საწარმოთა მთელი ხელმძღვანელობა სორციელდებოდეს სახალხო საწარმოთა გაერთიანებების, პროფესიული კავშირებისა და ეროვნული ფრონტის ორგანიზაციათა მჭიდრო კავშირში.

გაზარდა რა საწარმოთა ხელმძღვანელების უფლებამოსილება, კანონმა უპირველეს და ძირითად ამოცანად გამოაცხადა საწარმოს ხელმძღვანელობაში და სახელმწიფო მმართველობაში მუშათა კოლექტივების უშუალო მონაწილეობის უზრუნველყოფა.

ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა ამ ისტორიული რეორგანიზაციისა არის აგრეთვე ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების როლის მკვეთრი ამაღლება. რეორგანიზაციით მიღწეული სოციალისტური დემოკრატიზმის შემდგომი განვითარება გამოიხატება კერძოდ იმაშიც, რომ ითვალისწინებს რა სახელმწიფო აპარატის მშრომელ მასებთან მაქსიმალურ დაახლოებას, შერწყმას, მოსახლეობის ფართო ფენების სახელმწიფოებრივ მმართველობაში ჩაბმას, ეს ღონისძიება გამოიხატულია აღმასრულებელი ორგანოების მიმართ წარმომადგენლობითი ორგანოების საკონტროლო ფუნქციების ზრდისათვის.

თუ ხელმძღვანელობის ადრინდელი სისტემის დროს ადგილობრივ ორგანოებს და მათ აღმასრულებელ ორგა-



ნოებს არ გააჩნდათ არსებითი უფლებები ცენტრალური დაქვემდებარების საწარმოების საქმიანობაზე, დიდი რაოდენობა უშუალოდ მათ გადაეცა, გაიზარდა აგრეთვე მათი უფლებამოსილება. იმ საწარმოთა მიმართ, რომლებიც ცენტრალურ დაქვემდებარებაში რჩებიან. მართალია ამ უკანასკნელთა ხელმძღვანელობა ხორციელდება შესაბამისი სახალხო საწარმოთა გაერთიანებების მიერ, მაგრამ მთელ რიგ საკითხებში ისინი ანგარიშვალდებულნი არიან აგრეთვე ადგილობრივი ორგანოების წინაშე. სათანადო ორგანოებს, მავალითად სახალხო საწარმოთა გაერთიანებებს, ევალებათ საქმის კურსში ჩააყენონ ადგილობრივი სახალხო წარმომადგენლობანი. გააცნონ იმ საწარმოთა ამოცანები, რომელთა სამეურნეო საქმიანობას დიდი მნიშვნელობა აქვს მოცემული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულისათვის, გაითვალისწინონ ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენელთა აზრი.

ადგილობრივი ორგანოების მიერ ამ გაზრდილი ამოცანების უკეთ შესრულების მიზნით საოლქო საბჭოებთან<sup>1</sup> ჩამოყალიბებულია ეკონომიური საბჭოები. საოლქო საბჭოების ეკონომიური საბჭოების მოვალეობაა ადგილობრივი სახალხო მეურნეობის დაგეგმვა, საწარმო-დაწესებულებათა მიერ საგეგმო დავალებების შესრულების ხელმძღვანელობა და კონტროლი. საოლქო საბჭოების ეკონომიური საბჭოები ექვემდებარებიან ერთსა და იმავე დროს სახელმწიფო საგეგმო კომისიას და შე-

საბამის ადგილობრივ საბჭოს. ასეთი ორმაგი დაქვემდებარების პრინციპის გატარებით მიღწეულია ადგილობრივი ორგანოების პასუხისმგებლობის ამაღლება დაგეგმვისა და სახელმწიფო გეგმების განხორციელებაში.

რეორგანიზაციის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა რაიონული საბჭოების საგეგმო კომისიების მუშაობის გაუმჯობესებასა და ორგანიზაციულ სრულყოფას.

ოლქში — საოლქო ეკონომიური საბჭო, რაიონში — რაიონული საგეგმო კომისია შემუშავებენ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმებს, რომელსაც შემდეგ ამტკიცებენ შესაბამისი სახალხო წარმომადგენლობანი.

მიუხედავად იმისა, რომ 11 თებერვლის კანონის ცხოვრებაში გატარება თითქოს დაკავშირებულია ერთგვარ დეცენტრალიზაციასთან, არსებითად ეს პროცესი არ წარმოადგენს დეცენტრალიზაციას, ცენტრალიზმის პრინციპის შესუსტებას. რეორგანიზაციით მიღწეული ცენტრალიზმისა და დემოკრატიზმის ახალი, შედარებით მაღალი ერთიანობა შეესაბამება კლასთა ძალების თანამედროვე შეფარდებას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

ყოველივე ზემოხსენებული კი იმას ნიშნავს, რომ გერმანიის სახალხო-დემოკრატიული მუშურ-გლეხური სახელმწიფო აპარატი უფრო ღრმად იმსკვავლება დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპებით. ყოველივე ეს ნიშნავს სოციალისტური სახელმწიფო საქმიანობის ამ წამყვანი პრინციპის განვითარებას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სინამდვილეში.

1. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში შესაბამისი ადმინისტრაციული-ტერიტორიული ერთეულია საბჭოდ იწოდება ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანო.



# სულხან-საბა ორბელიანის შეხედულება ბრალზე

(დაბადებიდან 300 წლისთავის გამო)

პროფ. ი. სურგულაძე

სულხან-საბა ორბელიანი იმ ადამიან-თა ჯგუფს ეკუთვნის, რომელთაც განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვით სამშობლოს წინაშე.

სულხან-საბა ერთსა და იმავე დროს იყო დიდი მხატვარი, მეცნიერი და სახელმწიფო მოღვაწე. „სიბრძნე-სიცრულისა“ ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი შესანიშნავი ნაწარმოებია, „ქართულ ლექსიკონს“ დღემდე არ დაუკარგავს მეცნიერული მნიშვნელობა, ხოლო სულხანის პრაქტიკულ სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა თავის დროს.


სულხანი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საქართველოსათვის მეტად მძიმე ეპოქაში. საქართველო დანაწილებული იყო სამეფო-სამთავროებად, ხოლო სამეფო-სამთავროები თავის მხრივ საფეოდალოებად იყოფოდა. ამავე დროს დაქუცმაცებული საქართველო ოკუპირებული იყო ირანისა და ოსმალეთის მიერ. ფეოდალური აშლილობა ცალკეულ სამეფო-სამთავროში ხელს უწყობდა ოკუპანტების ბატონობას.

სულხანი და მისი თანამოაზრენი კარგად ხედავდნენ იმ საშიშროებას, რომელიც სამშობლოს ემუქრებოდა; ქართველ ხალხს მოზღვაებული მტრებისა და ფეოდალური აშლილობის მუდმივ ვითარებაში არ შესწევდა

ძალა საკუთარი ძალებით „დაჩხულობიდან“ გამოსვლისა. ამიტომ იყო, რომ სულხანი დიპლომატიური მისიით ევროპაში გაემგზავრა, რათა მიეღო დახმარება მაშინდელი საფრანგეთის ძლიერი სახელმწიფოსაგან. სულხანის ეს ნაბიჯი იმ მხრივ აღმოჩნდა სასარგებლო, რომ საგარეო ორიენტაციის საკითხში გარკვეულობა შეიტანა: ნათელი გახდა, რომ დასავლეთ ევროპას არ შეუძლია საქართველოსათვის დახმარების აღმოჩენა და ამის შესაბამისად საქართველოს მესვეურებმა საბოლოოდ რუსეთთან დაკავშირება გადაწყვიტეს.

დიდია ის როლი, რომელსაც სულხანი ასრულებდა საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. ამ მხრივ ფრიალ დამახასიათებელია, რომ „სულხანს თანამედროვენი „საქართველოს მამას“ უწოდებდნენ. ეს გარემოება მაჩვენებელია სულხანის დიდი ავტორიტეტისა. მან სამართლიანად დაიმსახურა ქართველი ხალხის ნდობა და სიყვარული, როგორც სამშობლოს დიდმა მოამაგემ. საქართველოს გაერთიანება და მისი განთავისუფლება იყო სულხანის მიზანი, მისი ბრძოლის საგანი, ამას შეაღია მან მთელი თავისი სიცოცხლე. ის სამშობლოს განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეში იდგა





და აერთიანებდა ამ ბრძოლაში ფეოდალური საქართველოს მოწინავე ადამიანებს.

სულხანი თავისი ეპოქის მიხედვით პროგრესულად მოაზროვნე ადამიანია. ის სწავლა-განათლების მოტრფიალეა. მართალია სულხანი მორწმუნეა, მაგრამ ის მაინც ახერხებს სარწმუნოებასთან შეათავსოს ზოგიერთი პროგრესული იდეა. სულხანის აზრით, არის მოვლენები, რომელთა საწყისი ღვთის გარეშე უნდა ვეძიოთ, ან უკეთ რომ ვთქვათ, თვით ღვთის მიერ არის დაკანონებული ის გარემოება, რომ რიგი მოვლენებისა მის გარეშე ღებულობს დასაბამს. ასეთი მოვლენები კი მიზეზობრიობის კანონს ემორჩილებიან და მათ შესაცნობად მეცნიერული კვლევა-ძიებაა საჭირო. მაშასადამე, სულხანის მსოფლმხედველობა მეცნიერებისათვის ადგილს ტოვებს.

ამასთანავე, სულხანს უყვარს ადამიანი და სჯერა მისი გონების. სულხანის აზრით გაერთიანებულ საქართველოში უნდა იყოს განათლებული მონარქია რომელსაც უნდა ყავდეს აგრეთვე განათლებული ვეზირები.

სულხანის „სიბრძნე-სიცრუისა“ მიძღვნილია მეფის ძის აღზრდისადმი. მეფის სწავლა-აღზრდაზე, სულხანის აზრით, მრავალი რამ არის დამოკიდებული. სათანადო სწავლა-განათლებით აღჭურვილ მეფეს შეუძლია აღმოფხვრას ფეოდალური საზოგადოებისა და სახელმწიფოს ნაკლოვანი მხარეები. ამ იდეალისტურ შეხედულებაში საყურადღებო ის არის, რომ სულხანი აბსოლუტიზმის მომხრეა, ხოლო ისტორიის გარკვეულ საფეხურზე სახელმწიფოს ეს ფორმა პროგრესული იყო.

სულხანს აბსოლუტიზმი იმიტომ მოსწონს, რომ მაშინდელი ევროპის მოწინავე ქვეყნებში აბსოლუტური

მონარქია არსებობდა (საფრანგეთი, რუსეთი და სხვა), ეს ქვეყნები კი სულხანის აზრით მისაბაძი იყო თავისი სახელმწიფოებრივი წყობილებით.

სულხანს საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული საზოგადოებაზე, კლასებზე, სახელმწიფოზე და სხვ. ამ წერილში ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ ერთ საკითხზე: სულხანის შეხედულება ბრალზე.

სასჯელის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის საფუძვლის საკითხი ყოველთვის დიდ ყურადღებას იქცევდა კაცობრიობის ისტორიაში. რამდენადაც განვითარების დაბალ საფეხურზე იდგა ესა თუ ის ხალხი, იმდენად ობიექტურ შერაცხვას უფრო ფართო გასაქანი ჰქონდა.

კაცობრიობა თანდათან მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დასჯის საფუძველი უნდა იყოს ბრალი. ბრალი არის დანაშაულის სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილ მოქმედებისადმი. ბრალს აქვს ორი ფორმა — განზრახვა და გაუფრთხილებლობა.

შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულის სუბიექტური მხარე უმთავრესად სწორედ ბრალის პრობლემაა.

როდესაც ჩვენ სულხანის შეხედულების შესწავლა გვინდა ბრალის საკითხზე, პირველ ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ ის წყაროები, რომელთა საფუძველზედაც შესაძლებელია ამის შესწავლა.

სულხანს სპეციალური შრომა ამ საკითხზე არ დაუტოვებია. საერთოდ მას იურიდიული შინაარსის შრომა არა აქვს. მიუხედავად ამისა, სულხანის შეხედულებათა სისტემის შესწავლა ხერხდება მისი ისეთი შრომებით, როგორცაა: „სიბრძნე-სიცრუისა“, „ქართული ლექსიკონი“, „მოგზაურობა ევროპაში“ და სხვ. იმ შემთხვევაში, რო-



ცა სულხანის შეხედულების შესასწავლად გამოყენებული გვაქვს მისი ლექსიკონისეული განმარტება, მაშინ გათვალისწინებული გვაქვს ის გარემოებაც, თუ როგორ და რა შინაარსით არის გამოყენებული ეს განმარტება სულხანის სხვა შრომებში, ან სულხანის ეპოქის საკანონმდებლო ძეგლებში. არ შეიძლება ამასთან დაკავშირებით არ აღვნიშნოთ, რომ სულხანისეული განსაზღვრებანი ხშირად საფუძვლად ედებოდა ვახტანგის სამართლის წიგნის ამა თუ იმ მუხლს.

რა არის სულხანის აზრით ის საფუძველი, რომელიც უნდა დაედოს ადამიანის მოქმედებათა კლასიფიკაციას? შეიძლება თუ არა ამ კლასიფიკაციის საფუძველი იყოს ნება? საკითხი თავისუფალი ნების შესახებ დაკავშირებულია ბედისწერასთან, განგებასთან. ბედისწერა გამორიცხავს თავისუფალ ნებას. „სიბრძნე-სიცრუისაში“ მოიპოვება მასალა ნების თავისუფლებისა და ბედისწერის საკითხის შესახებ, მაგრამ ეს შრომა ისეთი ჟანრის ნაწარმოებია, რომ მასში ავტორის შეხედულება პირდაპირ არ არის მოცემული, აქ ის საძიებელია. ხსენებულ საკითხზე „სიბრძნე-სიცრუისაში“ ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულებაა წარმოდგენილი: ერთის მხრივ, ბედისწერისა ანუ განგების გარეშე არაფერი არ ხდება (არაკი „უბედური დიდგაჭარი“),<sup>1</sup> მეორეს მხრივ, ბედი თვით ადამიანის ხელშია („უგუნური მცურავი“)<sup>2</sup>.

მაგრამ „მფლობელის“ განმარტებაში სავსებით მკაფიოდ ჩანს სულხანის შეხედულება ადამიანის მოქმედების საფუძველზე. „მფლობელობა არის თვი-

სის ნებისა ქმნა“. მაშასადამე, ადამიანს შეუძლია თავისი ნებით ამა თუ იმ საქმის გაკეთება. ქრისტიანული რელიგიის თანახმად ღმერთმა ადამიანი კეთილი შექმნა, მაგრამ ადამიანის თავისუფალი ნება შეიქმნა საფუძველი ბოროტების. თავისუფალი ნება და მისი საზღვრები თვით ღვთის მიერ არის განწყობილი.

როდესაც მოქმედების კლასიფიკაციის საკითხი ისმის, პირველი რასაც სულხანი აქცევს ყურადღებას, ეს არის მოქმედების საფუძველი: ნებისთია ის თუ არანებისთი. ეს არის მოქმედებათა დაყოფის ძირითადი საშუალება.

ნებისთი მოქმედება სულხანს ესმის როგორც განზრახვითი. სულხანის განმარტებით ნებისთი ეწოდება ისეთ მოქმედებას, რომელიც არ არის გამოწვეული არც იძულებით და არც უმეცრეობით.

სულხან-საბა საგანგებოდ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ნებისმიერი მოქმედება გამორიცხავს ერთის მხრივ იძულებას და მეორეს მხრივ უმეცრეებას. ნებისმიერი არ არის „არც იძულებით, არც უმეცრებით“ ქმნილი, არამედ „მიზეზი თავსა შორის თვისსა“ იმყოფება.<sup>3</sup> ნებისთი მოქმედება ისეთი მოქმედებაა, რომელსაც ადამიანი ჩადის, როგორც გონიერი არსება, ასეთი მოქმედების „მიზეზი“ თვითონ მოქმედშია მოცემული და არა მის გარეთ.

ამასთანავე სულხანი აღნიშნავს, რომ ყველა მოქმედება ყოველთვის კი არ არის ადამიანის ნება-სურვილზე დამოკიდებული: არის ზოგიერთი მოქმედება, რომელსაც ადამიანი იძულებით ჩაიდენს, ე. ი. მას არა აქვს სურვილი ასეთი მოქმედების ჩადენისა, მაგრამ სხვადასხვა გარემოების გამო ადამიანი

1. სულხან-საბა ორბელიანი, „სიბრძნე სიცრუისა“. 1938 წ., გვ. 13—14.

2. იქვე, გვ. 11

3. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ა. შანიძის რედაქციით 1928 წ.



იძულებულია ჩაიღინოს ასეთი მოქმედება.

სულხანი ყურადღებას აქცევს შემდეგ გარემოებას: არიან ისეთი მოქმედებანი, რომლებიც არც ნებსითია და არც უნებურად; ასეთ მოქმედებას სულხანი უწოდებს „საშუალო ნებსითისა და უნებლიეთისა“.

სულხანის შეხედულებით ადამიანის მოქმედებანი დაიყოფა შემდეგნაირად:

1. ნებსითი მოქმედება.
2. საშუალო ნებსითისა და უნებლიეთის.
3. უნებლიეთი იძულებითი.
4. უნებლიეთი უმეცრებითი: ა) არა ნებსითი, ბ) უნებლიეთი.

სულხანის შეხედულებით, ადამიანი, როგორც გონიერი არსება, ამავე დროს არის თვითმფლობელი ადამიანის თვითმფლობელობა იმას ნიშნავს, რომ მას შეუძლია თავისი ვნებები თავის ნებას დაუმორჩილოს.

განზრახვა, ვნებისაგან განსხვავებით, გონიერების ბრძმედში გატარებული ადამიანის სურვილია. ადამიანი განზრახულთაგან — ბჭობის, თავისთავთან თათბირის შედეგად, ახდენს მოვლენათა შეფასებას და შეიწყნარებს მისთვის უფრო მისაღებ განზრახულსა და კიდევ მიიღებს გადაწყვეტილებას უკანაყენელის შესრულების შესახებ. მაგრამ ეს გადაწყვეტილება კიდევ არ ნიშნავს, რომ განზრახული მოქმედება უეჭველად შესრულდება. ის შეიძლება არც შესრულდეს.

ამგვარად, განზრახვა ამ ცნების ზოგადი გაგებით, სულხანის აზრით, ეს არის ერთგვარი სურვილი, გონიერი წადილი და ამდენად ის ნებისმიერია. ნებისმიერი მოქმედება ამავე დროს არის განზრახული მოქმედება, რადგანაც განზრახვა და ნება-სურვილი ერთმანეთს ემთხვევა.

განზრახულ მოქმედებას ადამიანის

გონება ხელმძღვანელობს. ასეთი მოქმედება შეცნობილია ადამიანის მიერ როგორც ნებიდან გამომდინარე: განზრახული მოქმედების დროს მოქმედი პირის სუბიექტური განწყობილება სრულიად ნათელია. მისი მოქმედება მისი ნება-სურვილის შესატყვისია, მაგრამ საქმე ამით არ მთავრდება.

სულხანის აზრით, ადამიანის ვნებები ადამიანს უნდა ემორჩილებოდეს. ამით განსხვავდება ადამიანი პირუტყვისაგან; რადგანაც ვნებები ადამიანის გონებას უნდა ემორჩილებოდეს, ამიტომ ვნებების შედეგად ჩადენილი მოქმედებისათვის ადამიანი პასუხისმგებელი უნდა იყოს, რადგანაც ვნებების მიზეზი თვით ადამიანის შიგნით არის, ე. ი. ადამიანს შეეძლო ვნებები დაემორჩილებია. ამასთანავე, სულხანმა იცის ისეთი მოქმედებანი, რომლებიც არც განზრახვითია და არც უნებლიეთი.

თვით საკითხის დასმა სულხანის მიერ იმის შესახებ, რომ ზოგიერთი მოქმედება შეიძლება ისეთი იყოს, რომელიც არც განზრახვას მიეკუთვნება და არც უნებლიეთობას, ფრიად საყურადღებოა ბრალეულობის დიფერენციულობის თვალსაზრისით.

განზრახვას სულხანი უპირისპირებს უნებლიეთ მოქმედებას. პირველყოვლისა, სულხანის მიხედვით, უნებლიეთ შეიძლება იყოს იძულებითი მოქმედება.

ამას მოსდევს უნებლიეთი უმეცრებითი მოქმედება. სულხანი უნებლიეთი უმეცრებითი მოქმედების დაყოფას ახდენს და ამ დაყოფის საფუძველი არის მოქმედების სუბიექტური განწყობილება თავისი მოქმედების შედეგისადმი.

უმეცრებითი უნებლიეთი მოქმედების განხილვაში სულხანს შეაქვს შეფასების მომენტი: როგორ დამოკიდებულებაში აღმოჩნდა ადამიანი თავისი უნებლიეთი მოქმედების შედეგისადმი:



გაუხარდა თუ ეწყინა ეს შედეგი. მაშასადამე, სულხანის აზრით, თავიანთი მოქმედების შედეგისადმი სხვადასხვა ადამიანები სხვადასხვაგვარ ფსიქიკურ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ.

სულხანის აზრით, უნებლიეთობის ორი სახე — არა ნებისითი უმეცრებით უნებლიეთი და უნებლიეთი ვიწრო მნიშვნელობით იმით განსხვავდებიან ერთიმეორისაგან, რომ პირველ შემთხვევაში მოქმედმა გამოამჟღავნა სიხარული თავისი მოქმედების შედეგისადმი, მეორე შემთხვევაში მოქმედის სულიერი განწყობილება უარყოფითია თავისი მოქმედების შედეგისადმი. მოქმედების უნებლიეთობა ორთავე შემთხვევაში იმაში გამოიხატა, რომ მოქმედმა არ იცოდა თუ რა შედეგი მოყვებოდა მის მოქმედებას.

ისმება საკითხი: გამონახა თუ არა სულხანმა საერთო საფუძველი განზრახვისა და უნებლიეთი მოქმედებისათვის? მან ეს საერთო იმაში გამონახა, რომ მოქმედებათა კლასიფიკაციის საფუძველად ნებისყოფა აღიარა.

ბრალის ზოგადი ცნების განსაზღვრებისათვის საჭირო წინამძღვრები მოცემულია სულხანის შრომებში. თქმულის გარდა, ამის დამამტკიცებელია აგრეთვე ის გარემოება, რომ სულხანი გვაძლევს დანაშაულის ისეთ განმარტებას, რომელშიაც დანაშაულებრივი მოქმედების შეფასების მომენტზეა ყურადღება მიქცეული, ისე როგორც უნებლიეთი უმეცრებითი მოქმედების დროს. სულხანის განმარტებით, დანაშაული არის შეცდომა ანუ „შავად ქმნა საქმისა“, ხოლო შეცოდება ავის ქნას უდრის, ავი — კი არაკეთილს ნიშნავს.

აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ტერმინი „დანაშაული“ უცნობია IX—XIII საუკუნეების ძეგლებისათვის, ხოლო სულხანის „ქართული ლექსიკონის“ ცნება „დანაშაუ-

ლი“, რომელიც იმავე ლექსიკონით შეცოდებას ანუ საქმის „შავად ქმნას“ ნიშნავს ზმნა „დაშავებისაგან“ უნდა იყოს ნაწარმოები, „დაშავება“ კი მეცნიერის აზრით „აგრეთვე ვისთვისმე ფიზიკური ან ზნეობრივი ვნების მიყენებასაც ნიშნავდა. თვით საბას ცნობითვე „დაშავება ხეიბრად შექმნას“ ეწოდებოდა. ხეიბარი კი იყო „კაცი დამავებული“ დაჭრილ-დაზარალებული“<sup>1</sup>.

სულხანის დროს „დანაშაული“ „გარდამავალი მოქმედების“ შემცველი სიტყვაა და ასეთი შინაარსით იხმარება ის ვახტანგის სამართლის წიგნშიც (მუხ. 76, 95, 235, 253).

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სულხანის შრომებში ბრალის ცნების წინამძღვრებია მოცემული. რას ვგულისხმობთ ამ წინამძღვრებში? რასაკვირველია, სულხანი ბრალის პრობლემას არ შეხებია, ის არ შეხებია სისხლის სამართლის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხს. მაგრამ მის განსაზღვრებებში, მის შრომებში საერთოდ მოცემულია მისი შეხედულება მოქმედებათა კლასიფიკაციის შესახებ. სულხანის ამ მოქმედებათა კლასიფიკაციაში ვხედავთ ბრალის წინამძღვრებს.

ამასთანავე, ქართული სამართლის ისტორიაში მოქმედებათა კლასიფიკაციის საკითხის დამუშავებაში სულხანს წინამორბედი ყავდა ექვთიმე მთაწმიდელის სახით. სულხანი, რასაკვირველია, კარგად იცნობდა ექვთიმეს შრომებს და თავის ლექსიკონში სხვადასხვა განმარტების დროს კიდევ მიუთითებს ექვთიმე მთაწმიდელზე. მაშასადამე, სულხანი იცნობს ექვთიმეს შეხედულებას ბრალზე. ექვთიმე მთაწმიდელს, როგორც ცნობილია, ფრიად საყურადღებო დებულებები აქვს წამოყენებული ბრალის სხვადასხვა სახეებისა და

1. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. II გვ. 256.



ინდივიდუალური პასუხისმგებლობის შესახებ.

როგორც ექვთიმე, ისე სულხანი ინდეტერმინისტებია.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ექვთიმე მთაწმიდელი მოქმედების დაყოფის საფუძველს; მისი შეხედულებით მოქმედება შეიძლება იყოს „ნებსითი“ ანუ „განზრახვითი“ და „უნებლიეთი“; უნებლიეთი მოქმედება მისი განმარტებით არის მოქმედება „გარეშე გონებისა“<sup>1</sup>. სულხანიც, როგორც ვთქვით, ასევე ყოფს მოქმედებებს — ნებსითად და უნებლიეთად. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ასეთ დაყოფას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ვახტანგის სამართლის წიგნშიც. კანონმდებელი მოსამართლეს სავალდებულოთ უხდის, პირველყოვლისა, იმის გამოკვევას, თუ რის შედეგია დანაშაულებრივი ქმედობა: ნებსით მოხდა ის თუ უნებლიეთ ანუ „ნდომით“ თუ „უნდომლად“ და ამის შესახებ კანონმდებელი წერს არა რომელიმე კაზუსთან დაკავშირებით, როგორც ეს ფეოდალური სამართლის წიგნებშია მიღებული, არამედ საგანგებოდ (მუხ. 24).

როგორც ექვთიმეს, ისევე სულხანსა და კანონმდებელს „უნებლიეთობის“ ცნებაში მრავალი სახის მოქმედება აქვთ გაერთიანებული.

აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ექვთიმე მთაწმიდელს შემუშავებული ჰქონდა გაუფრთხილებლობის ცნება იმ შინაარსით, როგორიც მას აქვს სისხლის სამართლის მეცნიერებაში<sup>2</sup>.

აკადემიკოსი ჯავახიშვილის აზრით ქართულ წყაროებში „გაუფრთხილებ-

ლობა“ „უდებობად“ იწოდებოდა<sup>3</sup>. საყურადღებოა იმ გარემოების აღნიშვნა, რომ როგორც სულხანმა, ისე ვახტანგის სამართლის წიგნმა, იცის ტერმინი უდებობა ანუ უდები (ქართული ლექსიკონი, ვახტანგის სამართლის წიგნი, მუხლი 214), მაგრამ ამ ტერმინს ხსენებულ წყაროებში სრულებით სხვა შინაარსი აქვს, ე. ი. არ ნიშნავს გაუფრთხილებლობას. ამით ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ სულხანი კრიტიკულად ითვისებს წყაროების ცნობებს. სულხანს აქვს მოცემული სიტყვა „ფათერაკი“, რომელსაც ასეთ განმარტებას აძლევს: „მოულოდნელად და უნებლიეთ იქმნას რამ ანაზღად“. ამ ცნებაში კი მოთავსდება ყოველგვარი უნებლიეთი მოქმედება, როგორც შემთხვევა ისე გაუფრთხილებლობა და სხვა. ვახტანგის სამართლის წიგნშიც უნებლიეთობის აღმნიშვნელ სიტყვად ფათერაკი გვხვდება (მუხ. 92, 95, 183, 192, 230, 252).

ამასთანავე, ვახტანგის სამართლის წიგნში „ფათერაკი“ ფართო ცნებაა და სხვადასხვა კაზუსის აღწერილობის მიხედვით ზოგჯერ ის შესაძლებელია შემთხვევად მივიჩნიოთ, ზოგჯერ გაუფრთხილებლობად და სხვა.

როგორც აღვნიშნეთ, უნებლიეთი მოქმედება, როგორც ექვთიმე მთაწმიდელის, ისე სულხან ორბელიანის აზრით „გონებით გარეთ“ მოქმედებას ნიშნავს.

უნებლიეთი მოქმედება მოკლებულია ცნობიერებას. მაგრამ ასეთი ზოგადი განსაზღვრა სულხანს არ აკმაყოფილებს. არაცნობიერი მოქმედების დროს, სულხანის აზრით, მოქმედების მიზეზი ჩვენს გარეშეა. სიმთვრალის დროს ადამიანი ცნობიერების გარეშე მოქმედებს, მიუხედავად ამისა, სულხან-

1. „წესი და განგება“, გვ. 57,

2. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. II, გვ. 265.

3. იქვე.



ნის აზრით, აქ გამონაკლისი უნდა იქნეს გაკეთებული: რადგანაც თვით დათრობა ადამიანის ნებაზე არის დამოკიდებული, ამიტომ სიმთვრალის შედეგად ჩადენილი ადამიანს უნდა ჩაეთვალოს როგორც ცნობიერი მოქმედება: თუ ვინმემ სიმთვრალით „ქნას რამე, ნუ აბრალებს უმეცრებასა; ვინათგან ნებისით დაითრო“; ვახტანგის სამართლის წიგნში იგივე აზრი ზუსტად არის გადმოცემული: „ღვინოში რომ კაცმან ან კაცი მოკლას, ან დაჭრას, თუ რაც უყოს“ ის პასუხს აგებს, რადგანაც „რომ იცის ღვინოში აჩქარებული არის, რატომ დაღვეს ამდენს, რომ ამგვარს საქმეს აქნევენებს“ (მუხ. 93).

სიმთვრალესთან ერთად, სულხანი „გულმწყრალობას“ ასახელებს, რომელსაც შეუძლია ადამიანს არაცნობიერი მოქმედება ჩადენინოს, მაგრამ ვახტანგის სამართლის წიგნი „გულმწყრალობას აღარ ახსენებს, ალბათ იმიტომ, რომ „გულმწყრალობის“ მიხედვით მოქმედების დადგენა პრაქტიკულად ძნელია.

როგორც ვთქვით, სულხანი განზრახვას უპირისპირებს ერთის მხრივ იძულებას და მეორეს მხრივ უმეცრებას. ორთავე უნებლიეობის სახეებია.

საყურადღებოა იმ გარემოების აღნიშვნა, რომ „სიბრძნე-სიცრუის“ მიხედვით „უმეცრება“ შედარებითი, პირობითი ცნებაა; შეიძლება ადამიანი საერთოდ უმეცარი არ იყოს, მაგრამ განსაზღვრული მოვლენების შესახებ არ ჰქონდეს სათანადო ცოდნა; ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ხსენებული ნაწარმოების მიხედვით, ერთსა და იმავე მოქმედებას სხვადასხვაგვარად აფასებენ საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენლები (იგავი „ცრუ და უმეცარი“).

გარდა ამისა, ზოგიერთი დანაშაული ჩვევად არის გადაქცეული („ქურდი და მკერვალი“). სულხანის აზრით საჭიროა საქმის დაწვრილებით გამორკვევა („სიბრძნე-სიცრუისა“, გვ. 22, 29), ამასთანავე, საჭიროა შესწავლა, როგორც მოქმედების, ისევე მოქმედის პიროვნების, იმის გამორკვევა თუ როგორ უყურებს მოქმედი იმ მოქმედებას, რომელსაც ჩადის და რომელიც დანაშაულად არის შეფასებული, რა მოტივით ხელმძღვანელობდა მოქმედი (იგავი „ხალიფა და არაბი“) და სხვა.

რასაკვირველია, ჩვენ შორს ვართ იმისგან, რომ ამ შემთხვევაში დავინახოთ სულხანის სწავლება მოტივისა ან ბრალის შესახებ სისხლის სამართალში. ეს ისედაც ცხადია, როდესაც ჩვენ ისეთ ნაწარმოებებზე ვუთითებთ, როგორიც არის „სიბრძნე სიცრუისა“. მაგრამ როგორც ამ ნაწარმოების, ისე საერთოდ სულხანის შრომების მიხედვით შესაძლებელია გავითვალისწინოთ თუ როგორი შეხედულებისაა სულხანი ამა თუ იმ მოვლენაზე, მოქმედებაზე, მოქმედზე და სხვა, რომელთაც ის თავის შრომებში რაიმე მხრივ ეხება. ამ გზით ჩვენ ვგებულობთ ავტორის სიმპათიანტიპათიას, ვსწავლობთ სულხანის აზროვნების მიმართულებას და გამოგვაქვს დასკვნა სულხანის შეხედულების შესახებ დანაშაულზე, ბრალზე, მოქმედებათა კლასიფიკაციაზე და სხვა. ამასთანავე, „სიბრძნე-სიცრუისა“ და სულხანის სხვა შრომების მიხედვით შესაძლებელია ისიც შევამოწმოთ და დავადგინოთ კიდევ თუ სულხანის ლექსიკონისეული განმარტებათაგან რომელი ჩაითვლება სულხანის შეხედულებათა სისტემისათვის, მისი მსოფლმხედველობისათვის დამახასიათებლად.



## იურიდიული ვაკეინფორმაციის რუსულ-ქართული ლექსიკონი<sup>1</sup>

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სამართლის განყოფილებაში დასაბეჭდად მომზადდა იურიდიული ტერმინოლოგიის რუსულ-ქართული ლექსიკონი. იგი შეიცავს დაახლოებით 22.000 სიტყვასა და გამოთქმას, როკლებიც თანამედროვე რუსულ ლიტერატურულ ენაში იურიდიული მნიშვნელობით იხმარება, და მათ ქართულ შესატყვისებს.

უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მრავალი დარგისათვის იქნა უზრუნველყოფილი ქართულ ნიადაგზე დამკვიდრებისა და განვითარების ხელსაყრელი პირობები იმითაც, რომ მეცნიერულად დამუშავდა სათანადო ტერმინოლოგია, გამოიცა შესაბამისი რუსულ-ქართული ტერმინოლოგიური ლექსიკონები. სამართლის ქართულ მეცნიერებაში ამ მხრივ მიუტყევებელი ჩამორჩენაა. თითქმის 40 წელმა განვლო მას შემდეგ, რაც პირველად გამოქვეყნდა მცირე მოცულობის „რუსულ-ქართული იურიდიული ლექსიკონი“ (ტფილისი, 1920), რომელსაც დღეს არც პრაქტიკული და არც მეცნიერული ღირებულება აღარ გააჩნია. 1928 წელს ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“ შეუდგა პეტრე ქავთარაძის მიერ მომზადებული რუსულ-ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის მასალის ბეჭდვას, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს საქმე მაშინ დაუმთავრებელი დარჩა და მასალამ ვერ მიიღო ჩამოყალიბებული ლექსიკონის სახე. 1946-1951 წლებში რუსულ-ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის შედგენაზე მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ტერმინოლოგიის განყოფილება პროფ. ვ. ბერიძის ხელმძღვანელობით, მაგრამ ვერც ეს მუშაობა დაგვირგვინდა სათანადო ლექსიკონის გამოცემით.

ამგვარად, იურიდიული ტერმინოლოგიის რუსულ-ქართული ლექსიკონის გამოცემა უკვე დიდი ხანია გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს. ამ საჭიროებას განსაკუთრებით გრძნობს ყველა ის, ვისაც კავშირი აქვს კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების შემუშავებასთან ქართულ ენაზე ან საერთო-საკავშირო სამართლებრივი აქტების ქართულად თარგმნასთან, ყველა, ვისიც პრაქტიკული თუ თეორიული საქმიანობა საქართველოში იურისპრუდენციასთანა დაკავშირებული: პროკურატურისა და სასამართლოს მუშაკები, სამართლის სხვადასხვა დარგის მკვლევარი მეცნიერები, სამართალმცოდნეობის მასწავლებლები და სტუდენტები.

ეკონომიკის ინსტიტუტის სამართლის განყოფილება დაარსებისთანავე (1957 წ.) შეუდგა იურიდიული ტერმინოლოგიის რუსულ-ქართულ ლექსიკონზე მუშაობას. ამ მიზნით განყოფილებამ დაამუშავა დიდძალი ნორმატიული მასალა და მეცნიერული ლიტერატურა სამართლის ყველა დარგში, გამოიყენა იურიდიული ტერმინოლოგია და შესაბამისი ლექსიკონები ლათინურ, რუსულ, გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ქართული სამართლის ისტორიული

<sup>1</sup> ჟურნალის რედაქცია სთხოვს მკითხველებს მოგვაწოდოთ თქვენი შენიშვნები და წინადადებანი იურიდიული ტერმინოლოგიის დამუშავებასთან დაკავშირებით.



ძეგლები და სხვ. საფუძვლიანი გადამუშავების შემდეგ გამოყენებულ იქნა აგრეთვე პ. ქავთარაძისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის ტერმინოლოგიის განყოფილების შემოხსენებული მასალები.

ლექსიკონის შემდგენლებსა და სარედაქციო კოლეგიას მიაჩნიათ, რომ ჩვენი საზოგადოებრიობა, კერძოდ, სამართლის დარგის მუშაკები ლექსიკონის გამოცემამდე უნდა გაეცნონ მის ძირითად პრინციპებს, მის აღნაგობას და, განსაკუთრებით, მასში შეტანილ იმ ქართულ ტერმინებსა და გამოთქმებს, რომლებიც ასე თუ ისე სცილდებიან ჩვენს იურიდიულ პრაქტიკაში დამკვიდრებულ ტრადიციას ან ცალკეული ქართული ავტორების მიერ ხმარებულ შესაბამის ტერმინებსა და გამოთქმებს. ასეთი წინასწარი გაცნობის მიზნით ამ ჟურნალში გამოქვეყნდება რამდენიმე წერილი. მკითხველის გამოხმაურება, მისი კრიტიკული შენიშვნები უთუოდ ხელს შეუწყობს ლექსიკონის საბოლოო რედაქტირებას.

ეს წერილი შეეხება ლექსიკური მასალის შერჩევის პრინციპებს, ლექსიკონის აღნაგობას და ბოლოს, ზემოაღნიშნულ სიახლეს ტერმინებსა და გამოთქმებში, რომლებმაც შეიძლება შენიშვნები გამოიწვიონ.

### ლექსიკური მასალა

ცხადია, რომ იურიდიული ტერმინოლოგიის რუსულ-ქართულმა ლექსიკონმა მკითხველს უნდა მიაწოდოს ქართული შესატყვისები იმ რუსული სიტყვებისა და გამოთქმებისა, რომლებსაც იურიდიული მნიშვნელობა აქვთ. მაგრამ ლექსიკური მასალის შერჩევა ამ კრიტერიუმით არც თუ ისე იოლია: რომელი ენაც არ უნდა ავიღოთ, სხვადასხვა ხასიათის სამართლებრივ ურთიერთობებში შეგხვდება თითქმის ყოველი სიტყვა, მაშასადამე, თითქმის ყოველი სიტყვა შეიძლება „იურიდიული მნიშვნელობის“ მქონედ ჩაითვალოს, თუ ამ ცნებას ფართოდ გავიგებთ.

ამიტომ ბუნებრივია, რომ ამგვარ ლექსიკონში უნდა შევიდეს მხოლოდ ის სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც ან ყოველთვის მარტოოდენ იურიდიული მნიშვნელობით იხმარებიან, ე. ი. წმინდა იურიდიულ ტერმინებსა და გამოთქმებს წარმოადგენენ (მაგალითად: амнистия-ამნისტია, высший орган государственной власти-სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, давность владения-მფლობელობის ხანდაზმულობა, международный договор საერთაშორისო ხელშეკრულება, правопреемство-უფლებამონაცვლეობა, судебное разбирательство-სასამართლო გარჩევა და ა. შ.), ან ძალიან ხშირად იღებენ იურიდიულ შინაარსს, დამახასიათებელი არიან სამართლებრივი ურთიერთობებისათვის (მაგალითად: брак-1. წინი, 2. ქორწინება; жалоба საჩივარი, жилищное добро-მონაგარი დოვლათი, побудительный мотив-აღმძვრელი მოტივი, раскаяние-მონანიება და ა. შ.)

ლექსიკონში შეტანილ ამა თუ იმ რუსულ სიტყვას შესაძლოა ქართულად ერთმანეთისაგან განსხვავებული რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდეს. ასეთ შემთხვევაში ლექსიკონი იძლევა მხოლოდ იმ ქართულ შესატყვისებს, რომლებსაც იურიდიული შინაარსი გააჩნიათ. მაგალითად, отвести ნიშნავს 1. წონაში დაკლებას (წონაში აკლებს), წონაში მოტყუებას (წონაში ატყუებს) და 2. ყველგან ჩამოკიდებას (ჩამოჰკიდებს), ბევრგან დაკიდებას, მიკიდ-მოკიდებას, მთლად მოფენას. გასაგებია, რომ ეს მეორე მნიშვნელობა ჩვენს ლექ-





სიკონს არ აინტერესებს. ასევე, прогулять ნიშნავს 1. სეირნობას (ისეირნებს), გავლა-გამოვლას (გაივლ-გამოივლის) და 2. სამუშაოს გაცდენას (გააცდენს). ამ შემთხვევაში ლექსიკონი გვერდს უვლის ამ სიტყვის პირველ მნიშვნელობას და იძლევა მხოლოდ მეორეს.

სამართლის ისტორიული განვითარების პროცესში მრავალი სამართლებრივი ნორმა და ინსტიტუტი გაჰქარა სხვადასხვა ქვეყანაში; ამიტომ ასეთ ნორმებთან და ინსტიტუტებთან დაკავშირებული იურიდიული ტერმინებიც მოძველდნენ და დღეს მოქმედ სამართლებრივი სისტემებში აღარ იხმარებიან. ამგვარი ტერმინებიდან ლექსიკონში შეტანილია მხოლოდ ძირითადი მასალა, ის ცნებები, რომლებიც სამართლის ისტორიის შესწავლისას, ასე ვთქვათ, აუცილებელ მინიმუმს წარმოადგენენ. მაგალითად: земский суд-საერობო სასამართლო, ордалии-ორდალები, соприсяжник-თანამოფიცარი და სხვ.

რუსულ ენაში სხვა ენებიდან შესული იურიდიული მნიშვნელობის სიტყვებისათვის ლექსიკონი ქართულად იძლევა:

1. ზოგჯერ მხოლოდ იმავე უცხოურ სიტყვას, თუ შესაბამისი ქართული ტერმინი არ მოგვეპოვება, მაგალითად: виндикация-ვინდიკაცია, ратификация договора-ხელშეკრულების რატიფიკაცია და ა. შ. ასევე უცხოური სიტყვითაა ქართულად მოცემული ისეთი ცნებაც, რომელსაც, როგორც იურიდიულ ტერმინს, სპეციფიკური მნიშვნელობა აქვს, თუმცა საერთო მნიშვნელობით ქართული შესატყვისიც გააჩნია; მაგალითად: агреман-აგრემანი, რადგან იურიდიულად იგი ნიშნავს მთავრობის მიერ თანხმობის გამოთქმას იმაზე, რომ მის ქვეყანაში მეორე ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლად გამოიგზავნოს ესა და ის პირი; ამავე დროს ეს ფრანგული სიტყვა (agrément) ზოგადი მნიშვნელობით იგივეა, რაც ქართული თანხმობა;

2. ზოგჯერ იმავე უცხოურ სიტყვასაც და მის ქართულ შესატყვისსაც (მაგრამ არა ქართულ განმარტებას!); მაგალითად: адвокат—ადვოკატი, ვექილი, аннулирование—ანულირება, გაუქმება და ა. შ. როცა ასეთი სიტყვა ზმნას წარმოადგენს, ქართულად ზმნის ფორმა (პირი, რიცხვი, დრო) მოცემულია მეტწილად მხოლოდ ქართული შესატყვისის მაგალითზე, რადგან უცხოური ნაზმნარი სახელიდან ზმნის ქართული ფორმების წარმოება უხეში და ხშირად შეუძლებელიც კია. მაგალითად, аннулировать—ანულირება, გაუქმება (აუქმებს);

3. ზოგჯერ იმავე უცხოურ სიტყვას ქართული ზმნის მოშველიებით, თუ სათარგმნი უცხოური სიტყვა ზმნას წარმოადგენს; ასეთ შემთხვევაში ზმნის ფორმა ქართული ზმნის ფორმის დახმარებითაა შედგენილი; მაგალითად: амнистировать—ამნისტირება, ამნისტიით პატიება (ამნისტიით აპატიებს), ратифицировать—რატიფიცირება, რატიფიკაციის მოხდენა (რატიფიკაციას ახდენს);

4. ზოგჯერ მართოდენ ქართულ შესატყვისს, თუ იგი უცხოური სიტყვის ადექვატურია; მაგალითად: вексель—თამასუქი, векселеспособность—თამასუქუნარიანობა, вексельный,—აგ,—ое—თამასუქისა, სათამასუქო და ასე ყველა ტერმინში და გამოთქმაში вексель-თან დაკავშირებით; ასევე: аренда—იჯარა, арендатор—მოიჯარე, იჯარადარი და სხვ.

### ლექსიკონის აღნაგობა

რუსულ ენაში ხმარებული იურიდიული მნიშვნელობის მქონე სიტყვები და გამოთქმები ლექსიკონში დალაგებულია რუსული ანბანის მიხედვით და



ცალცალკე, ე. ი. არა ბუდობრივი პრინციპით, როდესაც მთავარ, ფუძისეულ ტერმინთანაა დაჯგუფებული მისგან წარმოებული სიტყვები და მისთან დაკავშირებული გამოთქმები. ტერმინებისა და გამოთქმების ცალ-ცალკე დალაგება ანბანის მიხედვით უთუოდ გაადვილებს თითოეული მათგანის სწრაფად მოძებნას, მაშასადამე, ლექსიკონით სარგებლობას.

მაგალითისათვის მოვიყვანთ аренда-სთან დაკავშირებულ ტერმინებსა და გამოთქმებს შესაბამისი თარგმანით, ისე, როგორც ეს ლექსიკონშია დალაგებული:

аренда	იჯარა
аренда земли	მიწის იჯარა
аренда международноправовая	საერთაშორისო-სამართლებრივი იჯარა
аренда трудовая	შრომითი იჯარა
арендатор	მოიჯარე, იჯარადარი
арендаторский, -ая, -ое	მოიჯარისა, იჯარადრისა
арендная плата	საიჯარო ქირა
арендная цена	საიჯარო ფასი
арендное право	იჯარის, საიჯარო უფლება
арендный, -ая, -ое	საიჯარო
арендный договор	საიჯარო ხელშეკრულება
арендование	იჯარით აღება
арендованный, -ая, -ое	იჯარით აღებული
арендовать	იჯარით აღება (იჯარით აიღებს)
арендодатель	იჯარით მიმცემი

როგორც ვხედავთ, ლექსიკონში შეტანილია არსებითი სახელები (аренда, арендатор, арендование, арендодатель), მათგან წარმოებული ზედსართავი სახელები (арендаторский, -ая, -ое, арендный, -ая, -ое), მიმღობა (арендованный, -ая, -ое) და ზმნა (арендовать). იშვიათ შემთხვევაში ლექსიკონი იძლევა აგრეთვე ზმნისზედას; მაგალითად, безвозмездно უსასყიდლოდ.

ის გამოთქმა, რომელშიაც ზედსართავი არსებით სახელს განსაზღვრავს, ლექსიკონში მეტწილად მოცემულია შებრუნებითაც. მაგალითად, ზემოდჩამოთვლილი გამოთქმებიდან ლექსიკონში შებრუნებით იქნება: договор арендный—საიჯარო ხელშეკრულება (ასო დ-ზე), плата арендная—საიჯარო ქირა, право арендное—იჯარის, საიჯარო უფლება (ასო П-ზე) და цена арендная—საიჯარო ფასი (ასო Ц-ზე), ისევე როგორც შემომოყვანილი аренда международноправовая—საერთაშორისო-სამართლებრივი იჯარა და аренда трудовая—შრომითი იჯარა თავისთავად ასეთი შებრუნების მაგალითებია.

შებრუნებით არაა მოცემული ის გამოთქმები, რომლებშიც ერთ არსებით სახელს განსაზღვრავს ნათესაობით ბრუნვაში დასმული მეორე არსებითი სახელი; ე. ი. ლექსიკონში, ამ მაგალითების მიხედვით, არ იქნება: земли аренда, და მისთ. იგივე ითქმის სამი და მეტი სიტყვიდან შედგენილი გამოთქმების შესახებ; მაგალითად, ლექსიკონში ვნახავთ გამოთქმას: абсолютная недействительность сделки—გარიგების აბსოლუტური ბათილობა, არანამდვილობა, მაგრამ შებრუნებით ეს გამოთქმა არ იქნება, მაშინ როცა ლექსიკონში შეტანილია როგორც абсолютно-недействительная сделка—აბსოლუტურად არანამდვილი, ბათილი გარიგება, ისე сделка абсолютно-недействительная (ისეთივე თარგმანით), ე. ი. შებრუნებითაც.





იმ შემთხვევაში, როცა სპეციფიკური, იურიდიული მნიშვნელობის მქონე გამოთქმაში ძირითადი ის სიტყვაა, რომელიც არც სახელობით ბრუნვაში დასმული არსებითი სახელია და არც ზედსართავი სახელი, მაშინ ასეთი გამოთქმა მოყვანილია ამ სიტყვასთან დაკავშირებით, მაგრამ ეს სიტყვა ცალკეა გამოტანილი. მაგალითად, **АНАЛОГИЯ**-სთან დაკავშირებით მოცემულია:

**аналогия** ანალოგია  
**аналогия: применение закона по аналогии** ანალოგია: კანონის მიყენება ანალოგით

ასევე გამოთქმა: **быть под арестом** — პატიმრობაში ყოფნა ლექსიკონში მოიძებნება სიტყვა **арест**-თან დაკავშირებით (ის არის ძირითადი ამ გამოთქმაში):

**арест: быть под арестом** პატიმრობა: პატიმრობაში ყოფნა

### ცალკეული ტერმინები და გამოთქმები

#### A

<b>авторское право</b>	1. საავტორო სამართალი; 2. ავტორის, საავტორო უფლება
<b>адаптация</b> <b>адаптировать</b>	ადოპტაცია, შვილება, შვილად აყვანა ადოპტირება: შვილება (იშვილებს), შვილად აყვანა (შვილად იყვანს)
<b>адрес</b> <b>адрес векселя</b> <b>адрес парламентский</b> <b>адюльтер</b> <b>зкт</b>	1. ადრესი; 2. მისამართი თამასუქის მისამართი პარლამენტის ადრესი ადულტერი, მრუშობა აქტი (ყველა გამოთქმაში, მაგრამ—) სიმტკიცის სიგელი, აქტი
<b>акт крепостной</b> <b>акт присвоения</b>	1. მითვისების აქტი; 2. მიკუთვნების აქტი
<b>акт укрепления</b> <b>акционерная книга</b> <b>акционерная компания</b>	დამკვიდრების აქტი სააქციონერო, აქციონერთა დავთარი სააქციო კომპანია (და არა აქციონერთა კომპანია, რადგან ამ ცნებაში პირველადი და ძირითადი ისაა, რომ კომპანია დაფუძნებულია აქციებზე)
<b>акционерский, -ая, -ое</b>	აქციონერისა, აქციონერთა, სააქციონერო
<b>аманат</b>	მძევალი (ამანათი არაბულია, ნიშნავს გირაოს, ქართულში იხმარებოდა ანაბრის მნიშვნელობით, უფრო გვიან და დღესაც — გაგზავნილი ნივთის აღსანიშნავად)



амнистировать	ამნისტირება, ამნისტიით (ამნისტიით აპატიებს)
антидатировать	უკუდათარიღება (უკუთარიღებს)
апеллировать	1. აპელირება, აპელაციის შეტანა (აპელაცია შეაქვს); 2. მიმართვა (მი- მართავს)
аренда	იჯარა
арендатор	მოიჯარე, იჯარადარი (და არა მოიჯარადრე)
арест	1. დაპატიმრება, პატიმრობა; 2. ყადა- ლა, დაკავება, დასუთვა
арест домашний	შინაპატიმრობა
арест предварительный	წინასწარი პატიმრობა
арестант	პატიმარი
арестантский,-ая,-ое	საპატიმრო, პატიმრისა
арестованный,-ая,-ое	1. დაპატიმრებული; 2. ყადაღადადე- ბული, დაყადაღებული
арестовать	1. დაპატიმრება (აპატიმრებს); 2. დაკა- ვება (დააკავებს); 3. ყადაღის დადება (ყადაღს ადებს), დაყა- დაღება (დააყადაღებს), დასუთვა (დასუთავს)
артикул	არტიკული, მუხლი
асцедент	ასცედენტი, აღმავალი

Б

банкрот злостный	ავბანკროტი, ავკოტრი
без вести пропавший	უკვალოდ დაკარგული (იხ. безвестно отсутствующий; იგი- ვეა)
безвестная отлучка	უკვალოდ წახვლა
безвестно отсутствующий	უკვალოდ დაკარგული (იხ. без вести пропавший; იგივეა)
безвестное отсутствие	უკვალოდ დაკარგულობა
безоборотность	უკუმოუქცევლობა
безотзывный аккредитив	უკუუხმობი აკრედიტივი
безотчетная сумма	ანგარიშუგები თანხა
безотчетное действие	ანგარიშმიუცემელი მოქმედება
безотчетный,-ая,-ое	1. ანგარიშუგები; 2. ანგარიშმიუ- ცემელი
безразличие преступное	დანაშაულებრივი გულგრილობა
безусловное признание	უპირობო აღიარება
безусловно-неопределенная санкция	სავსებით განუსაზღვრელი სანქცია
безусловный кассационный повод	უთუო საკასაციო საბაზი
беспризорные дети	უპატრონო, მიუსაფარი ბავშვები
бессознательное деяние	შეუცნობელი, შეუგნებელი ქმედობა
бессознательное состояние	უგონო მდგომარეობა



бессознательность

1. შეუგნებლობა, შეუცნობლობა;  
2. უგონობა, ცნობამიხდობა,  
გონებადაკარგულობა

беспорное взыскание

უდავო გადახდევინება

беспорное владение

უდავო, უცილობელი მფლობელობა

беспорное производство

უდავო წარმოება

бесхозный скот

ირაო საქონელი

бесхозяйственно содержимое имущество

მოუფლელი ქონება

бесхозяйственность

უყარათობა, უთადარიგობა

бесчестящее наказание

გამაწბილებელი სასჯელი

благо имущественное

დოვლათი, ქონებრივი სიკეთე

благо личное

პირადი სიკეთე

благо правовое

სამართლებრივი სიკეთე

благоприобретенный, ая, ое

კეთილშენაძენი, მონაგარი

благоусмотрение: на ваше благо-  
усмотрениеმიხედულობა: თქვენი მიხედულობი-  
სამებრ

боковое родство

გვერდითი ნათესაობა

буквальное толкование

სიტყვასიტყვითი ახსნა-განმარტება

буквальный смысл

1. სიტყვასიტყვითი აზრი; 2. ზუსტი  
აზრი

## B

введение в действие

სამოქმედოდ შემოღება

вверенное имущество

მიბარებული ქონება

вверенный, ая, ое

მინდობილი, მიბარებული

ввод в наследство

მემკვიდრეობაში შეყვანა

ввод во владение

მფლობელობაში შეყვანა

вводный закон

შემომღები კანონი

вводный лист

დაუფლების სიგელი

векселеобязанный

თამასუქვალდებული

векселепредшественник

თამასუქმორბედი

векселепреемник

თამასუქმონაცვლე

вероятная смерть

სავარაუდო სიკვდილი

вероятность события

ხდომილების ალბათობა, მოსალოდნე-  
ლობა

верховенство

უზენაესობა

верховный, ая, ое

უზენაესი

(იხ. ჟურ. „საბჭოთა სამართალი“, 1958,

№ 1, პროფ. ვ. ბერიძე, „უზენა-

ესი და უმაღლესი!“)

верховный совет

უზენაესი საბჭო

верховный суд

უზენაესი სასამართლო

вещь вне оборота

ბრუნვაგარეშე ნივთი

вещь делимая

გაყოფადი ნივთი


вещь заменимая

შენაცვლადი ნივთი



вещь неделимая	განუყოფადი ნივთი
вещь незаменимая	შეუნაცვლადი ნივთი
вещь непроблемная	მოუსახმარი ნივთი
вещь потребляемая	მოხახმარი ნივთი
вещь принадлежностная	საკუთვნებელი ნივთი
вещь родовая	გვარობითი ნივთი
вещь составная	შენადგენი ნივთი
вещь телесная	სხეულებრივი ნივთი
взымание	აკრეფა, აღება, გადახდევინება
взлом: кража со взломом	გატეხა: ქურდობა გატეხით
взломать	გატეხა (გატეხს), შემტვრევა (შეამტვრევს)
взыскание	1. სასჯელი, სახდელი; 2. გადახდევინება, ზღვევინება
взыскание административное	ადმინისტრაციული სასჯელი, სახდელი
взыскание имущественное	1. ქონებრივი სასჯელი, სახდელი; 2. ქონებრივი გადახდევინება
взыскание убытков	ზარალის გადახდევინება, ზღვევინება
вид на жительство	საბინადრო მოწმობა
виновная ответственность	ბრალეული პასუხისმგებლობა
виновник	ბრალეული, დამნაშავე
виновное действие	ბრალეული მოქმედება
вкладчик	1. მენაბრე; 2. შემტანი
владелец	მფლობელი, პატრონი
владельческий, ая, ое	მფლობელისა, მფლობელური
владельческий иск	მფლობელობის სარჩელი
владение	1. მფლობელობა; 2. ფლობა; 3. სამფლობელო
владение совместное	თანამფლობელობა
владелец	1. მფლობელი; 2. მთავარი
властвование	ხელმწიფება, ბატონობა
власти гражданские	სამოქალაქო ხელისუფალნი
власть	ხელისუფლება, ძალაუფლება
власть государственная	სახელმწიფო ხელისუფლება
власть родительская	მშობლის ხელისუფლება
вменение	შერაცხვა
вменение в вину	ბრალად შერაცხვა
вменить	1. შერაცხვა (შეურაცხავს), ჩათვლა (ჩათუვლის); 2. დაკისრება (დააკისრებს)
вменяемость	შერაცხადობა
вменяемый, ая, ое	შერაცხადი
внебрачное родство	ქორწინებაგარეშე ნათესაობა
внебрачное сожительство	უქორწინო თანაცხოვრება
внебрачный, ая, ое	ქორწინების გარეშე, უქორწინო, ქორწინებაგარეშე





внесудебный, ая, ое	სასამართლოგარეშე
водный сбор	წყალმოსაკრეფელი
военная повинность	სამხედრო ბეგარა (შდრ. военская обязанность)
военное преступление	ომის დანაშაული (შდრ. военское преступление)
возбуждение дела	საქმის აღძვრა
возвратный иск	უკუქცევითი სარჩელი
воздаяние	მიზღვა, მისაგებელი, სამაგიერო
возмездие	მისაგებელი, ნაცვალგება, სამაგიერო, სანაცვლო
возмездный, ая, ое	სასყიდლიანი
возражение	1. მიგება, შედავება; 2. შესაგებელი, საწინააღმდეგო აზრი, საწინააღ- მდეგო მოსაზრება
возражение на иск	სარჩელის შესაგებელი
возражения сторон	მხარეთა მიგება, შესაგებელი
военская обязанность	სამხედრო მოვალეობა (შდრ. военная обязанность)
военское преступление	სამხედრო დანაშაული (შდრ. военное преступление)
волеизъявление	ნების გამოვლინება, ნების გამომუღავ- ნება
волеизъявление молчаливое	ნების მდუმარე გამოვლინება, გამომ- უღავნება
волокита	გაჭიანურება, გაჯანჯღლება
воображаемое преступление	მოჩვენებითი დანაშაული
вор карманный	ჯიბგირი
воровство	ქურდობა, პარვა, მოპარვა
вскрытие завещания	ანდერძის გახსნა
встречный иск	შეგეგებული სარჩელი
вступление	1. შესვლა, ჩაბმა; 2. შესავალი
вступление в действие	მოქმედებაში შესვლა, ამოქმედება
вступление в дело	საქმეში ჩაბმა
вступление в договор	ხელშეკრულების დადება, ხელშეკრუ- ლებაში ჩაბმა
вступление в должность	თანამდებობის დაჭერა, თანამდებობაში ჩადგომა
вступление в наследство	სამკვიდროში შესვლა
вступление во владение	მფლობელობაში შესვლა
выгода	1. სარგებლობა, ხეირი, გამორჩენა; 2. უპირატესობა
выгода упушенная	ანაცდენი სარგებლობა
выгодоприобретатель	გამომრჩენი
выемка вещественных доказательств	ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების ამოღება



вызов в суд

вызывное производство  
 вымышленная сделка  
 вынужденный пропуск  
 выручка  
 выселение  
 высылка  
 вычет

სასამართლოში დაბარება, გამოწვევა

გამოძახება

გამოწვევითი წარმოება  
 მოგონილი გარიგება  
 ძალაუნებური გაცდენა  
 ნავაჭრი, დანლი  
 გამოხახლება  
 გასახლება

1: გამოკლება, გამოქვითვა, დაქვითვა;  
 2: გამონაქვითი, დანაქვითი.

гарант

гарнцевый сбор  
 гласить: закон гласит

гласность процесса  
 гласный надзор  
 голое право  
 голый умысел  
 государственное устройство

Г

გარანტი, თავდები

მინდი, სამინდე მოსაკრეფელი.

უწყება (აუწყებს), თქმა (ამბობს): კანონი იუწყება

პროცესის საქვეყნობა

აშკარა ზედამხედველობა

ცარიელი უფლება

ლიტონი განზრახვა

სახელმწიფო წყობილება

(შდრ. государственный строй. Государственное устройство გულისხმობს სახელმწიფოს ეროვნულ-ტერიტორიულსა, და ტერიტორიულ ორგანიზაციას, მთლიანად სახელმწიფოსი და მისი შემადგენელი ნაწილების უფლებრივ მდგომარეობასა და ურთიერთდამოკიდებულებას, მაგ., უნიტარული სახელმწიფო, ფედერაციული სახელმწიფო; государственный строй მოიცავს საზოგადოებრივ წყობილებას, სახელმწიფო ორგანიზაციას, სახელმწიფო ორგანოთა სისტემას, მოქალაქეთა ძირითად უფლება-მოვალეობებს, საარჩევნო სისტემას. იხ. Юридический словарь, 1, 1956, გვ. 190, 200)

государственноправовой, ая, ое  
 государственный строй

гражданскоправовой, ая, ое

Гражданскопроцессуальный, ая, ое

სახელმწიფო-სამართლებრივ

სახელმწიფო წესწყობილება

(შდრ. государственное устройство)

სამოქალაქო-სამართლებრივი

სამოქალაქო-საპროცესო, სამოქალაქო-პროცესუალური





## ზოგიერთი საღაო საკითხის დადგენის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე მოწვევის მეორე სესიაზე მიღებულმა კანონებმა, მოკავშირე რესპუბლიკებში გაშლილმა საკანონმდებლო-საკოდიფიკაციო მუშაობამ წარმოშვა მთელი რიგი საღაო საკითხები.

შევხოთ ზოგიერთ მათგანს:

საკითხზე, დაშვებული უნდა იქნას თუ არა დამცველი საქმეზე, რომელზედაც გამოძიებას აწარმოებს მოკვლევის ორგანო, სხვადასხვა აზრი არსებობს. ქ. ლენინგრადის საგამომძიებლო განყოფილების პროკურორი ამხ. ა. ი. ალექსეევი სთვლის, რომ დამცველმა არ უნდა მიიღოს მონაწილეობა საქმეზე, რომლის გამოძიებას აწარმოებს მოკვლევის ორგანო. ამასთან ალექსეევი იმ აზრისაა, რომ მოკვლევის ორგანო საერთოდ არ უნდა აწარმოებდეს წინასწარ გამოძიებას; მის კომპეტენციაში უნდა შედიოდეს მხოლოდ გადაუდებელი საგამომძიებლო მოქმედებანი (შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ჩხრეკა, დაკავება და სხვა), რაც დაკავშირებულია დანაშაულის კვალის დამაგრებასთან.<sup>1</sup>

ალექსეევის აღნიშნული მოსაზრების მიხედვით გამოდის, რომ დამცველმა არ უნდა მიიღოს მონაწილეობა საქმეზე, რომლის გამოძიება მოკვლევის ორგანოში მიმდინარეობს, იმიტომ, რომ

მოკვლევის ორგანო საერთოდ არ უნდა აწარმოებდეს წინასწარ გამოძიებას.

თუ წინასწარი გამოძიების წარმოების კომპეტენცია მოკვლევის ორგანოს ჩამოერთმევა, ბუნებრივია, რომ გამოძიებაში დაცვის მონაწილეობა ამ შემთხვევაში თავის თავად იხსნება.

საქმე იმაშია, რომ დღეისათვის შემუშავებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების პროექტები მთელი რიგი კატეგორიის საქმეებზე წინასწარი გამოძიების ჩატარების უფლებას აკუთვნებენ მოკვლევის ორგანოს, მით უმეტეს, რომ საქართველოს სსრ სსს კოდექსის პროექტი, განსხვავებით სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსებისაგან, ამ მხრივ გაფართოებულ უფლებებს ანიჭებს მოკვლევის ორგანოს, რაც სამართლიანად იყო გაკრიტიკებული სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ პროფესორ მ. ს. სტროგოვიჩის მიერ ამიერკავკასიის სარესპუბლიკათაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე მიძღვნილი კანონმდებლობის კოდიფიკაციისადმი.

ქ. თბილისის ადვოკატთა კონფერენციაზე მოხსენებით გამოსულმა ა. გელოვანმა მიზანშეწონილად ჩასთვალა ადვოკატის მონაწილეობა საქმეზე, რომლის გამოძიებას აწარმოებს მოკვლევის ორგანო.

ამავე კონფერენციაზე საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ გ. ბიწაძემ გაიზიარა ამხ. ალექსეევის აზრი,

1. „Советская ю.тиция“ 1959 г. № 5 стр. 43



რომ ადვოკატი არ უნდა მონაწილეობდეს საქმეზე, რომლის გამოძიებას მოკვლევის ორგანო აწარმოებს.

ჩვენის აზრით, თუ სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსით წინასწარი გამოძიების წარმოების უფლება დარჩება მოკვლევის ორგანოს, დამცველის მონაწილეობის საჭიროება თვით კანონითაა განსაზღვრული.

„საფუძვლების“ 22-ე მუხლში ნათქვამია: „დამცველი დაიშვება საქმეში მონაწილეობისათვის იმ მომენტიდან, როცა ბრალდებულს გამოუცხადებენ წინასწარი გამოძიების დამთავრებას და ბრალდებულს წარუდგენენ გასაცნობად საქმის მთელ წარმოებას...“

მაგრამ ისმის კითხვა, როგორია ახლად მიღებული საერთო საკავშირო კანონის აზრი მოკვლევის ორგანოსათვის გარკვეული კატეგორიის საქმეებზე წინასწარი გამოძიების წარმოების კომპეტენციის შენარჩუნების შესახებ.

ამის შესახებ პირდაპირ არის თქმული საფუძვლების 28-ე და 29-ე მუხლებში.

28-ე მუხლში განსაზღვრულია, თუ ვინ უნდა აწარმოოს წინასწარი გამოძიება. გარკვეული კატეგორიის საქმეებზე ამის უფლება მინიჭებული აქვთ მხოლოდ პროკურატურისა და უშიშროების ორგანოთა გამომძიებლებს.

საფუძვლების 29-ე მუხლის მიხედვით კი დაზუსტებულია, თუ ვინ წარმოადგენს მოკვლევის ორგანოს და რა უფლებები გააჩნია მას: „...იმ საქმეზე, რომელთა გამო წინასწარი გამოძიება სავალდებულო არ არის, მოკვლევის მასალები საფუძველს წარმოადგენს საქმის სასამართლოში განსახილველად. ასეთ შემთხვევაში მოკვლევის ორგანო მოკვლევის მასალებს წარუდგენს პროკურორს, რომლის დასტურით საქმე იგზავნება სასამართლოში განსახილველად“.

ამგვარად, კანონმდებელი სთვლის,

რომ არსებობს საქმეები, რომელზედაც გამოძიების წარმოება საჭირო არ არის და პროკურორის დასტურით მისი სასამართლოში განსახილველად გადაგზავნისათვის საკმარისია მოკვლევის ორგანოს მასალები.

ჩვენის აზრით, კანონის ეს მოთხოვნა იმდაგვარად უნდა იქნას გაგებულთ, რომ აქ ლაპარაკია მხოლოდ მოკვლევაზე, როცა არ ხდება გამოცხადება მოკვლევის დამთავრებისა და მასალების გაცნობის მიზნით, საქმის წარმოების წარდგენა, როცა არ დგება საბრალმდებლო დასკვნა.

ასეთ შემთხვევაში მოკვლევის ორგანოში დაცვის მონაწილეობის შესახებ, რა თქმა უნდა, დავა იხსნება.

ჩვენის აზრით, მოკვლევის ორგანოს მიერ გამოძიების წარმოება პირდაპირ ეწინააღმდეგება საფუძვლების 28-ე და 29-ე მუხლების მოთხოვნას. ამიტომაც ეს კომპეტენცია უნდა ჩამოერთვას მოკვლევის ორგანოს. ხოლო უკეთეს ეს არ მოხდება, დამცველის მონაწილეობა საქმეზე ისეთივე ხასიათის უნდა იყოს, როგორც ჩვეულებრივად პროკურატურაში. ეს კი ხელს შეუწყობდა დამცველის მონაწილეობის მიღებას გამოძიებაში.

წინასწარ გამოძიებაში დაცვის მონაწილეობასთან დაკავშირებით სერიოზულ ყურადღებას იქცევს საკითხი, თუ რა მომენტიდან უნდა ჩაითვალოს, რომ დამცველმა მიიღო ბრალდებულის დაცვის ვალდებულება. ქ. ლენინგრადის ადვოკატთა კონფერენციაზე ი. ი. მუხინის მიერ გამოთქმული აზრის მიხედვით დაცვის ვალდებულება მიღებულად უნდა ჩაითვალოს მას შემდეგ, როდესაც დაიღო შეთანხმება, ხოლო საქმეზე, რომელზედაც დამცველი მონაწილეობს სასამართლოს მოთხოვნით, დავალების მიღების მომენტიდან.





ადვოკატ ა. გელოვანის აზრით, დაცვის ვალდებულება მიღებულად უნდა ჩაითვალოს მას შემდეგ, როცა დამცველი მოელაპარაკება ბრალდებულს და ეს უკანასკნელი თანხმობას აცხადებს დაცვაზე. ჩვენის აზრით, გელოვანის ეს დებულება ეწინააღმდეგება ამჟამად დამკვიდრებულ პრაქტიკას.

როგორც წესი, ბრალდებულის ინტერესების დაცვის მიზნით იურიდიულ კონსულტაციაში ხდება სარეგისტრაციო ბარათის გაფორმება, რომელსაც ხელშეკრულების ძალა აქვს. აქ უკვე ჩამოყალიბებულია მხარეთა უფლებამოვალეობანი: იურიდიული კონსულტაცია ავალებს ადვოკატს დაიცვას ბრალდებულის ინტერესები, ხოლო მეორე მხარე ვალდებულია გადაუხადოს კონსულტაციას დაწესებული ფულადი გადასახადი. ასეთი შეთანხმებით ერთის მხრივ იურიდიულ კონსულტაციასა და მეორეს მხრივ ბრალდებულს შორის მყარდება სამოქალაქო-უფლებრივი ურთიერთობა, წარმოიშვება გარკვეული ვალდებულებანი და ამდენად ასეთი გაფორმება არ შეიძლება მიჩნეულ იქნას უბრალო ტექნიკურ მხარედ.

დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით დაცვის ფუნქციის განხორციელებას როგორც წინასწარ გამოძიებაში, ისე სასამართლოში დამცველი იწყებს საქმის გაცნობით, რაც უდავოდ მისაღები პრაქტიკაა, რადგან დამცველი ბრალდებულთან თუ სამართალში მიცემულთან, ყველა შემთხვევაში, უნდა გამოცხადდეს საქმის შინაარსის ღრმა ცოდნით შეიარაღებული. ამგვარად, ვიდრე დამცველი შეხვდებოდეს ბრალდებულსა თუ სამართალში მიცემულს, რომლის კანონიერი ინტერესებიც მან უნდა დაიცვას, დამცველი უკვე იწყებს დაცვის ფუნქციის განხორციელებას.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ მართალნი არიან ამხანაგები ა. კა-

ლიაევა ი. მუხინი, ი. მაზელი და მ. ვიდრი, რომელთა საერთო აზრის მიხედვით „ბრალდებულის ნათესავებსა და კონსულტაციას შორის დადებული შეთანხმება დაცვაზე საკმაო საფუძველია, რათა ადვოკატი დაშვებული იქნას დაცვისათვის“.<sup>1</sup>

ამგვარად, კონსულტაციასთან შეთანხმების შემდეგ დამცველი იღებს დაცვის ვალდებულებას. საფუძველების 23-ე მუხლის მიხედვით კი დამცველს უფლება არა აქვს უარი განაცხადოს ბრალდებულის დაცვაზე, რაც მან ადრე იკისრა.

ისმის საკითხი, როგორ მოიქცეს დამცველი, რომელმაც მიიღო ბრალდებულის დაცვის ვალდებულება, ხოლო საქმის გაცნობის შემდეგ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქმის სირთულისა თუ სხვა თავისებურების გამო ვერ შესძლებს ბრალდებულის კანონიერი ინტერესების დაცვას.

რამდენადაც ასეთ შემთხვევაში თვითონ დამცველს სწამს, რომ მას არ ძალუძს ბრალდებულის ინტერესების დაცვა, დამცველის მოვალეობის გარძელება ყოველგვარ შინაარსს კარგავს და ჩვენის აზრით, იგი ვალდებულია უარი სთქვას ამ მოვალეობის შესრულებაზე. ამას მოითხოვს როგორც თვით ბრალდებულის, ისე საერთო საზოგადოებრივი ინტერესები.

ეს მოსაზრება სრულიადაც არ ეწინააღმდეგება საფუძველების 23-ე მუხლის მოთხოვნას, რამდენადაც ბრალდებულისა თუ სამართალში მიცემულის ინტერესების დაცვასთან დაკავშირებული ყველა ხასიათის პროცესუალური თავისებურება უნდა გათვალისწინებული იქნას მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებით.

ადვოკატი ზ. შარნიძე.

<sup>1</sup> «Советская юстиция» 1959 г. № 6, стр. 23





## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა  
საქართველოს სსრ ქალაქებსა და მუშათა დასახლებულ პუნქტებში  
მცხოვრებ მოქალაქეთა პირად საკუთრების პირუტყვისა შენახვის  
აკრძალვის შესახებ

პარტიისა და მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის შეიმუშავებულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უკანასკნელ წლებში გადამწყვეტ ძალად იქცნენ მეცხოველეობის პროდუქტებით სახელმწიფოს უზრუნველყოფის საქმეში.

ახლა: როცა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სულ უფრო და უფრო აძლიერებენ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ტემპებს და ყოველწლიურად მეტ ხორცს, რძესა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებს აწვდიან მოსახლეობას, არის იმის რეალური შესაძლებლობა, რომ ბოლო მოეღოს ქალაქებსა და მათ მიდამოებში მცხოვრებ მოქალაქეთა მიერ მეცხოველეობის პრიმიტიული წესით წარმოებას, რაც იწვევს პურისა და კვების სხვა პროდუქტების სახელმწიფო ფონდების მნიშვნელოვან ხარჯვას, აშორებს მუშახელს საზოგადოებრივ ნაყოფიერ შრომას და გარდა ამისა ქმნის ქალაქებში ანტისანიტარულ მდგომარეობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. აეკრძალოთ 1959 წლის 1 ოქტომბრიდან ქალაქ თბილისში და მის მიდამოებში, აგრეთვე ქალაქებში ბათუმსა და სოხუმში მცხოვრებ მოქალაქეებს პირად საკუთრების პროდუქტიული და მუშა-პირუტყვის შენახვა.

დაწესდეს, რომ მოქალაქეების მიერ ამ ბრძანებულების დარღვევა გამოიწვევს პირუტყვის ჩამორთმევას მისი საფასურის გადახდით, იმ სახელმწიფო დამამზადებელი ფასებით, რომელიც არსებობდა 1958 წლამდე კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობების მიერ პირუტყვის სავალდებულო წესით ჩაბარებისას.

2. უფლება მიეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რძით და რძის პროდუქტებით სახელმწიფო ვაჭრობის გაუმჯობესების შესაბამისად გადაწყვეტოს საკითხი საქართველოს სსრ სხვა ქალაქებში და მათ მიდამოებში, აგრეთვე მუშათა დასახლებულ პუნქტებში მცხოვრებ მოქალაქეთა პირადი საკუთრების პირუტყვის შენახვის აკრძალვის შესახებ.

3. დავალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს და ქალაქ





თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს ამ ბრძანებულების I მუხლში აღნიშნულ მოქალაქეთა პირად საკუთრებაში მყოფი ძროხებისა და ხბოების დაკვლის თავიდან ასაცილებლად უზრუნველყონ პირუტყვის მფლობელთა შორის საჭირო ახსნა-განმარტებითი მუშაობა, რათა არ იქნას დაშვებული ძროხებისა და ხბოების დაკვლა და ორგანიზებულად მოაწყონ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მიერ მათი შესყიდვა. პირუტყვის შესყიდვა მოახდინონ მოქმედი შესასყიდი ფასებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე — ბ. შინკუბა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის მდივანი — ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1959 წლის 8 აგვისტო

## სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კლენუმი დ ა ღ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 3

1959 წლის 19 ივნისი

### სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის სასჯელის ღონისძიებათა შეფარდების პრაქტიკის შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობამ განსაზღვრა რა საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ამოცანები კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე, მიუთითა, რომ ზოგიერთი ფუნქციები, რომლებსაც ამჟამად ასრულებენ სახელმწიფო ორგანოები, მათ რიცხვში საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვის ფუნქციები, თანდათან უნდა გადადიოდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამგებლობაში. ყრილობამ აღნიშნა სოციალისტური მართლწესრიგის დარღვევათა ფაქტების წინააღმდეგ გადაჭრით ბრძოლის აუცილებლობა და მიუთითა, რომ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს პროფილაქტიკური და აღმზრდელი ღონისძიებათა გამოყენებას, რომლებიც წინასწარ აფრთხილებენ, ხოლო შემდგომში კი სულაც აღკვეთენ ცალკეულ ადამიანებში რაიმე ისეთი დანაშაულის გამოჩენას, რაც ზიანს მიაყენებს საზოგადოებას. ამ ამოცანების თვალსაზრისით, ამჟამად დანაშაულთა და სხვა სამართლის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში უფრო ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული გამაფრთხილებელი და აღმზრდელი ღონისძიებანი.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები ანვითარებენ საბჭოთა მართლმსაჯულების დემოკრატიულ პრინციპებს, აწესებენ, რომ სასჯელი წარმოადგენს არა მარტო დასჯას, არამედ იგი მიზნად ისახავს საზოგადოებრივ საშიში-ქმედობის ჩამდენ პირთა გამოსწორებასა და ხელახლა აღზრდას და გაფრთხილებას, რომ არ იქნას ჩადენილი ახალი დანაშაული; ამავე დროს საფუძვლები აწესებენ, რომ მძიმე დანაშაულისათვის და საშიშ რეციდივისტთა მიმართ შეფარდებული იქნეს სასჯელის მკაცრი ღონისძიებანი. საფუძვლები ამავე დროს ითვალისწინებენ, რომ



სასამართლოებმა სასჯელის დანიშვნისას უნდა მიიღონ მხედველობაში ისეთი შემამსუბუქებელი გარემოებანი, როგორცაა: გულახდილი აღიარება, მიყენებული ზარალის ნებაყოფლობით ანაზღაურება, მიყენებული ზიანის მოშორება, დანაშაულის ჩადენა მძიმე პირადი ან ოჯახური მდგომარეობის გამო და სხვ.

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები, განსაზღვრავენ რა სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებს, აწესებენ, რომ სასამართლოები, რომლებიც ხელმძღვანელობენ სოციალისტური მართლმწებებით სასჯელის დანიშვნისას უნდა ითვალისწინებდნენ ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათსა და ხარისხს, დამნაშავის პიროვნებასა და საქმის გარემოებებს, რომლებიც ამძიმებენ ან ამსუბუქებენ პასუხისმგებლობას. ამრიგად, სასჯელის ზუსტი ინდივიდუალიზაციის მოთხოვნა ხსენებულ გარემოებებთან დაკავშირებით, მისი თანაზომიერება და სამართლიანობა წარმოადგენენ საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის მეტად მნიშვნელოვან და პრინციპულ დებულებებს და სასამართლოებმა განუხრებლად უნდა დაიცვან ეს დებულებები სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენის გამოტანისას. სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა, დამნაშავის პიროვნების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა ან მუშა-მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა კოლექტივების შუამდგომლობის საფუძველზე დააკმაკოფილოს ასეთი შუამდგომლობა დამნაშავის პირობით დასჯის შესახებ და გადასცეს მათ პირობით მსჯავრდადებული ხელახლა აღსაზრდელად და გამოსასწორებლად.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-10 მუხლის თანახმად სასამართლოს, როდესაც იგი დარწმუნებულია, რომ 18 წლამდე ასაკის პირის გამოსწორება, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, რაც არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას, შესაძლებელია სისხლის სამართლის სასჯელის შეფარდების გარეშე, შეუძლია ასეთ პირს შეუფარდოს აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებანი, რომლებიც არ წარმოადგენენ სისხლის სამართლის სასჯელს.

ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 21-ე ყრილობის გადაწყვეტილებებიდან და სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებიდან, სასამართლოებს ავალბენ კიდევ უფრო ყურადღებით და დაკვირვებით მიუდგნენ საკითხს სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემის შესახებ და სასჯელის დანიშვნას იმ ანგარიშით, რომ იგი უკოს გონივრული, მიზანშეწონილი და მაქსიმალურად ხელს უწყობდეს მსჯავრდადებულის გამოსწორებას.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა ფართო საშუალებებს იძლევა სასჯელის ისეთი ღონისძიებათა შეფარდებისა, რომელიც არ იქნება დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, როგორცაა მაგალითად პირობითი მსჯავრი და ითვალისწინებს საზოგადოებრიობის აუცილებლად ჩაბმას სამართლის დამრღვევ პირთა გამოსასწორებლად და ხელახლად აღსაზრდელად. სასამართლოები, როგორც ცხადყოფს სასამართლო სტატისტიკის მონაცემები და ცალკეულ კატეგორიის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის განზოგადება, სასჯელის გამოტანის დროს ჯერ კიდევ საკმაოდ არ ღებულობენ მხედველობაში ზუსტი ინდივიდუალური მიდგომის აუცილებლობას და ხშირად





ითვალისწინებენ თავისუფლების აღკვეთას, როგორც სასჯელის მთავარ ღონისძიებას და უფარდებენ მას მცირე მნიშვნელობის დანაშაულთა საქმეებზედაც. სასჯელის დანიშვნისას სასამართლოები რიგ შემთხვევებში არ ითვალისწინებენ როგორც კანონში აღნიშნულ, ასევე სხვა შემამსუბუქებელ გარემოებებს, როგორცაა მაგალითად ბრალდებულის უმწიკვლო ყოფაქცევა საწარმოსა და ცხოვრებაში დანაშაულის ჩადენამდე და ა. შ.

სასამართლოები ხშირ შემთხვევაში საკმაოდ არ აფასებენ საზოგადოებრივი ზეგავლენის ძალას სამართლის ცალკეულ დამრღვევთა მიმართ და არ იყენებენ თავიანთ უფლებას გადასცენ საზოგადოებრიობას განსახილველად საქმეები იმ დამრღვევებისა, რომლებისთვისაც საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის სასჯელის ღონისძიების შეფარდება აუცილებლობით არ არის გამოწვეული. რიგ შემთხვევებში სასამართლოები საკმაო საფუძვლის გარეშე უარს ეუბნებიან შეუფარდონ პირობითი მსჯავრი და პირობით მსჯავრდადებულნი ხელახლა აღსაზრდელად და გამოსასწორებლად გადასცენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და კოლექტივებს მათი შუამდგომლობით, ზოგჯერ კი უსაფუძვლოდ ეუბნებიან უარს ასეთ შუამდგომლობაზე.

ხშირად სახალხო სასამართლოები თავის წარმოებაში ლებულობენ არა-დამაკმაყოფილებლად გამოძიებულ საქმეებს, რომელთა მიხედვით საკმაოდ არ არის გამორკვეული ისეთი გარემოებანი, რაც ახსიათებს ბრალდებულის პიროვნებას, მის წარსულ საქმიანობას და ა. შ., თუმცა ყოველივე ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს სამართლიანი და თანაზომიერი სასჯელის დანიშვნის საკითხის გადასაწყვეტად, ხოლო ზოგ შემთხვევაში ბრალდებულის სამართალში მიცემის ან საზოგადოებრიობის განსახილველად გადაცემის მიზანშეწონილობის საკითხის გადასაწყვეტად.

აღნიშნულისა გამო სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი აღდგენს მიეცეთ სასამართლოებს შემდეგი სახელმძღვანელო განმარტებანი:

1. დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ სისხლის სამართლის სასჯელის ღონისძიებების შეფარდებისას სასამართლოები უნდა გამომდინარეობდნენ იქიდან, რომ სასჯელი მიზნად ისახავს არა მარტო დასჯას, არამედ მსჯავრდადებულის ხელახლა აღზრდასა და ახალი დანაშაულის ჩადენის წინასწარი აცილების მიზანსაც. სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ კანონის მოთხოვნა სასჯელის განსაზღვრისას მტკიცე ინდივიდუალური მიდგომის შესახებ, აგრეთვე მხედველობაში მიიღონ ჩადენილი დანაშაულის ხასიათი და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი, დამნაშავის პიროვნება, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი. უნიშნავენ რა სასჯელის მკაცრ ღონისძიებებს მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირებს, აგრეთვე განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებს, სასამართლოები ამავე დროს უფრო ფართოდ უნდა უფარდებდნენ სასჯელის ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც პატიმრობასთან არაა დაკავშირებული იმ პირებს, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული, რომელიც არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას და ვისაც ძალუძს დაადგეს გამოსწორების გზას საზოგადოებიდან მისი იზოლაციის გარეშე.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის გარემოებების მიხედვით დანაშაულის ჩამდენ პირთა გამოსწორება შესაძლებელია თავისუფლების აღკვეთის გამოუყენებლად სასამართლოებმა უფრო ფართოდ უნდა შეუფარდონ სასჯელის



ისეთი ღონისძიებანი, რაც არ იქნება დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, ასევე პირობითი მსჯავრი და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების შუამდგომლობის მიღების შემთხვევაში პირობით მსჯავრდადებულნი გადასცენ მათ ხელახლა აღსაზრდელად და გამოსასწორებლად.

3. განემარტოთ, რომ პირობითი მსჯავრის შეფარდება და პირობით მსჯავრდადებულთა ხელახლა აღსაზრდელად და გამოსასწორებლად საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კოლექტივებისათვის გადაცემა მათი შუამდგომლობის მიხედვით შეიძლება შეეფარდოს არა მარტო პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, არამედ საქმის საკასაციო წესით ან სასამართლო ზედამხედველობის წესით განხილვის დროსაც.

4. სასამართლოებმა უფრო მჭიდრო კავშირი უნდა დაამყარონ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მშრომელთა კოლექტივებთან, განუმარტონ მათ კანონმდებლობა დანაშაულობასთან ბრძოლის საკითხებზე, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების უფლება აღძრან სასამართლოს წინაშე შუამდგომლობა პირობითი მსჯავრის გამოტანისა და პირობით მსჯავრდადებულის ხელახლა აღსაზრდელად და გამოსასწორებლად მათთვის გადაცემის შესახებ.

5. სასამართლოებმა უფრო ფართოდ უნდა შემოიღონ პრაქტიკაში სამართლის დარღვევის ისეთი საქმეთა გადაცემა საზოგადოებისათვის განსახილველად, რაც არ წარმოადგენს მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საშიშროებას, მსგავსი საქმეების სისხლის სამართლის წესით წარმოებით მოსპობით სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-7 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად.

6. არასრულწლოვანთა მიმართ საქმეების განხილვისას სასამართლოებმა ვალდებულნი არიან ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განსაკუთრებით განიხილონ საკითხი დანაშაულის გამოსწორების შესაძლებლობაზე სისხლის სამართლის სასჯელის დანიშვნის გარეშე და შეუფარდონ მას ასეთ შემთხვევაში აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებანი (აღმზრდელობით კოლონიაში მოთავსება, სათანადო ორგანიზაციების მეთვალყურეობაში გადაცემა და ა. შ.).

7. სასამართლოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მსჯავრდადებულთა პირობით ვადამდე განთავისუფლების საქმეების გადაწყვეტას, ზუსტად იხელმძღვანელონ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებით, დროულად განიხილონ საპატიმრო ადგილების ადმინისტრაციის წარდგინებანი ამ საკითხზე, არ დაუშვან უსაფუძვლო უარის თქმა იმ მსჯავრდადებულთა პირობით ვადამდე განთავისუფლებაზე, რომლებმაც სამაგალითო ყოფაქცევით და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით დაამტკიცეს თავიანთი გამოსწორება.

8. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმს საჭიროდ მიაჩნია მიაქციოს სასამართლო ორგანოების ყურადღება იმაზე, რომ დანაშაულთა და სამართლის სხვა დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება არ უნდა იქნას დაყვანილი სასჯელის მკაცრი ზომის მექანიკურად შეფარდებაზე. ამ მიზნის მისაღწევად ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ფართო საზოგადოებრიობის ჩაბმა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებათა ჩატარებაში, დანაშაუ-



ლის წინასწარი აცილება და სამართლის დარღვევის წარმომშობი მიზეზების აღმოფხვრა.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი მიუთითებს, რომ საჭიროა სასამართლო საქმიანობის აღმზრდელობითი როლის ამაღლება, საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმეების განხილვა სახელმწიფო და საზოგადო ბრალმდებელთა და დაცვის მონაწილეობით, გადაჭრით იქნას უარყოფილი ფორმალური მიდგომა სასჯელის ღონისძიებათა დანიშვნისადმი, ასეთები შეფარდებული იქნან კანონის ზუსტი შესაბამისად და იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოს მიერ შეფარდებული სასჯელი მაქსიმალურად უწყობდეს ხელს მსჯავრდადებულის გამოსწორებას და ხელახლა აღზრდას და ახალი დანაშაულის ჩადენის წინასწარ აცილებას.

სსრ კავშირის უმაღლესი

სასამართლოს თავმჯდომარე — ა. გორკინი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს

პლენუმის მდივანი — ი. გრიშანინი



## ამხანაგური სასამართლო მოქმედებს

უხმოდ იკრიბებოდნენ წითელ კუთხეში თბილისის მაულ-კამეოლის ფაბრიკის მუშები მათ სახეებზე ეს-ესაა შეშრა ოფლის წვეთები. გამრჯე შრომის შემდეგ დაზგებიდან აქ, წითელ კუთხეში მოსულან და თუ წინათ მხიარული სჯაბასით იკრიბებოდნენ, ეხლა ისინი რაღაც საზრუნავს შეუტყურია. ყველას სახეზე სერიოზულობა და ერთგვარი სიმკაცრე აღბეჭდილა. კარგა ხანია ელიან ამ დროს. სამი დღის წინათ გამოკრული განცხადება იუწყებოდა, რომ ამხანაგური სასამართლო უნდა შემდგარიყო.

ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარეს, ნახევრად ფაბრიკატების საქსოვი საამქროს ოსტატს სერგო ქორიძეს პატივს სცემენ ფაბრიკაში. ეს პატივისცემა მან ამ წარმოებაში 30 წლის უმწიკვლო და კეთილსინდისიერი შრომით მოიპოვა. უკვე ოთხი წელია, რაც სერგო ქორიძე ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარეა.

კარგად ახსოვს ის დღე სერგო ქორიძეს, როცა ამ ოთხი წლის წინად ფაბრიკის პარტიუროში გამოიძახეს.

აი რა, სერგო, — უთხრა მას ფაბრიკის პარტიუროს მდივანმა, საჭიროა როგორც ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარე დღეიდანვე შეუდგეთ მუშაობას. ამხანაგური სასამართლოს მიერ განსახილველ საკითხებს ფაბრიკის დირექცია გადმოგცემთ. თქვენ კი ამ საკითხების განხილვა ისე უნდა მოაწყოთ, რომ მასში ფაბრიკის მთელმა კოლექტივმა მიიღოს მონაწილეობა. განსახილველ საქმეებს წინასწარ კარგად

უნდა გაეცნოთ, მთავარია მოძებნოთ და გაწყვიტოთ ის კვანძი, რომელიც ნაკლოვანებათა რგოლს აერთებს. საწარმოო თუ შრომითი დისციპლინის დამრღვევი პირების, წუნის მკეთებლების თუ სხვა სახის დანაშაულებათა ჩამდენი პირების მიმართ ოსეთნაირად უნდა იმოქმედოთ, რომ შემდგომში ანალოგიურ დარღვევის ხალისი წაერთვას სხვა მუშაკს.

მაშინ სერგო ქორიძე პარტიული კომიტეტის მდივანთან და დირექციის წარმომადგენელთან საუბარში ნათლად გაერკვა ამხანაგურ სასამართლოს ფუნქციებში და მონღომებით შეუდგა მუშაობას.

და აი, ახლა, წითელმაულდადაფარებულ მაგიდას სამი კაცი უზის. ისინი მაულ-კამეოლის ფაბრიკის მოწინავე ადამიანები არიან. აქ სამსჯავროდ შეკრებილან. უნდა გაარჩიონ შემკეთებელი მექანიკური საამქროს მუშის ოთარ ბაჩიაშვილის უდისციპლინო საქციელი. თავმჯდომარე დგება და სხდომას გახსნილად აცხადებს.

— ამხანაგური სასამართლო, — ამბობს იგი, სერგო ქორიძის თავმჯდომარეობით, ალექსანდრე ძოწენიძის და მარო ხაინდრავას შემადგენლობით განიხილავს ჩვენი ფაბრიკის მუშაკის ოთარ ბაჩიაშვილის საქმეს.

თავმჯდომარე მოწმეებს აფრთხილებს, რომ შეკრებილი ამხანაგების წინაშე სიმართლე სთქვან, ვინაიდან თვითეული მათგანის სიტყვაზე დამოკიდებულია მათივე ამხანაგების ბედ-



იღბალი. ისინი საკუთარი სინდისის წინაშე არიან პასუხისმგებელნი.

კარგად იცნობენ საქსოვი და ნართის საამქროს მუშას ვლადიმერ მურდალაშვილს ფაბრიკაში. იგი თავაზიანი და ზრდილობიანი ყმაწვილია. და აი ერთხელ ფაბრიკის სტადიონზე საამქროების ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრებისას ვლ. მურდალაშვილმა შენიშვნა მისცა ოთარ ბაჩიაშვილს, რომელიც უხეშობდა და ფეხბურთის წესებს არღვევდა. იმის ნაცვლად, რომ შენიშვნა მიეღო, ბაჩიაშვილი თავხედურად მოიქცა. მან იუკადრისა შენიშვნა და დამსწრე ხალხის წინაშე უხამსი სიტყვებით შეურაცხყოფა მიაყენა ვლ. მურდალაშვილს, რაზედაც სტადიონზე დამსწრეებმა სამართლიანი უკმაყოფილება გამოსთქვეს.

ღარბაზში ფეიქრები ისხდნენ და ამხანაგებს უსმენდნენ.

— ბაჩიაშვილმა შეარცხვინა ყველა ჩვენგანი. — ლაპარაკობდა საამქროს უფროსი გურამ მჭედლიშვილი.

— გამოუსწორებელი საქციელი ჩაიდინა, — ამბობდა შემკეთებელი გრიგოლ ხუციშვილი.

— ჩემი ყურით ვავიგონე თუ როგორი უხამსი სიტყვებით გაუმასპინძლდა და წაიწია საცემრად ვ. მურდალაშვილისაკენ, — ყვება მოწმე აბრამ სურიელაშვილი. — მართალი ვითხრათ გამიკვირდა, რა მოუვიდა ამ კაცს მეთქი, მივედი, ვაწყნარებ, ის მაინც არ ცხრებოდა, იქაჩებოდა და ილანძმებოდა.

ბრალდებული ოთარ ბაჩიაშვილი სკამზე იმშუშნება, თვალს ვერ უსწორებს ასობით ამხანაგების მხერას, დანაშაულს გრძნობს ამხანაგების წინაშე, და თავჩაღუნული იატაკს დასცქერის.

სიტყვა ეკუთვნის ოთარ ბაჩიაშვილს, — გამოაცხადა ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარემ, — თავს რით იმართლებ, რას ეტყვი ამხანაგებს?

წელი ძლივს ასწია ბრალდებულმა. თავი ძირს დაეხარა და თვალებით ერთ ადვილს დაჟინებით მისჩერებოდა, თითქოს რაიმე დაჰკარგვიაო.

— საინტერესოა, ნეტავ თუ გრძნობს თავს დამნაშავედ... ჩაილაპარაკა წინა რიგში ვილაცამ. ნათქვამი ბრალდებულმაც გაიგონა და გული შეეკუმშა. — გრძნობს? გრძნობს და მერე როგორ; რას იფიქრებდა თუ ასეთ სირცხვილში ჩავარდებოდა და თავი მოეჭრებოდა მთელი კოლექტივის წინაშე, ნეტავ თუ შესძლებს დაკარგული ავტორიტეტის აღდგენას, ან ვინ იცის რას აპირებენ თავმჯდომარე და მსაჯულები.


...ამხანაგური სასამართლოს წევრებმა იმსჯელეს, — ჩაესმა ფიქრებში გათულ ო. ბაჩიაშვილს სერგო ქორიძის ხმა. — დანაშაულს, რომელიც ჩვენმა ამხანაგმა ჩაიდინა, თვითელი ჩვენთაგანი ვგმობთ. მან თავისი უხამსი მოქმედებით შეარცხვინა მთელი ჩვენი კოლექტივი. მას რომ ხელი ვკრათ უარესია. იგი ჩვენმა კოლექტივმა უნდა გამოასწოროს. ვაითვალისწინა რა ეს, ამხანაგური სასამართლო ო. ბაჩიაშვილს საყვედურს უცხადებს.

კრება იშლება. ყველა კმაყოფილია. ოთარ ბაჩიაშვილი მღუმბარედ, ნელა ტოვებს ოთახს. ამხანაგებმა მას საყვედური გამოუტყვადეს, შეუძლია კარგი შრომით გამოისყიდოს დანაშაული, კვლავ მოიპოვოს მეგობრებში ავტორიტეტი, აღიდგინოს დაკარგული სახელი.

ამხანაგური სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს შრომითი და საწარმოო დისციპლინის განმტკიცების საკითხებს, თანმიმდევრულად და მტკიცედ იბრძვის სხვადასხვა სახის ამორალური მოქმედების გამოვლინებათა წინააღმდეგ.

ფაბრიკის დირექტორს ერთ დღეს მოახსენეს, რომ კამელოური სართავი წარმოების საფითილე საამქროში პრო-





დუქციას უშვებენ ტექნიკური პირობების დარღვევით, რის გამოც გამოშვებული პროდუქცია ხელმეორედ იქნა დამუშავებული.

— შეადგინეთ სათანადო აქტი და წუნის მკეთებლის საქმე ეხლავე გადაეცით ამხანაგურ სასამართლოს, — გაცა განკარგულება დირექტორმა.

მეორე დღეს ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები უკვე კითხულობდნენ თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულ განცხადებას, რომელიც აუწყებდა ფაბრიკის კოლექტივს, რომ ამხანაგური სასამართლოს მორიგ სხდომაზე განიხილებოდა წუნის მკეთებელი მუშის ვანდა ტეხანოვიჩის საქმე.

ზუსტად დანიშნულ დროზე შეიკრიბნენ მუშა-მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები ამხანაგური სასამართლოს სხდომის დარბაზში. სხდომის დაწყების მოლოდინში დარბაზი დღეღაღა. ვანდა ტეხანოვიჩს თავი ჩაეღუნა და სახეზე სირცხვილის აღმუერი წაქიდებოდა.

დაიწყო ამხანაგური სასამართლოს სხდომა, დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარემ დამსწრეთ ვააცნო ვანდა ტეხანოვიჩის ჩადენილი დანაშაული.

— ამხანაგებო! — განაცხადა მან თავისი სიტყვის დასასრულს. — როგორც ხედავთ ტეხანოვიჩმა არ გამოიჩინა გულისხმიერება, დაარღვია ტექნიკური ნორმები, რის გამოც საამქროში გამოშვებული იქნა წუნდებული პროდუქცია. ამ დაუდევრობით ტეხანოვიჩმა შეარცხვინა თავისი საამქრო, მთელი ჩვენი კოლექტივი.

სიტყვით გამოვიდნენ ვ. ტეხანოვიჩის თანამოსაქმეები, მის გვერდით მომუშავენი. ერთხმად აღნიშნავდნენ რა

ვ. ტეხანოვიჩის მიერ ჩადენილ დანაშაულს, ამასთან სთხოვდნენ ამხანაგური სასამართლოს შემადგენლობას, რომ სასჯელის გამოტანისას გაეთვალისწინებინათ ვ. ტეხანოვიჩის წარსული საქმიანობა.

დარცხვენილი ისმენდა ვ. ტეხანოვიჩი თანამოსაქმეთა გამოსვლას, განიცდიდა სინდისის ქეჯნას, გრძობდა დანაშაულს ამხანაგების წინაშე.

მან სიტყვა ითხოვა.

— ეს დანაშაული დაუდევრობით ჩავიდინე — დაიწყო მან მღელვარე ხმით, — მე რაოდენობამ გამიტაცა, რის გამოც ყურადღება არ მივაქციე ხარისხს. ტექნიკური ნორმების დაცვის საქმეს და ახლა მე ამას ძალიან განვიცდი. გთხოვთ ეხლა მაპატიოთ და პირობას გაძღვეთ, რომ მომავალში აღარ ექნება ადგილი წუნდებული პროდუქციის გამოშვებას.

ამხანაგური სასამართლოს სხდომებზე სხვადასხვა დროს განიხილეს აგრეთვე სამუშაო დღეების უმიზეზოდ გამცდენების რ. ჩერნიდნიჩენკოს, მ. ბერუაშვილის, ო. ახალკაცის, ნ. კაპანაძის, საწარმოო დისციპლინის დამრღვევების ი. ვასილენკოს, რ. აკოფოვას, მ. კნიაჟევიჩის და სხვათა საქმეები.

ამხანაგურმა სასამართლომ ისინი საჯაროდ შეარცხვინა, რის შემდეგ ზემოდხსენებული მუშები სავსებით გამოსწორდნენ და ამჟამად მოწინავეთა რიგებში არიან.

— ამხანაგების განაჩენი ყველაზე მტკივნეულია, — ასე ამბობენ თბილისის მალდ-კამეოლის ფაბრიკაში, და ეს ასეცაა.



## კომბინაზორები ჯალღსური ხალიჩებით

ისინი სამნი იყვნენ: სოლომონ იასონის-ძე შეწირული, ბარსეგ სერგოს-ძე ანდრიასოვი და ვარვარა დარჩოს ასული აზიზიანი.

— მაშ ასე მეგობრებო, — სთქვა ენერგიული სახის ჩასუქებულმა, შუახნის მამაკაცმა, რომელიც ეტყობოდა საქმის ინიციატორი და მოთავე იყო. — გეგმა სრულიად მარტივი და ეჭვმიუტანელია. „რუსთავეაჭრობის“ სისტემაში ვხსნით მოსახლეობისაგან ნახმარი ნივთებისა და ტანსაცმელის შემსყიდველ-სარეალიზაციო № 49 მაღაზიას. ხომ ვაგიგონიათ ხალხური ანდაზა „კაცი კაცითა, ღობე ქაცვითაო“. „რუსთავეაჭრობის“ დირექციაში ხელშემწყობნი გვყავს. დანარჩენი კი ჩვენს მარიფათზეა დამოკიდებული.

— მოგიკვდეს ბარსეგ ანდრიასოვი თუ არ გასახელო, სოლომონ! დავკრათ ხელი ხელს და საქმეს შევუდგეთ. და მართლაც ისინი „საქმეს“ შეუდგნენ.

„მეგობრებმა“ თავდაპირველად ფუნქციები გაინაწილეს. როგორც „საქმის“ კაცს მაღაზიის დირექტორობა ს. შეწირულს ხვდა წილად. ბ. ანდრიასოვი „ძველქანების“ შემსყიდველ აგენტად გაფორმდა, ვარვარა აზიზიანი კი უპრეტენზიო ადგილით დაკმაყოფილდა და მუშად გააფორმეს.

— ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდეს, — სთქვა ბარსეგ ანდრიასოვმა და ბნელ საქმიანობაში თავისი შვილი ალბერტ ანდრიასოვიც ჩაითრია, იგი ამავე მაღაზიის საქონელმცოდნედ გააფორმა და საერთო შემოსავლიდან წილს აძლევდა.

კომბინატორებმა იმის ნაცვლად, რომ მაღაზიაში შემოეტანათ და ევაჭრათ ნახ-

მარი საოჯახო ნივთებითა და ტანსაცმელით, დაიწყეს ძვირფასი ხალიჩების ნაწარმის შესყიდვა-გაყიდვის ოპერაციები.

აი როგორ კეთდებოდა ეს.

— ხომ კარგად იცით, ბატონო, ჩემი წარსული, — მიმართა ერთხელ ს. შეწირულმა „რუსთავეაჭრობაში“ თავის შეფებს, — განა მე შემფერის ძველმანების შემსყიდველი მაღაზიის დირექტორობა? მე ყოველთვის დიდ საქმეებში ვურევდი ხელს და ამისათვის ერთხელ პასუხისგებაშიაც კი ვიყავი მიცემული, ჰოდა, უფროსებო, გაეცით განკარგულება „რუსთავეაჭრობის“ სახელზე თვითშესყიდვის გზით მოსული ხალიჩების ნაწარმი სავაჭრო ბაზის გარეშე ჩვენმა მაღაზიამ მიიღოს. ნაწილი ჩვენ დაგვრჩება და ნაწილს კი მაღაზიებზე გავცემთ; რა თქმა უნდა (აქ ს. შეწირულმა თითებზე დაიხედა და აათამაშა), არც ჩვენ დაგვრჩებით უმადური. ჩვენც ხალხნი ვართ.

ერთი სიტყვით შეთანხმება მოხდა და საქმე ისე წარიმართა. როგორც ეს შეწირულს უნდოდა. ხშირად „რუსთავეაჭრობის“ სახელზე მოსული ხალიჩების ნაწარმი მთლიანად № 49 მაღაზიას რჩებოდა და გადიდებულ ფასებში ყიდდნენ.

შეწირული, ანდრიასოვი და აზიზიანი მაღაზიის ანგარიშში ფიქტიურად უჩვენებდნენ, თითქოს ბაზიდან მიღებული ხალიჩების რეალიზაციას მოსახლეობაში ახდენდნენ. აფორმებდნენ მოსახლეობიდან ძველმანი ხალიჩების შესყიდვის ფიქტიურ ქვითრებს და ბაზიდან მიღებულ ხალიჩებზე ხელოვნურად ზრდიდნენ ფასებს.



შეწირული და ანდრიასოვი „რუსთავაჭრობის“ სალაროდან იღებდნენ დიდი რაოდენობით საქვეანგარიშო თანხებს 100.000-დან 400.000 მანეთამდე. აფორმებდნენ საქონლის შესყიდვის მიღებულ ქვითრებს და მიღებული თანხების ჩამოსაწერად ბუხჰალტერიაში ადგენდნენ ყალბი ქვითრების ანგარიშებს.

კომბინატორები სარგებლობდნენ შესყიდვის ქვითრების ძველი ფორმით და ქვითრებში არ უჩვენებდნენ გამყიდველი პირის მისამართებს.

მარტო აზიზიანმა „მკვდარ სულეზე“ შეავსო 367 ცალი ყალბი ქვითარი, სადაც არცერთი გვარი არ არის სწორი. თითო ყალბი ქვითრის მიხედვით გაცემულია დაახლოებით 15.000 მანეთი. კომბინატორებს მაღაზიის სალაროში ხელუხლებლად ყოველთვის ქონდათ 300.000 მანეთამდე.

ერთ დღეს შეწირულმა თავის კოლეგებს უთხრა: — დროა დავამთავროთ ადგილობრივი მასშტაბის ოპერაციები და საქმიანობა გავაფართოვოთ.

პირველყოვლისა მათ საკავშირო არენაზე გასვლისათვის ხერხიც გამოიხატეს. შეადგინეს და სპეციალურ ბლანკზე დაბეჭდეს ტექსტი და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში დაუგზავნეს მიმართვები სავაჭრო ორგანიზაციებს, სადაც აცნობებდნენ, რომ ისინი აშხადებენ უმაღლესი ხარისხის ხალიჩების ნაწარმს. გაგზავნილ მიმართვებში № 49 ძველმანების შემსყიდველ მაღაზიას უწოდეს „რუსთავაჭრობის“ ხალიჩების დამამზადებელი ბაზა“ და თითქოს მათ მოეპოვებოდათ „დიდი რაოდენობითა და ფართო ასორტიმენტით ხელით ნაქსოვი ხალიჩები“.

სინამდვილეში კი კომბინატორები სომხეთის სსრ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებიდან და „გლავგალანტერიის“ ბაზიდან იღებდნენ ხალი-

ჩებს. შემოაკერებდნენ ხალიჩას „ბანრამას“, თვითნებურად ადებდნენ სამმაგ-ოთხმაგ ფასს და რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში გზავნიდნენ.


თუ რა მასშტაბის კომბინაციებს ჩაადიოდნენ თაღლითები საილუსტრაციოდ ერთი მაგალითიც კმარა: 1958 წლის 26 სექტემბერს „რუსთავაჭრობის“ № 49 მაღაზიის მიერ გადარიცხვით ქ. სიმფეროპოლში გაგზავნილი იქნა 34 ცალი ხალიჩა. აქედან 33 ცალ ხალიჩაზე ფასი გადიდებული იქნა 210.212 მანეთით, ხოლო ერთ ხალიჩას, რომლის ნამდვილი ღირებულება შეადგენდა 7524 მანეთს, დააწერეს 18.722 მანეთი.

სამი წლის მანძილზე კომბინატორებმა შესძლეს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქების სავაჭრო ორგანიზაციებისათვის ასეთი მაქინაციებით მიეყიდათ 3.530.610 მანეთის ხალიჩები, რომელთა ფაქტიური ღირებულება შეადგენდა 2.255.440 მანეთს. კომბინატორებს სუფთა მოგება დარჩათ 1.004.351 მანეთი.

მაგრამ მათ შავბნელ საქმიანობას ფარდა აეხადა. მილიციის მუშაკები იმ დროს წაადგნენ თავზე, როდესაც სომხეთის „გლავგალანტერიის“ ბაზიდან მიღებულ 130 ხალიჩას მორიგი მარშრუტით გაგზავნას უპირებდნენ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ დ. ბალათურის თავმჯდომარეობით ამას წინაღუად გაარჩია კომბინატორების საქმე და მათ ღირსეული სასჯელი მიუზღო: ს. შეწირულს, ბ. ანდრიასოვს, ვ. აზიზიანს მიესაჯათ 15-15 წლით თავისუფლების აღკვეთა ა. ანდრიასოვს და დ. მოშიაშვილს სხვადასხვა ვადით პატიმრობა. მსჯავრდებულთა პირად ქონებას კონფისკაცია ეყო.





## მკვლელს დახვრევა

პეტრე ფილიპოვმა ადრე აიცრუა გული სწავლაზე, დაანება სკოლას თავი აპყვა უსაქმურებს და საეჭვო ამხანაგებს. მას ხშირად ნახავდით თავის ამფსონებთან ერთად ქ. ფოთის საზოგადოებრივ თავშესაყარ ადგილებში, სადაც ისინი ყოველგვარი შფოთისა და აყალმაყალის წამომწყებნი იყვნენ.

— შვილო პეტია, ჩამომორდი უსაქმურ ამხანაგებს. სწავლა თუ არ გინდა, ქარხანაში მაინც დაიწყე მუშაობა. ჯანდონით სავსე ვაჟაკი დაუძღურებულმა მოხუცმა ქალმა როდემდის უნდა გარჩინო, — ხშირად ეუბნებოდა თავის ერთადერთ შვილს პეტრეს მოხუცი დედა. ამის პასუხად პეტრეს ყოველთვის მზად ქონდა მუშტები და მოხუც დედას ცემა-ტყეპას არ აკლებდა.

უსაქმურობამ და ცუდმა წრემ პეტრე ფილიპოვი ციხის კარებამდე მიიყვანა იგი ჯერ ხულიგნობისათვის იჯდა ციხეში, შემდეგ კი ქურდობისათვის.

როდესაც პეტრე უკანასკნელად დაბრუნდა ციხიდან, დედამისმა მარია ფილიპოვამ იფიქრა, ეგებ ახლა მაინც დაადგეს გამოსწორების გზასო, მაგრამ მოხუცი დედა მწარედ მოტყუვდა. პეტრე კვლავ ძველ გზას მიყვებოდა. სისტემატურად ლოთობდა, მოხუც დე-

დას სიკვდილის მუქარით ართმევდა უკანასკნელ მანეთებსა და გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდა.

ერთხელ იგი მორიგი ღრეობიდან მთვრალი დაბრუნდა სახლში და დედას არაყი მოსთხოვა. რადგან სახლში არაყი არ იყო, მარიამმა მეზობელი სასაუზმედან ერთი გრაფინი ლუდი მოიტანა და კარების წინ დადვა, რადგან სახლში შესვლა ვერ შეებდა.

პეტრემ კარი გამოაღო და ლუდი დაიღვარა. ამის გამო გამხეცებული პეტრე გააფთრებით სწვდა იქვე კარების უკან შიშისაგან მოკუნტულ დედას, შეათრია სახლში და მუშტებით თავპირი დაუსისხლიანა. მხეცი ამასაც არ დასჯერდა, ნაჯახის ყუით რამოდენიმე ადგილას გაუხეთქა თავი დედას, რომელიც სამი საათის ტანჯვის შემდეგ გარდაიცვალა.

გარეწარი, ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო დედის მკვლელის საქმე ამასწინად გაარჩია საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს გამსვლელობა სესიამ და პ. ფილიპოვს მიუსაჯა სისხლის სამართლის სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

განაჩენი მოყვანილია სისრულეში.

**ზ. მესხინიანი**





## ოკეაგიული თათბირი ისპანს პროკურატორის ანგარიშს

ამ რამდენიმე ხნის წინათ საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურატურაში ჩატარდა ოპერატიული თათბირი, რომელმაც მოისმინა ცხაკაიასა და ქარელის რაიონების პროკურორების ვ. ცეკვაძასა და პ. ციციშვილის საანგარიშო მოხსენებები მიმდინარე წლის ექვს თვეში ჩატარებული მუშაობის შესახებ.

თათბირზე აღინიშნა, რომ ცხაკაიასა და ქარელის რაიონულმა პროკურატურებმა მიმდინარე წლის ექვს თვეში სერიოზული მუშაობა აწარმოეს დანაშაულებათა და სოციალისტური კანონიერების დარღვევების წინააღმდეგობის შედეგად ამ რაიონებში გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა შემთხვევები.

ამ რაიონებში პროკურატურებმა უშუალო მონაწილეობა მიიღეს საზოგადოებრივი ძალების დარაზმვისათვის დანაშაულობათა და სოციალისტური კანონიერების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლაში. ცხაკაიას რაიონში ამჟამად შექმნილია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის 22 სახალხო რაზმი, რომელშიც გაერთიანებულია 1316 კაცი. რაზმების ხელმძღვანელებად გამოყოფილია გამოცდილი და ენერგიული ამხანაგები. მრავალრიცხოვანი სახალხო რაზმები შეიქმნა აგრეთვე ქარელის რაიონში,

ისინი სერიოზულ დახმარებას უწევენ პროკურატურისა და მილიციის ორგანოებს დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

ქარელის პროკურატურამ სერიოზული მუშაობა გასწია მილიციის ორგანოებთან მჭიდრო კონტაქტის დასამყარებლად. განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ იქნა მოქცეული ისეთი ადგილები, სადაც ხშირია დანაშაულთა ჩადენის შემთხვევები. მაგალითად, მხედველობაში იქნა რა მიღებული, რომ დანაშაულობათა განსაკუთრებით ხშირი შემთხვევები ხდება სოფელ რუისში, შემოღებული იქნა სისტემატური მეთვალყურეობა.

მიღებულ ღონისძიებათა შედეგად შემცირდა განსაკუთრებით საშიში სახის დანაშაულობათა შემთხვევები, მათ შორის განზრახ მკვლელობა, ყაჩაღური თავდასხმები, ქურდობა და სხვ.

ოპერატიულმა თათბირმა აღნიშნა, რომ მიუხედავად ჩატარებული ღონისძიებებისა, როგორც ცხაკაიას, ისე ქარელის რაიონის პროკურატურათა მუშაობაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ცხაკაიას რაიონული პროკურატურა არ იყენებს საპროკურორო ზედამხედველობის ისეთ მნიშვნელოვან ფორმას, როგორცაა არაკანონიერ გადაწყვეტილებათა გაპროტესტება.

რამდენადმე გაუმჯობესდა პროკურა-



ტურისა და მილიციის საგამომძიებლო მუშაობა. გასულ წელს სასამართლოდან უკან დაუბრუნდათ გამოძიებულ საქმეთა 5,9 პროცენტი — პროკურატურას, 6,8 პროცენტი — მილიციას, მიმდინარე წელს კი ეს მაჩვენებლები არ აღემატება 4,1 პროცენტს. და მაინც საგამომძიებლო მუშაობის ხარისხი მთლიანად ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი. არ არის აღმოფხვრილი საქმის გაჭინაურება; პროკურატურასა და მილიციაში ადგილი აქვს კანონით დადგენილი ვადების დარღვევის შემთხვევებს. ძიების ვადების დარღვევათა რაოდენობამ ცხაკაიას რაიონის მილიციის განყოფილებაში 1958 წელს შეადგინა 30 პროცენტი. მართალია მიმდინარე წელს ეს რიცხვი შემცირდა, მაგრამ ასეთი დარღვევები ჯერ კიდევ არის.

ოპერატიულმა თათბირმა მიუთითა აგრეთვე იმ ნაკლოვანებებზე, რომელთაც ადგილი აქვთ ქარელის რაიონის პროკურატურის მუშაობაში, განსაკუთრებით დანაშაულთა გახსნისა და მიზალულ დამნაშავეთა ძებნის საქმეში. დღემდე გახსნილი არ არის წინა წლებში ჩადენილი 21 დანაშაული, რომელ-

თაგან 5 საქმე აღძრულია გასულ წელს, ანალოგიური მდგომარეობაა მიმდინარე წელსაც.

ქარელის მილიციის რაიონული განყოფილება სათანადო აქტიურობით ვერ იბრძვის მიმალულ დამნაშავეთა აღმოსაჩენად. ხოლო პროკურატურა ვერ ანხორციელებს საჭირო ზედამხედველობას. ამასთან, თუმცა განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა რიცხვი გასულ წელთან შედარებით შემცირდა, მიმდინარე წელს ჯერ კიდევ დიდია ხულიგნობის ჩადენის შემთხვევები.

ოპერატიულმა თათბირმა, რომელმაც მოისმინა რაიონული პროკურატორის ანგარიში და იმსჯელა მათ შესახებ, დასახა სათანადო ღონისძიებანი ცხაკაიასა და ქარელის რაიონული პროკურატურების მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

ოპერატიულ თათბირზე გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის პროკურორმა მ. თოფურაძემ, რესპუბლიკის პროკურორის მოადგილეებმა ა. გიგაურმა, გ. ბიწაძემ, განყოფილების პროკურორმა ო. ზანგურმა, ს. ბელიავსკაიამ.

## კანონიერების დაცვის საკითხი აღმასკომის სესიაზე

თბილისის სტალინის რაისაბჭოს აღმასკომის მეშვიდე მოწვევის მეოთხე სესიამ მოისმინა რაიონის პროკურორის ვ. ფონიას მოხსენება სოციალისტური კანონიერების დაცვის მდგომარეობისა და მისი განმტკიცების ღონისძიებათა თაობაზე.

მომხსენებელმა მოიყვანა კონკრეტული მაგალითები იმისა, რომ სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა-

თვის ჩატარებული მუშაობის შედეგად გასულ წელთან შედარებით მიმდინარე წლის პირველ ნახევარში რაიონში სახელმწიფო და საზოგადო დატაცების შემთხვევები, პასუხისგებაში მიცემულ პირთა და ასევე დატაცებული სახსრების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო და საზო-



გადგომის საკუთრების მტაცებლობას ხელს უწყობს მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა არასათანადო შერჩევა. ხშირად სამუშაოზე იღებენ შეუმორჩილებელ პირებს. მაგალითად, თბილისის თამბაქოს № 2 ფაბრიკაში სამუშაოდ მიღებული იქნა ჩოხატაურის რაიონის სოფელ ფარცხმაში მცხოვრები ი. გ. ცინცაძე, რომელიც თბილისში ჩაუწერავად ცხოვრობდა. იგი სისტემატურად ეწეოდა თამბაქოს ქურდობას. სახლის გაჩხრეკის დროს მას აღმოაჩნდა ფაბრიკიდან მოპარული 736 კოლოფი პაპიროსი.

შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა ის ღონისძიებანი, რაც ტარდება სპეკულანტთა ავტომონაყარდეთა, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა გამოვლინებისა და დასჯისათვის.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ტრამვაი-

ტროლეიბუსის სახმართველოს უფროსმა მ. ურთმელიძემ, თამბაქოს № 2 ფაბრიკის დირექტორმა გ. სილაძემ, მილიციის რაიგანყოფილების უფროსის მოადგილემ კ. გვასალიამ, სახალხო მოსამართლე ვ. კოლუაშვილმა და სხვ.

სესიაზე სიტყვით გამოვიდა ს. ბელიავსკაია, რომელიც ვრცლად შეეხო საკითხს, თუ რა კონკრეტული ღონისძიებანი უნდა გატარდეს ცალკეულ დანაშაულთა აღსაკვეთად. მან ყურადღება გაამახვილა მცირეწლოვან დამნაშავეთა გამოვლინებასა და აღზრდაზე, შეჩერდა საწარმოებსა და დაწესებულებებში ღია სასამართლო სხდომების ჩატარების ორგანიზაციაზე და ამხანაგური სასამართლოების მუშაობის საკითხებზე.

სესიამ მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი.

## ქ ა რ გ ი ნ ა მ ო წ ე ზ ბ ა

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ინიციატივით ამას წინათ მოეწყო შეხვედრა ს.ქართველოს რაიონებისა და ქალაქ თბილისის პროკურატურის მუშაკებთან.

მოხსენებით: „დანაშაულთან ბრძოლისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში საბჭოთა კრიმინალისტიკის სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებისა და კრიმინალისტური ექსპერტიზის დიდი შესაძლებლობების გამოყენების შესახებ“, გამოვიდა ლაბორატორიის უფროსი ექსპერტი ო. მგელაძე.

შეხვედრაზე სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ პროკურატურის პროკურორი ი. ყორღანია, გამომძიებლები დ. ქორიძე და გ. ნადარეიშვილი, ქ. თბილისის პროკურატურის უფროსი გამომძიებელი ი. დავარაშვილი, ლაბორატორიის უფროსი ექსპერტი მ. აბაზაძე, ექსპერტი კ. კოროშინაძე და სხვები, რომლებმაც თავიანთი მუშაობის პრაქტიკიდან მოიყვანეს მეტად საინტერესო ფაქტები, მოახდინეს ზოგიერთი საინტერესო შემთხვევის დემონსტრირება.



## თეორიული კონფერენცია ახალი კანონმდებლობის ს ა კ ი თ ხ ე ბ ზ ე

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმმა ამასწინად თბილისში ჩაატარა თეორიული კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა სისხლის სამართალწარმოების ახალი კანონმდებლობის საკითხს. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ადვოკატები: საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, რესპუბლიკის პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის მუშაკები.

თეორიული კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ს. ჭელიძემ. კონფერენ-

ციაზე მოხსენებებით „დამცველის მონაწილეობა წინასწარი გამოძიების პროცესში“ გამოვიდა დამცველი ა. გელოვანი; „დაზარალებულის პროცესუალური მდგომარეობა“ — დამცველი მ. ალხაზიშვილი და მოხსენებით „დამცველის პროცესუალური უფლება-მოვალეობა“ — დამცველი ბ. ამირაღოვი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ გ. ბიწაძემ, ადვოკატებმა გ. უგრეხელიძემ, ვ. ფხალაძემ, ი. ჯინჯიხაშვილმა და სხვ. კონფერენციის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ს. ჭელიძემ.



# სასამართლო პრაქტიკა

## სისხლის სამართლის საქმეებზე

დაზარალებულის ერთიმეორის საწინააღმდეგო ჩვენება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს, თუ შეკრებილი არ იქნება სხვა ობიექტური მტკიცებები.

ქ. თბილისის სტალინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს 1958 წლის 20 მარტის განაჩენით ი. ც-ლს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებით „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“, მეორე მუხლის მეორე ნაწილით მიესაჯა 15 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა ქონების კონფისკაციით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1958 წლის 2 აპრილის განჩინებით სახალხო სასამართლოს ეს განაჩენი დატოვებულია ძალაში.

ც-ლი ცნობილი იქნა დამნაშავედ მასში, რომ 1957 წლის 21 ივნისს გამოძიებით დაუდგენელ ბოროტმოქმედთან ერთად დანით მუქარის ქვეშ გაძარცვა არასრულწლოვანი კ. ტ-ი, რომელსაც წაართვა მაჯის საათი.

სახალხო სასამართლოს განაჩენი და კოლეგიის განჩინება გაპროტესტებული იქნა საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილის მიერ, რომელმაც პროტესტით მოითხოვა განაჩენის გაუქმება და საქმის წარმოებით მოსპობა ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო.


სახალხო სასამართლომ ც-ის მიმართ განაჩენს საფუძვლად დაუდო დაზარალებული ტ-ის მიერ მსჯავრდადებულის ამოცნობა და მისი ჩვენებები, მიუხედავად იმისა, რომ ტ-ის ჩვენებები არსებითი ხასიათის წინააღმდეგობებს შეიცავდნენ.

ც-ლი დაკავებული იქნა ქუჩაში დაზარალებული ტ-ის მითითებით, რომელმაც ც-ის მილიციის განყოფილებაში მიყვანისთანავე განაცხადა, რომ მისი გამძარცველი ერთ-ერთი ბოროტმოქმედი იყო ც-ლი. ამავე დროს აჩვენა, რომ მას ხელიდან საათი შეხსნა ც-მა. ასეთივე ჩვენებები მისცა დაზარალებულმა ტ-მ წინასწარ გამოძიებაში. სასამართლოს სამსჯავრო სხდომაზე დაკითხვის დროს ტ-იმ აჩვენა, რომ საათი მას შეხსნა არა ც-მა, არამედ მისმა ამხანაგმა, ხოლო თვით ც-ლი იქვე ახლო იდგაო. გარდა დაზარალებულ ტ-ის ერთი-მეორის საწინააღმდეგო ჩვენებებისა მისმა დედამ აჩვენა, რომ ტ-ი სახლში დაბრუნებისას ეჭვს გამოთქვამდა ც-ის ამოცნობაში.

მსჯავრდადებულ ც-ის დაკავების დროს არ აღმოუჩენიათ არც დანა და არც საათი და გარდა დაზარალებულის არეული ჩვენებებისა არავითარი სხვა ობიექტური მტკიცებები არ იყო შეკრებილი წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოს მიერ.

ზემოდმოყვანილ გარემოებათა გამო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა საქართველოს სსრ პროკურორის მოად-





კილის პროტესტი, გააუქმა სახალხო სასამართლოს განაჩენი და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიის კანჩინება და ც-ის მიმართ საქმე წარმოებით მოსპო ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო.

**სახელმწიფო ქონების წვრილმანი დატაცების არასწორად დაკვალიფიცილება სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების II მუხლით „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“.**

ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს 1959 წლის 6 მაისის განაჩენით ი. ტ-ი და ჯ. ხ-ი ცნობილი იქნენ დამნაშავედ სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების მეორე მუხლით „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ და სასჯელის ზომად განესაზღვრათ სამ-სამი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა (სსკ 48 მუხლის შეფარდებით).

ტ-ს და ხ-ს მსჯავრი დაედოთ მასში, რომ მუშაობდნენ რა № 3 საკონდიტრო ფაბრიკაში, პირველი ექსპედიტორად, ხოლო მეორე ბრიგადირად, 1959 წლის 22 იანვარს ურთიერთ შეთანხმებით ფაბრიკიდან დაიტაცეს 11 კილოგრამი ტორტი ღირებული 261 მანეთად. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი ქონდა სოციალისტური საკუთრების წვრილმან მტაცებლობას და ტ-სა და ხ-ს დანაშაულებრივი ქმედობა სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების მეორე მუხლიდან გადაკვალიფიცირა სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 10 იანვრის ბრძანებულებაზე და სასჯელის ზომად განუსაზღვრა თვითუფულს 3-3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

**წვრილმანი სპეკულაციის არასწორი დაკვალიფიცილება საქართველოს სსრ სს კოდექსის 142 მუხლით.**

ქ. თბილისის კალინინის რაიონის სახალხო სასამართლოს 1959 წლის 5 თებერვლის განაჩენით კ. შ-ი ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 142 მუხლით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლის ვადით. სახალხო სასამართლოს განაჩენი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ ძალაში იქნა დატოვებული. შ-ი ცნობილია დამნაშავედ მასში, რომ მან მოქალაქე კ-ს 1958 წლის 24 დეკემბერს 125 მანეთად ნაყიდი ნივთი 200 მანეთად მიყიდა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა, რომელმაც 1959 წლის 11 მაისს განიხილა შ-ის საქმეზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პროტესტი, ცვლილება შეიტანა სახალხო სასამართლოს განაჩენსა და უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებაში, შ-ის ქმედობა დააკვალიფიცირა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 1 იანვრის ბრძანებულებით „წვრილმანი სპეკულაციისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ და სასჯელის ზომად განუსაზღვრა ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა.



საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა მიუთითა, რომ შ-ის მიერ ჩადენილი სპეკულაცია თავისი ხასიათით წვრილმანია და ამიტომ არ შეიძლება დაკვალიფიცირებულიყო სს კოდექსის 142 მუხლით. ის გარემოება, რომ შ-ი 1951 წელს მსჯავრდადებული იყო სპეკულაციისათვის, არ იძლეოდა საფუძველს შ-ის ქმედობის განმეორებითად ცნობისათვის, რადგან მან 1951 წლის განაჩენით დანიშნული სასჯელი მოიხადა, ხოლო ახალი დანაშაულის ჩადენის დღისათვის ნასამართლობა მოხსნილი ქონდა 1953 წლის 27 მარტის და 1957 წლის 1 ნოემბრის ამნისტიების საფუძველზე.

**სახალხო სასამართლოს განაჩენი და სასამართლო კოლეგიის განჩინება გაუქმდა და საქმე წარმოებით მოიხპო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლის დარღვევის გამო.**

ხაშურის რაიონის სახალხო სასამართლოს 1958 წლის 19 სექტემბრის განაჩენით ზ. კ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 152 მუხლით და 75 მუხლის II ნაწილით და ერთობლივად სასჯელის ზომად განესაზღვრა ერთნახევარი წლით თავისუფლების აღკვეთა. სახალხო სასამართლოს ეს განაჩენი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის 1958 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით დატოვებულია ძალაში.

კ-ს მსჯავრი დაედო მასში, რომ 1958 წლის 17 ივლისს ამავე საქმეზე მსჯავრდადებულ ფ-ს მიაყენა სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება. საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ პროტესტი შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს პრეზიდიუმში და მოითხოვა კ-ს მიმართ სახალხო სასამართლოს განაჩენისა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიის განჩინების გაუქმება და საქმის მოსპობა მის მოქმედებაში დანაშაულის ნიშნების უქონლობის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა, რომელმაც ეს საქმე განიხილა 1959 წლის 9 მარტს პროტესტის მოთხოვნა დააკმაყოფილა, კ-ს მიმართ სახალხო სასამართლოს განაჩენი და სასამართლო კოლეგიის განჩინება გააუქმა და საქმე წარმოებით მოსპო.

წინასწარი და სასამართლო-სამსჯავრო გამოძიებით დადგენილია, რომ კ-მ, რომელიც ტყის მცველად მუშაობდა 1958 წლის 6 ივნისს აქტი შეუღდინა ამავე საქმეზე მსჯავრდადებულ ფ-ს ტყის უნებართვოდ გაჩეხვისათვის.

მიუხედავად ამისა ფ-მ და მისმა ძმამ 17 ივლისს სცადეს უნებართვოდ გაჩეხილი შეშის წაღება, რის გამო კ-მ წინადადება მისცა მათ არ წაეღოთ შეშა. ამ ნიადაგზე კ-სა და ფ-ს ჩხუბი მოუვიდათ და ფ-მ კ-ს კეტი დაარტყა თავის არეში. მსჯავრდადებული კ-ე იმყოფებოდა რა თავდაცვის მდგომარეობაში, ნაჯახი დაარტყა ფ-ს და მიაყენა სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება, რის შემდეგ ფ-ს ძმამ წაართვა ნაჯახი კ-ს და რამოდენიმეჯერ დაარტყა მას, გარდა ამისა ბეჭის არეში დანით მიაყენა მას ჭრილობა. ამრიგად საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ ვ. და ლ. ფ-ები თავს დაესხნენ მსჯავრდადებულ კ-ს და გამოიყენეს მის მიმართ ძალადობა, ხოლო კ-ე იმყოფებოდა თავდაცვის მდგომარეობაში, აუცილებელი მოგერიების საზღვრის გადაცილებას კი მსჯავრდადებული კ-ს მხრივ აღვილი არ ჰქონია.



## სამოქალაქო სასამართლოს საქმეებზე

სასამართლომ წარმოებით არ უნდა მოსპოს სამოქალაქო საქმე სარჩელის ხანდაზმულობის ვადის გადაცილების მოტივით

ხაშურის რაიონის სახალხო სასამართლომ 1958 წლის 29 სექტემბრის დადგენილებით წარმოებით მოსპო საქმე ხაშურის პურკომბინატის სარჩელისა გამო სოფელ გვერდისუბნის კოლმეურნეობის მიმართ 7.800 მანეთის გადახდევინების შესახებ სარჩელის ხანდაზმულობის ვადის გადაცილების მოტივით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის პროტესტის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1959 წლის 31 მარტის განჩინებით გააუქმა სახალხო სასამართლოს დადგენილება საქმის წარმოებით მოსპობის შესახებ და საქმე დაუბრუნა იმავე სახალხო სასამართლოს საქმის არსებითად განხილვისათვის.

სარჩელის ხანდაზმულობის ვადის გადაცილება უფლებას არ უსპობს იმ პირს, რომლის უფლებებიც შელახულია, მიმართოს სახალხო სასამართლოს სარჩელით და მოითხოვოს მისი დარღვეული უფლებების აღდგენა. სასამართლო ვალდებულია მიიღოს ასეთი სარჩელი და საქმე განიხილოს არსებითად.

თუ საქმის განხილვის შედეგად სასამართლო დარწმუნდება, რომ სარჩელის ხანდაზმულობის ვადა ნამდვილად გადაცილებულია და არ არსებობს საფუძველი სამოქალაქო სასამართლოს კოდექსის 49-ე მუხლის მიხედვით ამ ვადის გაგრძელებისათვის, სასამართლომ უარი უნდა უთხრას სარჩელზე ხანდაზმულობის გადაცილების მოტივით და საქმე არ უნდა მოსპოს წარმოებით.

**სასამართლოს შეუძლია მიიღოს წარმოებაში შრომის დავა ხელფასის გადახდევინების შესახებ უკეთუ მოცემული დავა განხილულია ადგილობრივ კომიტეტში და მუშაკი არ ეთანხმება ამ დადგენილებას.**

ახალციხის რაიონის სახალხო სასამართლომ 1959 წლის 16 მარტის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დააკმაყოფილა ნ. ონუფრიდის სარჩელი ტრესტ „საქოკომპშენის“ ახალციხის სამშენებლო უბნის მიმართ ხელფასის გადახდევინების შესახებ და მოპასუხეს დააკისრა ონუფრიდის სასარგებლოდ 1.350 მანეთის გადახდა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1959 წლის 17 აპრილის დადგენილებით გადაწყვეტილება გააუქმა და საქმე წარმოებით მოსპო იმ მოტივით, რომ მხარეთა დავა არ განუხილავს ადგილობრივ კომიტეტს.

სახალხო სასამართლოს ონუფრიდის სარჩელი არ უნდა განეხილა, რამდენადაც შრომითი დავის განხილვის წესის შესახებ 1957 წლის 31 იანვარს დამტკიცებული დებულების 30-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ ისეთი შრომითი დავის განხილვისას, რომელზედაც არ ყოფილა მიღწეული შეთანხმება შრომითი დავის განმხილველ კომისიაში, ადგილკომი მოვალეა გაეცნოს მთელ მასალებს, მოისმინოს მხარეთა განმარტება და გამოიტანოს დადგენილება დავის გამო არსებითად. მხოლოდ ამის შემდეგ აქვს სასამართლოს უფლება მიიღოს სასარჩელო განცხადება თავის წარმოებაში და განიხილოს საქმე.



სარედაქციო კოლეგია:

მ. ლომიძე (რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი, მ. ვეფხვაძე, მ. თოფურიძე,  
გ. ინწკირველი, მ. ლევკვიციანი (რედაქტორის მოადგილე),  
თ. წერეთელი.

---

გადამცემის წარმოებას 21/IX-59; ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/XI-59 წ;  
ანაწყოების ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108; პირობით ფორმათა რაოდენობა 6,85.  
ფიზიკური ფორმათა რაოდენობა 5.

შეკვ. № 1202.

ტირაჟი 3.000

შე 07157.

---

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“,  
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Полиграфкомбинат „Комунисти“ Издательства ЦК КП  
Грузии, ул. Ленина № 14.



2560 5 856.

1251



# СОВЕТСКОЕ ПРАВО № 5

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда, Прокуратуры и юридической комиссии  
при Совете Министров Грузинской ССР